

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა ლინგვისტიკა

ლოლა ბერიძე

სამეტყველო ეტიკეტის თავისებურებები სატელევიზიო
დისკურსში

(ინგლისური და ქართული ენების მასალებზე დაყრდნობით)

დისერტაცია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი ირინე გოშხეთელიანი

ბათუმი

2020

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლოლა ბერიძე

23.06.2020

შინაარსი

შესავალი _____ 5

თავი I. სატელევიზიო დისკურსი, როგორც დისკურსის ერთ-ერთი სახე და მისი ლინგვისტური თავისებურებები

1.1. ცნება „დისკურსის“ ინტერპრეტაციისთვის. დისკურსის სახეები _____ 10

1.2. სატელევიზიო დისკურსი, როგორც მედიადისკურსის ერთ-ერთი სახე. სატელევიზიო დისკურსის თავისებურებები _____ 15

1.3. ტოკშოუს, როგორც სატელევიზიო დისკურსის ჟანრის, ზოგადი ლინგვისტური მახასიათებლები _____ 21

1.4. ტოკშოუს ძირითადი ქვეჟანრები/ტიპები _____ 30

1.4.1. გასართობი/სოციალურ საკითხებზე დაფუძნებული ტოკშოუს თავისებურებები _____ 33

1.4.2. პოლიტიკური ტოკშოუს თავისებურებები _____ 37

თავი II. სამეტყველო ეტიკეტის რაობა და მისი ფუნქციები

2.1. სამეტყველო ეტიკეტის რაობა _____ 40

2.2. სამეტყველო ეტიკეტის ფუნქციები _____ 43

2.3. სამეტყველო ეტიკეტის ძირითადი ნიშნები _____ 45

2.4. სამეტყველო ეტიკეტის ფიქსირებული ფორმები _____ 49

2.5. თავაზიანობა, როგორც სამეტყველო ეტიკეტის ძირითადი ლინგვისტური კატეგორია _____ 51

2.6. სატელევიზიო სამეტყველო ეტიკეტის თავისებურებები _____ 59

2.7. მედიის გავლენა მეტყველების კულტურაზე _____ 62

2.8. ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები _____ 65

თავი III. ამერიკული და ქართული პოლიტიკური ტოკშოუს ლინგვისტური თავისებურებები ეტიკეტის თვალსაზრისით

3.1. მისაღმების, დამშვიდობების, მიმართვის და სამადლობელი ფორმულების ერთგვაროვნება _____ 70

3.2. სუბიექტურობის გამოვლინების სხვადასხვა ხერხი პოლიტიკურ ტოკშოუებში _____ 77

თავი IV. ამერიკული და ქართული გასართობი ტოკშოუს ლინგვისტური თავისებურებები ეტიკეტის თვალსაზრისით

4.1. მისაღმების, დამშვიდობების და სამადლობელი ფორმულების არაერთგვაროვნება _____ 86

4.2. ენობრივი ნორმებიდან გადახვევის ხერხები: სლენგის და ჟარგონების, ვულგარიზმების, ბარბარიზმების ხშირი გამოყენება _____ 91

4.3. გადაჭარბებული კომპლიმენტირება და თვითკომპლიმენტირება (ტრაბახი) _____ 101

ზოგადი დასკვნები _____ 111

გამოყენებული ლიტერატურა _____ 115

გამოყენებული სატელევიზიო საინფორმაციო საშუალებები _____ 123

დანართი _____ 129

შესავალი

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში მასობრივი ინფორმაციის გადაცემის საშუალებებს წამყვანი როლი მიუძღვის. მათგან დღესდღეობით ყველაზე პოპულარული **ტელევიზიაა**. იგი დღითიდღე უფრო და უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ყველა ასაკობრივი ჯგუფისა და სოციალური ფენის მაყურებელზე. მოკლედ, სოციუმზე ზემოქმედების ხარისხით ტელევიზია უმთავრესია. სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათაგან არცერთი არ შესულა კაცობრიობის ცხოვრებაში ისე სწრაფად და არ მოუხდენია მის განვითარებაზე ისეთი გლობალური ზემოქმედება, როგორც – ტელევიზიას.

თანამედროვე მეცნიერები სატელევიზიო დისკურსს განიხილავენ, როგორც ვერბალური და არავერბალური გამოხატულების ერთ-ერთ აქტიურ ფორმას და მიიჩნევენ, რომ მისი რეალიზაცია სხვადასხვა ენაში თავისებურია.

ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გვინტერესებს სატელევიზიო დისკურსის ენა, ენა იმ სოციალური ინსტიტუტისა, რომელიც პასუხს აგებს საზოგადოებაში ფასეულობების, მორალური პრინციპებისა და ქცევის ნორმების ჩამოყალიბებაზე, გამოხატავს ტრადიციებსა და ეროვნულ მენტალიტეტს; ახორციელებს რთულ კომუნიკაციას და აქვს აუდიტორიაზე მრავალმხრივი ზემოქმედების უდიდესი პოტენციალი.

თემის **აქტუალურობას** განაპირობებს ის ფაქტი, რომ მასმედიის დისკურსი სულ უფრო და უფრო ხშირად ხდება ენათმეცნიერების კვლევის ობიექტი, რადგანაც მისი სხვადასხვა სახის, განსაკუთრებით კი სატელევიზიო დისკურსის მიმართ საზოგადოების ინტერესი დღითიდღე იზრდება. ქართულ ტელევიზიაში მომრავლდა პოლიტიკური და გასართობი ტოკშოუები, რომლებიც ანალოგებია ევროპული და ამერიკული გადაცემებისა, თუმცა ელფერი ეროვნულია. ამ გადაცემების ქართულ და ამერიკულ ვარიანტებს შორის მსგავსება-განსხვავება, მათი ლინგვისტური თავისებურებების კვლევა ნაკლებად არის შესწავლილი ქართულ ენათმეცნიერებაში. სწორედ ამან განაპირობა თემის არჩევანი.

კვლევის მიზანია:

- განისაზღვროს სამეტყველო ეტიკეტის მნიშვნელობა და მისი როლი საზოგადოებაში;
- აღწეროს სატელევიზიო ეტიკეტი და მისი გავლენა მეტყველების კულტურაზე;
- განისაზღვროს მასმედიის დისკურსის როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური თავისებურებები;
- გამოვლინდეს, რა გავლენას ახდენს სხვადასხვა სოციოკულტურული გარემო სატელევიზიო დისკურსის კონსტრუირებაზე;
- ტოკშოუ დახასიათდეს, როგორც სატელევიზიო დისკურსის ერთ-ერთი გამორჩეული ჟანრი;
- გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმატის ტოკშოუს სტრუქტურა და წამყვანებისა და მოდერატორების ვერბალური და არავერბალური თავისებურებები;
- შედარება-შეპირისპირებითი ანალიზის საფუძველზე დადგინდეს მსგავსება-განსხვავება ინგლისურსა და ქართულ სამეტყველო ეტიკეტს შორის.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ნაშრომი წარმოადგენს ცდას, ეტაპობრივად დაისახოს და გადაიჭრას შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- სატელევიზიო დისკურსის ცნების განსაზღვრა;
- ტოკშოუს ორი ძირითადი ქვეჟანრისა და მათი ზოგადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური თავისებურებების გამოვლენა;
- სატელევიზიო ეტიკეტის ფუნქციებისა და მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნების განსაზღვრა;

- სატელევიზიო სამეტყველო ეტიკეტის თავისებურებების განხილვა და მათი გავლენა საზოგადოებაზე;
- ამერიკული და ქართული გასართობი და პოლიტიკური ტოკშოუს ლინგვისტური თავისებურებების გამოვლენა და მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების გამოკვეთა.

ნაშრომის **სიახლე** ისაა, რომ ამერიკული და ქართული სამეტყველო ეტიკეტის საკითხი სატელევიზიო დისკურსში, რომელიც ასახავს თანამედროვე სატელევიზიო ინტერაქტიული პროცესების რეალურ სახეს, ნაკლებად არის შესწავლილი. მოცემული თემა გარკვეულ წვლილს შეიტანს სატელევიზიო დისკურსში ეტიკეტის კვლევის საკითხში. გარდა ამისა, ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგიამ, რომელსაც ეფუძნება ჩვენ მიერ შემუშავებული კლასიფიკაცია, საშუალება მოგვცა, დეტალურად შეგვესწავლა ამერიკული და ქართული სატელევიზიო დისკურსის ეტიკეტის ენობრივი თავისებურებები.

ნაშრომის თეორიულ ბაზას წარმოადგენს მკვლევრების: რ. სვანიძის (2012), მ. ნებიერიძის (2011), დ. სართანიას (2002), ე. ლარინას (2003/2004), ნ. ფორმანოვსკაიას (1989/2008), ფ. გრაისის (1975), ა. ტოლსონის (1991), ბ. თიმბერგის (2002), ე. მარტინესის (2003), გ. ლიჩის (1983), ლ. ჰაარმანის (1999) ზ. ჰარისის (2012) და სხვათა სამეცნიერო სტატიები, დისერტაციები და მონოგრაფიები.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს სამეტყველო ეტიკეტი ქართულსა და ამერიკულ ტოკშოუებში. ესენია: **პოლიტიკური ტოკშოუები**: „არჩევანი“, „პირისპირ“, „რეაქცია“; The Washington Week”, “ The next revolution”, “Justice with Jeanine Pirro”, “Piers Morgan Tonight”;

სოციალური თემატიკის გასართობი ტოკშოუები: „ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ“, „ფარული კონვერტი“, „პრაიმ შოუ“, “Ellen Degeneres Show”, Steve Harvey’s Show; The View.

კვლევის **ზოგადი მეთოდოლოგია** უშუალოდ გამომდინარეობს ჩვენ მიერ დასახული და ფორმულირებული მიზნიდან: როდესაც ვიკვლევთ სამეტყველო ეტიკეტის და სატელევიზიო დისკურსის ლინგვისტურ თავისებურებებს ტოკშოუმში, აუცილებელია ისეთ დისციპლინათა დაკავშირება, როგორებიცაა: ლინგვისტიკა, კულტუროლოგია და ჟურნალისტური თეორია. აქედან გამომდინარე კვლევის ძირითად მეთოდოლოგიად უნდა მივიჩნიოთ **ინტერდისციპლინარიზმი**, როგორც თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პარადიგმული ტენდენცია. კვლევის დროს ასევე გამოყენებულია **დაკვირვების, აღწერილობითი და შეპირისპირებითი მეთოდები**. ეს უკანასკნელი იძლევა საშუალებას, დავინახოთ ტოკშოუს ზოგადი და ნაციონალურ-სპეციფიკური ნიშნები.

ნაშრომის **თეორიულ ღირებულებას** წარმოადგენს ის, რომ მასში თავმოყრილი და გაანალიზებულია ამ საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, გამოკვეთილია სატელევიზიო დისკურსის, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ჟანრის – ტოკშოუსთვის დამახასიათებელი თავისებურებები. ნაშრომი შეიცავს დისკურსის ანალიზის, პრაგმატიკის, ენათა ტიპოლოგიისა და კულტუროლოგიისათვის ფასეულ დაკვირვებებსა და დასკვნებს.

ნაშრომის **პრაქტიკული ღირებულება** ისაა, რომ გაანალიზებული მასალის გამოყენება შესაძლებელი იქნება დისკურსის ანალიზის, პრაგმატიკის და სემანტიკის სალექციო კურსებში. იგი ასევე დააინტერესებს ჟურნალისტებს და ჟურნალისტური თეორიით დაინტერესებულ პირებს.

ნაშრომის **სტრუქტურა** შეესაბამება მის მიზნებსა და ამოცანებს. ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, ზოგადი დასკვნების და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის არჩევანის მართებულობა, გამოკვეთილია კვლევის მიზნები და ამოცანები, ხაზგასმულია ნაშრომის აქტუალურობა და მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება. გარდა ამისა, განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტები.

ნაშრომის პირველ თავში – „სატელევიზიო დისკურსი, როგორც დისკურსის ერთ-ერთი სახე და მისი ლინგვისტური თავისებურებები“ საუბარია ზოგადად მედიადისკურსის, კერძოდ, სატელევიზიო დისკურსის თავისებურებებზე, დეტალურად არის შესწავლილი მისი ერთ-ერთი ჟანრის– ტოკშოუს ჩამოყალიბების და განვითარების ისტორია, მისი ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური თავისებურებები, ქვეჟანრები და სახეები (პოლიტიკურ-ანალიტიკური და გასართობი, სოციალურ საკითხებზე დაფუძნებული) და თავისებურებები, გამოკვეთილია მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებანი.

ნაშრომის მეორე თავში – „სამეტყველო ეტიკეტის რაობა და მისი ფუნქციები“ საუბარია სატელევიზიო სამეტყველო ეტიკეტის, მისი ფუნქციების, ნიშნების და ეტიკეტის ფორმების შესახებ.

ნაშრომის მესამე-მეოთხე თავებში გამოვლენილია ქართული და ამერიკული პოლიტიკური და გასართობი ტოკშოუების თავისებურებები, გამოკვეთილია მათ შორის არსებული ლინგვისტური მსგავსება-განსხვავებანი სამეტყველო ეტიკეტის თვალსაზრისით.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემულია კვლევის შედეგების თეორიული განზოგადება.

თავი I

სატელევიზიო დისკურსი, როგორც დისკურსის ერთ - ერთი სახე და მისი ლინგვისტური თავისებურებები

1.1. ცნება „დისკურსის“ ინტერპრეტაციისთვის. დისკურსის სახეები

კომუნიკაცია ნებისმიერი ქმედების მსგავსად დაკავშირებულია სოციალურ კონტექსტთან, რადგან ის ადამიანთა ურთიერთმიმართებას ეფუძნება. ადამიანებს კომუნიკაცია მხოლოდ იმისთვის კი არ სჭირდებათ, რომ ერთმანეთთან ურთიერთობა დაამყარონ და ინფორმაცია გაცვალონ, არამედ იმისთვისაც, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობაში საკუთარი მოკრძალებული წვლილი შეიტანონ. კომუნიკაციის ფუნქცია ისაა, რომ ადამიანთა შორის ურთიერთობები განამტკიცოს და ამით სოციალური წესრიგი დაამყაროს.

საკომუნიკაციო ენის კვლევა უშუალოდ დაკავშირებულია ზეპირმეტყველებასთან ან წერილობით ტექსტთან.

„ენისა“ და „მეტყველების“ ტერმინთა აღრევამ პრობლემური გახადა მათი კვლევის სფეროების განსაზღვრა. როგორც ცნობილია, მათი გამიჯვნის იდეა ფერდინანდ დე სოსიურს ეკუთვნის (lange – parole). ლ. ჰიელმსლევმა შემდგომ გამოყო „ენის სქემა“ და „ენის გამოყენება“, ნ. ჩომსკიმ კი – ტერმინოლოგიური წყვილი: „ენობრივი უნარი“ და „ენის ხმარება.

პ. რიკერს ენის სისტემის საპირისპიროდ შემოაქვს დისკურსის ცნება, რომელიც მას ენის რეალიზაციის საშუალებად მიაჩნია (Ricoeur, 1999 :252). მეცნიერი დისკურსის ცნებას ფართო მნიშვნელობით იყენებს და ერთმანეთისგან გამიჯნავს ზეპირსა და წერილობით დისკურსებს. დისკურსისა და ენის სისტემის განმასხვავებლად მეცნიერი შემდეგ ნიშნებს მიიჩნევს:

1. დისკურსი ყოველთვის გარკვეულ დროში რეალიზდება, მაშინ როცა ენის სისტემა ვირტუალურია;

2. ენის სისტემას არ ჰყავს სუბიექტი იმ გაგებით, რომ მას ვერ დავუსვამთ კითხვას: „ვინ ლაპარაკობს“? დისკურსში კი პარტნიორთან მიმართება ისეთი ინდიკატორების საშუალებით მყარდება, როგორებიცაა პირის ნაცვალსახელები, რაც „დისკურსის ქმედებას“ რეფლექსურს ხდის;

3. ენის სისტემის ნიშნები იმავე სისტემის შიგნით მხოლოდ სხვა ნიშნებთან არიან დაკავშირებული და დროულობა, სუბიექტურობა და სამყაროსთან მიმართება არ აქვთ, მაშინ როცა დისკურსი ყოველთვის იმ გარკვეულ „სამყაროსეულ სურათს წარმოადგენს, რომლის აღწერისა და გამოხატვის პრეტენზიაც მას აქვს (იქვე, 262). როგორც ვხედავთ, ენის სისტემა მხოლოდ დისკურსში აქტუალიზდება.

უკანასკნელ ათწლეულებში არა მარტო ლინგვისტიკაში, არამედ პოლიტოლოგიაში, სოციოლოგიაში და კომუნიკაციის თეორიაში ფართოდ გავრცელდა ტერმინი „დისკურსი“, რამაც განაპირობა მისი არაერთგვაროვანი გაგება. სწორედ ამის გამო ამ ტერმინის განმარტებებზე შევაჩერებთ ყურადღებას.

ტერმინი „დისკურსი“ სამეცნიერო მიმოქცევაში ე. ბენვენისტმა შემოიღო. თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში მისი განსხვავებული განმარტებები გვხვდება. მაგალითად, ლინგვისტიკურ და სემიოტიკურ ტერმინთა ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში **დისკურსის** სამი განსხვავებული დეფინიციაა მოცემული. პირველ განმარტებას ძირითადად ტექსტის ლინგვისტიკასა და დისკურსის ანალიზში იყენებენ. მასში „დისკურსი“ განსაზღვრულია როგორც თემატურად, კულტურულად ან როგორც რამე ნიშნით ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ერთობლიობა, რომლის განვითარება და შევსება შესაძლებელია დამატებითი ტექსტებით.

მეორე განმარტებით, რომელიც ჟ. ფუკოს მიერ არის შემოთავაზებული და სოციოლოგიაში და სოციალურ სემიოტიკაშია მიღებული, „დისკურსი არის ურთიერთობა, გარკვეული დისკურსული „პრაქტიკების“ განხორციელება. მესამე

დეფინიციას ძირითადად სოციოლოგიაში, ლოგიკასა და ფილოსოფიაში იყენებენ. აქ იგი განსაზღვრულია, როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა, რომელიც გულისხმობს სოციალური ცხოვრების ღირებულებათა, ნორმათა და წესთა რაციონალურ კრიტიკულ განხილვას და რომლის ერთადერთი მოტივია ურთიერთგაგების მიღწევა.

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=10082>).

ზ. ჰარისი დისკურსს განიხილავდა, როგორც გამონათქვამების თანმიმდევრობას, ტექსტის მონაკვეთს, რომელიც აღმატება წინადადებას (Harris, 1952:2). ამ ტერმინის განხილვის სტრუქტურულ-სინტაქსური რაკურსი ისახება ვ. ა. ზვეგინცევისეულ განსაზღვრებაში: „დისკურსი არის შინაარსობრივ კავშირში მყოფი ორი ან რამდენიმე წინადადება“ (Звегинцев,1980:6).

ნ. არუტიუნოვა ტერმინ „დისკურსს“ განიხილავს, როგორც „გამართულ ტექსტს ექსტრალინგვისტურ, პრაგმატულ, სოციოკულტურულ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორებთან ერთიანობაში“, როგორც „ცხოვრებაში ჩაღრმავებულ მეტყველებას“ (Арутюнова,1990 :136-137).

დისკურსი არის მოვლენა, რომელიც შეისწავლება წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად, ხოლო მისი ანალიზის დროს აუცილებელია სოციალური, კულტუროლოგიური და პრაგმატიკული ფაქტორების გათვალისწინება.

ე. კიროვის მიხედვით, „დისკურსი“ არის ამა თუ იმ ენაზე, ამა თუ იმ კულტურის ფარგლებში მთელი ისტორიის განმავლობაში შექმნილი წერილობითი და ზეპირი ტექსტების ერთობლიობა (Киров, 2003 :24). ცხადია, ეს პოზიცია ახლოსაა ნ. არუტიუნოვას მოსაზრებასთან იმ გაგებით, რომ დისკურსი არის წერილობითი და ზეპირი ტექსტებისა და მათი შექმნის თუ აქტუალიზაციის სიტუაციის ერთობლიობა.

როგორც განმარტებებიდან ჩანს, დისკურსის რაობის შესახებ საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს, თუმცა ზემოთ მოყვანილი განმარტებები

გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში ტერმინი „დისკურსი“ აზრობრივად უახლოვდება „ტექსტის“ ცნებას.

ს. ომიაძე ნაშრომში „ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება“ მიმოიხილავს დისკურსის განმარტებებს და ერთგვარად აჯამებს, რომ დისკურსის „არცერთი განმარტება არ არის ნათელი და სრული: ერთგან იგი წარმოდგენილია, როგორც ტექსტების ერთობლიობა, მეორეგან – დისკურსულ „პრაქტიკებში“ განხორციელებული ურთიერთობა, მესამეგან – როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა“ (ომიაძე, 2006 :18).

დისკურსი შეიძლება იყოს აკუსტიკური/ზეპირი და ვიზუალური/წერიტი. ზეპირი დისკურსი კომუნიკაციის ყველაზე ძველი და არსებითი ფორმაა. იგი, როგორც წესი, სპონტანურია, შესაბამისად, წარმავალია, არაა ფიქსირებული. „ცოცხალი მეტყველება ზეპირი დისკურსის ყველაზე გავრცელებული სახეობაა, რომელიც საუბარში ორი ან მეტი პარტნიორის მონაწილეობით, ვერბალური და არავერბალური (ჟესტი, მიმიკა, ხმის ტემბრი) საშუალებებით რეალიზდება და სპონტანური კომუნიკაციის ფორმას იღებს. ამასთან, დისკურსის ეს სახე უამრავი განმეორებით და პერიფრაზით ხასიათდება, მაგრამ არსებობს ზეპირი დისკურსის ზოგი ორგანიზებული სახეობაც (დისკუსია, დებატები, პოლიტიკური ტოკშოუ, ზეპირი მოხსენება, ლექცია და სხვა), რომლებიც არ გამორიცხავს საუბრის მასალის წინასწარ დაგეგმვას და მომზადებას.

სუბიექტური და პიროვნული ინდიკატორების არსებობა ზეპირ დისკურსში სპეციფიკურ ხასიათს ატარებს. მოლაპარაკის სუბიექტური ინტენცია და დისკურსის მნიშვნელობა ერთმანეთს გადაკვეთს, მაგრამ შესაძლებელია გავიგოთ, რა არის ამგვარი ზეპირი კომუნიკაციის საზრისი.

წერილობით დისკურსში ავტორის ინტენცია ერთმნიშვნელოვნად აღარ ემთხვევა ტექსტის იდეას. მართალია, ამ შემთხვევაში კავშირი ავტორსა და დისკურსს შორის მთლიანად არ უქმდება, მაგრამ იგი ბუნდოვანი და მრავალმნიშვნელოვანი

ხდება. ამჯერად ტექსტის ინტენცია გაცილებით შორდება ავტორის ინტენციას და მისი ინტერპრეტაცია იმ მნიშვნელობების გარემოცვაში იწყება, რომელთაც დაკარგეს კავშირი ავტორის ფსიქიკასთან. ეს ფაქტი იმავდროულად საკუთარი ინტენციის გამოვლინებასაც უწყობს ხელს, რომელიც კონტექსტურად ახალ სამყაროს ქმნის და ჩვენეული „სამყაროსეული სურათის“ გაფართოების წინაპირობას წარმოადგენს (Ricoeur, 1999: 267).

„წერილობითი დისკურსი (ტექსტი) გაუპიროვნებელ მკითხველზეა მიმართული და სცდება “face-to-face” მიმართების ვიწრო საზღვრებს, რის შედეგადაც უნივერსალური მიმართებებით, დისკურსის ადრესატი მისთვის უცნობი ხდება“ (Ricoeur, 1999:268).

გრამატიკული თვალსაზრისით წერილობითი დისკურსი რთულ და ხელოვნურ სინტაქსურ კონსტრუქციებს შეიცავს, ზეპირ დისკურსში კი წინადადებები შედარებით მოკლე და მარტივია. ეს უკანასკნელი სპონტანურია, მასში გრამატიკული ორგანიზებულობა და სიზუსტე ხშირად დარღვეულია. გარდა ამისა, ზეპირ დისკურსში საუბრის თემა იცვლება, მოსაუბრეები ერთმანეთს აწყვეტინებენ და გადაფარავენ, შესაბამისად, ხშირია დაუსრულებელი წინადადებები, რეპლიკები, პაუზები და პაუზის შემავსებლები. წერილობითი დისკურსისთვის დამახასიათებელია ფორმალური რეგისტრის ელემენტები: ოფიციალური ტონი, მწყობრი გრამატიკული კონსტრუქციები.

დ. ტანენის მიხედვით, ფუნქციური განსხვავება წერილობითსა და ზეპირ დისკურსებს შორის ჰგავს დაგეგმილ და დაუგეგმავ დისკურსებს შორის განსხვავებას: წერილობითი დისკურსი წინასწარ დაწერილი და დაგეგმილია, ხოლო ზეპირი – სპონტანური (Tannen, 1980 :208).

მკვლევარი ნ. ვლასენკო მსჯელობს სხვადასხვა ტიპის დისკურსის განსხვავებულ კოგნიტურ სისტემებსა და ენობრივ საშუალებებზე: გარდა ზეპირი და წერილობითი მეტყველებისა, დისკურსი სხვადასხვა ჟანრისაა, მაგალითად, ნარატიული, პოეტური, პოლიტიკური, რეკლამის დისკურსები, მედიადისკურსი,

სატელევიზიო, სამედიცინო, განათლების დისკურსები ან თუნდაც იურიდიული დისკურსი.

სხვადასხვა პროფესიულ დისკურსში სოციალური სინამდვილე განსხვავებული ინფორმაციულ-კოგნიტური სისტემით კონსტრუირდება, ამიტომ წარმოდგენა ერთსა და იმავე ობიექტზე აქტუალური ხდება მათში უაღრესად ინდივიდუალური ენობრივი საშუალებებით (Власенко, 1997 :18).

ჩვენი ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე მედიადისკურსზე, კერძოდ, სატელევიზიო დისკურსზე შევაჩერებთ საგანგებო ყურადღებას.

1.2. სატელევიზიო დისკურსი, როგორც მედიადისკურსის ერთ-ერთი სახე.

სატელევიზიო დისკურსის თავისებურებები

მედიის კვლევა წარმოდგენელია დისკურსული ანალიზის გარეშე. ეს ის სფეროა, რომელიც უკვე მრავალმა მეცნიერმა შეისწავლა და გააანალიზა, თუმცა დღემდე აქტიურად შეისწავლება და არ კარგავს აქტუალურობას. ენა ცოცხალი ორგანიზმია, სიახლეების წყაროა, შესაბამისად, ტერმინის განმარტება და გამოყენება ფართოვდება და იხვეწება. მეცნიერებაში სიტყვა „დისკურსის“ მნიშვნელობა გაფართოვდა და საჭირო გახდა ისეთი სფეროების კვლევა, როგორებიცაა: პოლიტიკური დისკურსი, რეკლამის დისკურსი, ინტერნეტდისკურსი და მისთ. „სხვადასხვა ლინგვისტურ სფეროებში სწრაფად მოხდა ტერმინის ადაპტაცია და მეცნიერებმაც კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე დაიწყეს კონკრეტული სფეროების დისკურსული ანალიზი (ცინცაძე, 2016 :13).

მეცნიერები მედიადისკურსს სხვა დისკურსებისაგან განსხვავებით უწოდებენ „ყველაზე დაგეგმილს“. მას უდიდესი ზეგავლენა აქვს ჩვენს ცნობიერებაზე, აზრის ჩამოყალიბებაზე. სწორედ მედიის საშუალებით ვრცელდება სიახლეები, ის უახლესი ინფორმაციის მოპოვების უმთავრესი წყაროა. აღნიშნული საშუალებებით აისახება მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები. ეს საშუალებები საფუძვლად ედება

საზოგადოებაზე მანიპულირებასა და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას (ცინცაძე, 2016 :12).

დაახლოებით იგივე აზრია გატარებული შემდეგ ციტატაშიც: „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე საუბრისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ტიპის დისკურსის ნებისმიერ ჟანრს აქვს თავისი მიზანი და შედეგი, რომელიც მიმართულია, იმოქმედოს ადრესატის ამა თუ იმ მხარეზე, მის ემოციურ ან ინტელექტუალურ სფეროებზე; აიძულოს, შეასრულებინოს მაცურებელს, მსმენელს თუ მკითხველს გარკვეული მოქმედებები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეცვალოს ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და მისი ცოდნა“ (Тырыгина, 2010 :9).

მედიადისკურსი მიეკუთვნება ისეთ ინტერაქციებს, რომლებიც ხორციელდება სამაუწყებლო პლატფორმის საშუალებით (ზეპირი თუ წერილობითი), სადაც დისკურსი არის ორიენტირებული მკითხველზე, მსმენელსა თუ მაცურებელზე (O’Keeffe, 2011 :441).

მკვლევარ პ. სქანელის მიხედვით, საუბრის ანალიზის კვლევის ობიექტს მედიაში წარმოადგენს არა მხოლოდ ვერბალური ელემენტები, არამედ სოციალური ინტერაქციაც. დისკურსული მიდგომის პოზიციებიდან გამომდინარე საუბრის ანალიზის დროს ყურადღება მახვილდება ურთიერთობისას მონაწილეების მეტყველებით ქცევაზე, სადაც აუცილებელია გავითვალისწინოთ ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ისეთი სტრატეგიული გეგმების შემუშავებაზე, ჟურნალისტისა და მოსაუბრის ქცევასა და საუბრის წარმოების კონკრეტულ ტექნოლოგიას რომ განსაზღვრავენ (Scannell, 1998 :251-267).

გამოიყოფა მედიადისკურსის ორი მთავარი ტიპი: სასაუბრო და წერილობითი. **წერილობითი მედიადისკურსი** მოიცავს ჟურნალ-გაზეთების ტექსტებს, ხოლო **სასაუბრო მედიადისკურსი** მიმართულია რადიომსმენელზე ან სატელევიზიო აუდიტორიაზე (O’Keeffe, 2011 :441).

ტერმინი „**სატელევიზიო დისკურსი**“ ფართოდ გამოიყენება სოციოლოგიაში, ეთნოკულტუროლოგიაში და, რა თქმა უნდა, ჟურნალისტიკაში. ვ. კარასიკის მიერ

შეთავაზებული კლასიფიკაციის თანახმად, სატელევიზიო დისკურსი წარმოადგენს მასობრივ-საინფორმაციო დისკურსის ნაწილს, ვინაიდან ტერმინი „მასობრივი ინფორმაცია“ მოიცავს ტელევიზიასაც (Карасик, 2000 :5).

ნ. ლუმაჩის თანახმად, მასობრივ-საინფორმაციო დისკურსის განმასხვავებელი სხვა დისკურსებისგან არის ის, რომ გამგზავნისა და ადრესატებს შორის ვერ შედგება უშუალო ინტერაქცია ტექნიკის გამოყენების გარეშე (Лумацн, 2012 :10).

მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ გამგზავნისა და ადრესატებს შორის უშუალო ინტერაქცია შესაძლებელია, ის ვერასდროს ვერ შედგება ყველა ადრესატთან. ეს თავისებურება იწვევს მასმედიის სტანდარტიზაციას და უნიფიკაციას. როგორც მეცნიერი შენიშნავს, კომუნიკაცია წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ვიღაც ხედავს, უსმენს ან კითხულობს (იქვე, 13). რადგან ტელევიზიას თავისი სპეციფიკური ნიშნები აქვს, რომლებიც მას მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისგან განასხვავებს და გამიჯნავს, ლოგიკური იქნება, სატელევიზიო დისკურსი გამოვყოთ, როგორც მასობრივ-საინფორმაციო დისკურსის ერთ-ერთი განსაკუთრებული სახეობა.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებს შორის არცერთი არ შესულა კაცობრიობის ცხოვრებაში ისე სწრაფად და არ მოუხდენია მის განვითარებაზე ისეთი დიდი ზეგავლენა, როგორც – ტელევიზიას.

მკვლევარი მ. ვოლოდინა საუბრობს ტელევიზიის ზეგავლენის შესახებ მაყურებლებზე და მიუთითებს ორგვარ: პოზიტიურსა და ნეგატიურ როლზე: სატელევიზიო ენა „საინფორმაციო საზოგადოებაში“ წარმოადგენს ეროვნული ენის მოდელს, ის აქტიურად ზემოქმედებს სალიტერატურო ენის ნორმაზე. ერთი მხრივ, იგი ამდიდრებს ჩვენს მეტყველებას ახალი სიტყვებით, მეორე მხრივ, აბინძურებს ენას ჟარგონებით, სლენგური გამონათქვამებით და უცხოური სიტყვებით (Володина, 2008 :10).

ერთ-ერთი პირველი, ვინც სატელევიზიო დისკურსის თავისებურებების შესწავლით დაინტერესდა, იყო ს. სვეტანა. მკვლევარი თვლიდა, რომ სატელევიზიო

ენა უნდა ყოფილიყო მასების ყოველდღიური საუბრის მსგავსი (Светана, 1976). სატელევიზიო მეტყველებაში სასაუბრო ელემენტების ჩართვა კი განაპირობებს იმას, რომ სატელევიზიო მეტყველებაში თავს იჩენს სასაუბრო ენის ნიშნები: არაოფიციალურობა, სიტუაციურობა, მოუმზადებლობა, უშუალობა, სტერეოტიპულობა, ემოციურობა, ყოველდღიური თემატიკა.

ენის განვითარებაზე ტელევიზიის ნეგატიური როლის შესახებ მიუთითებენ რუსი მკვლევრები: ტ. ბუდანოვა და მ. ხარლიცკიც. ტ. ბუდანოვა თვლის, რომ „ტელევიზია ხელს უწყობს ენის თანდათანობით გაუარესებას, მისი უნიკალურობის დაკარგვას. ზოგჯერ ჟურნალისტები მიზნად ისახავენ ყოველდღიური სასაუბრო სტილის, სლენგური სიტყვების, სალანძღავი გამოთქმების პროპაგანდას“ (Буданова,1996 :96).

„ყოველივე ის, რისი გამოყენებაც ყოფით საუბარშია შესაძლებელი, მასმედიის სფეროშიც დაშვებულია თანამედროვე ეტაპზე“ (Харлицкий, 1998 :59).

ერთი რამ კი ცხადზე ცხადია, სატელევიზიო დისკურსი წარმოადგენს იმ სოციალური ინსტიტუტის ენას, რომელიც პასუხს აგებს საზოგადოებაში ფასეულობების, მორალური პრინციპებისა და ქცევის ნორმების ჩამოყალიბებაზე; იგი ეროვნული ტრადიციების და ეროვნული მენტალიტეტის გამომხატველიცაა; ამასთანავე ახორციელებს რთულ კომუნიკაციას და ფლობს აუდიტორიაზე მრავალმხრივი ზემოქმედების უდიდეს პოტენციალს.

სატელევიზიო დისკურსს, როგორც მასობრივი კომუნიკაციის სახეობას, აქვს ყველა პირობა იმისთვის, რომ გავლენა მოახდინოს საერთო მეტყველების კულტურაზე და შექმნას სიახლეები ენაში. როგორც საერთო ეროვნული ენის ნაწილი, ტელემეტყველებაც იცვლება.

მკვლევრები გ. კოვალჩუკი და ვ. კოსტომაროვი (Ковальчук, 2008; Костомаров, 1999) თავიანთ კვლევებში სატელევიზიო დისკურსს შემდეგნაირად ახასიათებენ:

1) სატელევიზიო დისკურსი არაერთგვაროვანია: არაერთგვაროვანია ის ენობრივი საშუალებები თუ სამეტყველო კონსტრუქციები, რომელთაც ტელეწამყვანები იყენებენ; ტელეწამყვანთა მიერ სხვადასხვა სამეტყველო კონსტრუქციის გამოყენება განპირობებულია გადაცემის ხასიათით, ტელეწამყვანის პიროვნებით, გადაცემის ფორმატით;

2) ცენზურის გაუქმების მომენტიდან ტელეწამყვანთა მეტყველება უფრო სანდო, ღია, უშუალო და სპონტანური გახდა. მეტყველების უშუალობა და თავისუფლება იწვევს მეტყველების დაკნინებას;

3) ტელემეტყველებაზე ზემოქმედებს არამართო ისტორიული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცვლილებები, არამედ საზოგადოების სოციალური სტრუქტურაც.

თანამედროვე ტელემეტყველებაზე ზეგავლენას ახდენს ორი რამ. პირველი უკავშირდება იმ ადამიანებს, რომლებიც ტელევიზიაში მუშაობენ და კადრში ჩანან, ანუ ტელეწამყვანებს (თითოეული ტელეწამყვანი მიეკუთვნება გარკვეულ სოციალურ ჯგუფს. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ეროვნების, ასაკის, განათლების, ოჯახური მდგომარეობის, გატაცებებისა და ა.შ. მიხედვით). სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, არამართო ცალკეული ადამიანის მეტყველება, არამედ მისი დამოკიდებულება ზოგადად მეტყველებისა და კერძოდ ეთერში მეტყველების კულტურისადმი იცვლება. გარდა ამისა, ტელემეტყველებაზე ზეგავლენას ახდენს ადრესატი, ანუ იმ ადამიანთა ჯგუფი, რომელზეც მუშაობს ტელევიზია.

გ. კოვალჩუკი სატელევიზიო დისკურსის შემდეგ მახასიათებლებზე ამახვილებს ყურადღებას:

1. სატელევიზიო დისკურსის დროს აუცილებელია კომუნიკაციის პროცესის ორი მონაწილე: ადრესანტი და ადრესატი;

2. აუცილებელია ტელეკომუნიკატორსა და ტელეაუდიტორიას შორის დამყარდეს კავშირი, რომელიც თავის მხრივ შეიძლება იყოს: ა) უშუალო-პიროვნებათა შორის (მაგ., სტუდიაში, გადამღებ მოედანზე, ქუჩაში და სხვ.); ბ) გაშუალებული; გ) არასიმულური (გამოკითხვები, წერილები რედაქციას და ა.შ., რომელთა შედეგები მიღებულია თანამგზავრული, სატელეფონო კავშირით და ინტერნეტით); დ) სიმულური – ურთიერთობა ინტერაქციულ რეჟიმში (ზარები და შეტყობინებები უშუალოდ სტუდიაში გადაცემის ეთერში გასვლის დროს) (Ковальчук, 2008).

მეცნიერ მ. ფროლოვის აზრით, სატელევიზიო დისკურსი წარმოადგენს მრავალკომპონენტურ მოდელს, რომლის ფორმირებაში უნდა მონაწილეობდნენ არამარტო ჟურნალისტები და ოპერატორები, არამედ ლინგვისტები და ფსიქოლოგები, რომლებიც ქმნიან სატელევიზიო კომუნიკაციის აქტების წარმატებული რეალიზაციის პირობებს. სატელევიზიო კომუნიკაცია გულისხმობს ისეთი ძირითადი ელემენტების არსებობას, როგორებიცაა: გამგზავნები, ინფორმაციის გავრცელების არხები და მიმღებები, ანუ მომხმარებლები (Фролов, 2004 :49).

ე. ლარინაკი თვლის, რომ სატელევიზიო დისკურსის თავისებურებაა კომუნიკაციის მონაწილეების საკომუნიკაციო პოზიციების პირობითობა. შეტყობინების გამგზავნის პოზიცია ყველაზე ხშირად უჭირავს ტელეგადაცემის წამყვანს. სატელევიზიო კომუნიკაცია – ეს არის სპეციფიკური სახის კომუნიკაცია, რომელიც შემოფარგლულია პროგრამულ-ინფორმაციული სივრცის, როგორც კომუნიკაციური პრაქტიკების ერთობლიობის, ჩარჩოებით, კონკრეტული ტელეპროგრამის „დისკურსარქივით“, რომლის მიზანს წარმოადგენს გამგზავნის კოდების ეფექტური რეალიზაცია (ეფექტურად მოქმედი საინფორმაციო შეტყობინების სახით) და ადრესატის მიერ მათი წარმატებით აღქმა (Ларина, 2004 :167).

მოცემულ პარაგრაფში მოკლედ მიმოვიხილეთ სატელევიზიო დისკურსის შესახებ ზოგიერთი შეხედულება და თავისებურებები, ქვემოთ კი უშუალოდ

ტოკშოუს, როგორც სატელევიზიო დისკურსის ერთ-ერთი გამორჩეული ჟანრის, ლინგვისტურ თავისებურებებს გამოვიკვლევთ.

1.3. ტოკშოუს, როგორც სატელევიზიო დისკურსის ჟანრის, ზოგადი ლინგვისტური მახასიათებლები

სატელევიზიო მაუწყებლობის სტრუქტურა რთული და მრავალფეროვანია და იგი შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა სახეობას. სატელევიზიო დისკურსის ჟანრებია: ტოკშოუ, ინტერვიუ, დისკუსია, დებატები (Бахтин, 1979:225).

სატელევიზიო საუბრებს, კერძოდ, ტოკშოუს თანამედროვე მედიადისკურსში დიდი ადგილი უჭირავს. ის გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე. რეციპიენტს მიეწოდება ამა თუ იმ კულტურაში მისაღები, მისაბამი და სავარაუდო აზროვნების სქემები. გადაცემის ეს ფორმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ტელეეკრანებთან უამრავ ადამიანს იზიდავს, ამიტომ საქართველოშიც ტელევიზიის მესვეურები სულ უფრო მზარდ ინტერესს იჩენენ ამ ჟანრისადმი (სვანიძე, 2012 :4).

ტოკშოუ გადმოსცემს დისკურსული თვისებების გარკვეულ გრადაციას ინსტიტუციონალიზაციის კუთხით, სამეტყველო მახასიათებლებით სიტყვის გაგრძელებათა არაფორმალურ და ინსტიტუციური მახასიათებლების ოფიციალურ დასასრულს. შოუს წამყვანის პიროვნებიდან გამომდინარე, ტოკშოუს მონაწილეები აყალიბებენ სპონტანურ და მიზანმიმართულ საუბარს, ქმნიან არაინსტიტუციურ და ინსტიტუციურ როლებს, არაკონტროლირებად და წამყვანის მიერ კონტროლირებად საუბრებს, აგრეთვე თანამოსაუბრეზე, ძირითად სათქმელსა და მრავალრიცხოვან აუდიტორიაზე ორიენტირებულ საუბარს (Ilie, 2001).

საინტერესოა, რას ნიშნავს ტერმინი „ტოკშოუ“ და რა თავისებურებებით ხასიათდება იგი. ტერმინი „ტოკშოუ“ მომდინარეობს ინგლისური სიტყვებიდან (ინგლ. Talk – საუბარი; show–სანახაობა, სპექტაკლი) და ნიშნავს „სასაუბრო

წარმოადგენას“, „სასაუბრო სანახაობას“. ტოკშოუ მასმედიაში მიმდინარე საუბარია, რომელიც არანჭირებულ, ბუნებრივ საუბარს მიეკუთვნება. „იგი დამოუკიდებელი ჟანრია და წარმოადგენს ტელევიზიაში განხორციელებულ სერიულ საუბარს, რომელიც ყოველდღიურ საუბარს მოგვაგონებს კომუნიკაციური სპონტანურობის გამო“ (სვანიძე, 2012 :11).

მ. ნებიერიძე სტატიაში „ტოკშოუს, როგორც ჟანრის, ზოგადი სოციო-ლინგვისტური მახასიათებლები“ წერს: „ზოგადი დეფინიციით, ტოკშოუ არის გადაცემა, სადაც მოწვეული სტუმარი ან სტუმრები წამყვანთან ერთად განიხილავენ საზოგადოებისთვის აქტუალურ თემებს. მოწვეული სტუმრები შეიძლება იყვნენ როგორც ცნობილი, ასე ჩვეულებრივი ადამიანები“ (ნებიერიძე, 2011 :198).

სანამ უშუალოდ ტოკშოუს, როგორც სატელევიზიო დისკურსის ჟანრის, ლინგვისტურ თუ ექსტრალინგვისტურ თავისებურებებზე დავიწყებდეთ საუბარს, წარმოვადგენთ მისი განვითარების მოკლე ისტორიას როგორც ამერიკაში, ისე ბრიტანეთსა და საქართველოში.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ტოკშოუ, როგორც ჟანრი, მეოცე საუკუნეში ჩამოყალიბდა ამერიკაში და დღეს დიდი პოპულარულობით სარგებლობს მთელ სატელევიზიო სივრცეში. იგი სათავეს იღებს 1930-იანი წლებიდან. ეს ის პერიოდია, როდესაც რადიოში გაჩნდა პირველი, აუდიტორიის მონაწილეობით შექმნილი და ინტერაქციული საუბრით გაჯერებული პროგრამა. გადაცემების დიდმა პოპულარულობამ უზიდავს წამყვანებს გაეკეთებინათ ამ ტიპის სატელევიზიო შოუებიც (Signes, 2000 :9).

ნ. ტალახაძე ასე გადმოგვცემს ტოკშოუს განვითარების ისტორიას: „თავისი ადრეული წარმოშობიდან მოყოლებული, ტოკშოუ წარმოადგენს ტელევიზიისა და რადიოს მნიშვნელოვან საპროგრამო ფორმატს. იგი თავდაპირველად რადიოში წარმოიშვა ჯერ კიდევ 30-იან წლებში. აშშ-ის რადიოეთერში გადაიცემოდა ე.წ. „ბრეკფესტშოუ“ („დილის შოუ“), რომელიც წარმოადგენდა რადიოპროგრამის წამყვანთა სატელეფონო დიალოგს მსმენელებთან. სწორედ მაშინ გაირკვა ტოკშოუს

მთავარი პრინციპი: აუდიტორიის აქტიური მონაწილეობა რადიოსაუბარში, მსმენელთა დიდი რაოდენობისათვის სტუდიაში დარეკვისა და შეკითხვისა თუ საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ფაქტობრივად, ამ დროს იწყება ინტერაქციული რადიომაუწყებლობა და სწორედ ამ პრინციპის გამო ტოკშოუს რადიოში სატელეფონო შოუს სახე აქვს. რადიოდან ტოკშოუმ ტელევიზიაში გადაინაცვლა და მრავალფეროვანი ვიზუალური ეფექტებით, დეკორაციებით, სადადგმო ელემენტებით მიიზიდა მაყურებელი. სტუდიაში მასობრივი აუდიტორიის თავმოყრა და თავისებური თეატრალიზებული სანახაობის ორგანიზება (მაყურებლისათვის განკუთვნილი იარუსით, ექსპერტებისთვის გამოყოფილი ადგილით, წამყვანის სამოდრაო სივრცით და სხვა) ტელევიზიის პრეროგატივად იქცა.

ამერიკულ ტელევიზიაში პირველი ასეთი პროგრამა იყო „შეხვედრა პრესასთან“, რომელიც პირველად 1947 წელს გავიდა ეთერში. წამყვანი, მართა როუნთრი, იყო პირველი ქალი ტელევიზიის ისტორიაში, რომელმაც დისკუსიები ზომიერი გახადა, ვინაიდან მასში მონაწილეობდნენ პოლიტიკოსები და სხვა სახელმწიფო ლიდერები. ტელევიზიის მხრიდან საზოგადოებაზე გავლენის გაზრდამ გამოიწვია ტოკშოუს ფორმატის გაფართოების საჭიროება. 1952 წელს NBC-ზე პირველად გავიდა ეთერში ტოკშოუ “Today” (ტელეწამყვანი დეივ გარუვეი). მალე სხვა არხებზეც გამოჩნდა მსგავსი სახის პროგრამები, მაგ. „Morning Show” CBS-ზე, რომლის წამყვანი იყო უოლტერ ქრონჩაითი. ვინაიდან ტელევიზია უფრო და უფრო ვრცელდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ტოკშოუში გაჩნდა მეტი გართობა და ფართო საზოგადოებისთვის საინტერესო ელემენტები. „Tonight Show”-მ, რომელიც პირველად 1954 წელს გამოვიდა (ტელეწამყვანები: სტივ ალენი, ჯონი ქარსონი), საფუძველი ჩაუყარა ღამის ტოკშოუს ჟანრს, რომელიც დღესაც არ კარგავს პოპულარულობას (Dictionary of American History) (ტალახაძე, 2013 :57).

ერთ-ერთი წყაროს თანახმად, ტოკშოუს ჟანრის წარმოშობა უკავშირდება მსოფლიოში ცნობილი ტელეჟურნალისტის, ფილ დონაჰიუს („ფილ დონაჰიუს შოუს“ წამყვანი) სახელს. იგი დღის საათებში მანამდე წარმოუდგენელი თავისუფლებით

განიხილავდა საზოგადოებრივ თემებს. მან ტრადიციული ტოკშოუს წესები დაამსხვრია: სტუმრები ხშირად სცენაზე ისხდნენ, თავად კი მიკროფონით მაყურებელთა რიგებში მოძრაობდა. ტელემაყურებლებს შეეძლოთ ტელეფონით უშუალოდ ჩართულიყვნენ დისკუსიაში და ამასთანავე ანონიმურობა შეენარჩუნებინათ. ასე შეიქმნა დონაჰიუს სტილი, რომელსაც ბასრი, მკვახე, გაბედული, კატეგორიული შეკითხვები და იუმორი ახასიათებდა (Rose,1985 :338).

სხვადასხვა ქვეყანაში ტოკშოუს შექმნისა და განვითარების ისტორია განსხვავებულია. ამერიკა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო პირველი ქვეყანა, სადაც ეს ჟანრი აღმოცენდა. თანდათანობით სხვა ქვეყნებშიც დაიწყო ამერიკული მოდელის მიხედვით ადგილობრივი შოუების შექმნა-გადაცემა. ბუნებრივია, ყოველივე ეს განაპირობებდა ამერიკული გავლენის არსებობას.

ქართულ ტელევიზორებში პირველი ტოკშოუ (პოლიტიკური ინტერაქტიული „ღამის კურიერი“) 1998 წლით თარიღდება. ამ დროიდან მოყოლებული გაჩნდა ათეულობით ასეთი შოუ. ახალი ტიპის გადაცემები ძალიან პოპულარული გახდა, ვინაიდან მკვეთრად შეიცვალა ტელეაუდიტორიასთან ურთიერთობის სტილი.

რ. სვანიძე თავის ნაშრომში განიხილავს ქართული ტოკშოუების ოთხ ძირითად ფაზას. პირველი ფაზა საქართველოში იწყება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ღამის კურიერით“, რომლის წამყვანი გიორგი სანაია იყო და საღამოს პოლიტიკური ტოკშოუ „ღამის მზერით“ ინგა გრიგოლიასთან ერთად.

მეორე ფაზა ახალი ფორმატის დამკვიდრებით გამოირჩევა. 2003 წლის 12 სექტემბერს „რუსთავი 2-ის“ ეთერში პირველად გადის „ღამის შოუ დავით გოგიჩაიშვილთან ერთად“, რომელიც საქართველოში ამ ჟანრის დამფუძნებლად შეიძლება მივიჩნიოთ. 2006 წლის სეზონიდან გადაცემის წამყვანია ვანო ჯავახიშვილი და შესაბამისად მისი სახელწოდებაა „ვანოს შოუ“. 2011 წლის 16 სექტემბრიდან ამ იუმორისტულ ტოკშოუს ეწოდება „The ვანო's Show“ და გადის ყოველ პარასკევს, 22:00 საათზე. გადაცემა შედგება შემდეგი რუბრიკებისაგან: იუმორისტული მონოლოგები აქტუალურ თემებზე, უშუალო და იუმორით

გაჯერებული საუბარი გადაცემის პოპულარულ სტუმრებთან, მუსიკალური ნომრები და ა.შ.

მესამე ფაზაში, რომელიც 2004-დან 2009 წლამდე გრძელდება, ტოკშოუს ბუმი. ამ პერიოდში სამივე ნაციონალურ არხზე შემდეგი პოლიტიკური ტოკშოუები გადიოდა: „რუსთავი 2-ზე“ „თავისუფალი თემა“, „არჩევნები 2004“, „არჩევანი“, „პრაიმტაიმი“, „სამკუთხედი“, „უპასუხეთ ხალხს“, „პოზიცია“, იმედზე „რეაქცია“, საზოგადოებრივ მაუწყებელზე „არგუმენტი“, „მსოფლიო დღეს“, „დღის კომენტარი“, „იტალიური ეზო“ („ჩვენი ეზო“), „პირველი თემა“, „აქცენტები“, „პოლიტიკური კვირა“. „პოლიტიკური კვირის“ გაუქმება მესამე ფაზის დასასრულს უკავშირდება. ამ პერიოდის პოლიტიკური ტოკშოუს სახეები არიან: ინგა გრიგოლია, ეკა ხოფერია და ეკა კვესიტაძე.

მეოთხე ფაზა გამოირჩევა გასართობი ტოკშოუების სიმრავლით. ძველ ტოკშოუებს ახლებიც დაემატა. „ნანუკა ჟორჯოლიანის შოუში“ არაფორმალური, ბუნებრივი და გულწრფელი საუბრით ერთობა მაყურებელი. წამყვანი არ ცდილობს ტექსტების გაზეპირებას, რადგანაც მიაჩნია, რომ ჟურნალისტსაც შესაძლებელია, შეეშალოს. „იმედი“ და „რუსთავი 2“ ყოველდღიური ტოკშოუებით: „დღის შოუ“ და „შუადღე“ ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. პოლიტიკური ტოკშოუ მხოლოდ მაუწყებელზე შენარჩუნდა: „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“, „აქცენტები“, „ევროპული არჩევანი“ (სვანიძე, 2012 :41-42).

1960-იან წლებში ბრიტანეთის სატელევიზიო მაუწყებლობამ იცვალა სახე და ავტორიტარულიდან უფრო პოპულისტური და დემოკრატიული გახდა (Scannell, 1998 :251-267). ტოკშოუმაც იგივე განვითარება ჰპოვა. ე. მარტინესი აღნიშნავს, რომ ტოკშოუ გადაიზარდა წამყვანსა და ვარსკვლავს შორის საუბრიდან ისეთ შოუმდე, რომელშიც მეტი ასპარეზი ეთმობა აუდიტორიის მსჯელობებს (Martínez, 2003 :283).

ა. ტოლსონი აღნიშნავს, 1980-იან წლებში ტოკშოუმ რიგი ცვლილება განიცადა, წამყვანებმა უფრო მეტად გაათვითცნობიერეს მასში საუბრების მრავალმხრივი შესაძლებლობები, როგორც ბრიტანეთში, ასევე ამერიკის შეერთებულ შტატებშიც

(Tolson, 1991 :181). ასეთი განვითარებით ტოკშოუს პოპულარულობა ბევრად გაიზარდა. მეცნიერს მოჰყავს ჯ. შატუკის მოსაზრება, რომ 1990-იან წლებში ტოკშოუ წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჟანრს ამერიკის ტელევიზიაში (Tolson, 1997 :1).

ნ. ტალახაძე საგანგებო ყურადღებას ამახვილებს ამგვარ შოუში წამყვანის საგანგებო როლსა და განსაკუთრებულ უნარებზე, რომ ტოკშოუ შესაძლებელია ეხებოდეს თითქმის ყველა სფეროს: პოლიტიკას, ეკონომიკას, სოციალურ საკითხებს, შოუბიზნესს და ა. შ. იგი უნივერსალური ფორმატისაა და იყენებს სხვადასხვა ჟანრის ელემენტებს: საუბარს, ინტერვიუს, დისკუსიას, აუდიო- და ვიდეოკლიპებსაც და ა. შ., მაგრამ მის ცენტრში ყოველთვის დგას წამყვანი, რომელსაც ბევრ ქვეყანაში მოდერატორს უწოდებენ, იგი წარმართავს დისკუსიას, მაგრამ მასში არ მონაწილეობს, საკუთარ აზრს არ გამოხატავს. ის იმპროვიზაციის უნარის მქონე ადამიანი უნდა იყოს, რომელიც თავად ამზადებს საჭირო მასალას, აყალიბებს გადაცემის ფორმატს, უზრუნველყოფს ჩანაფიქრის კომპოზიციას, მის ერთიანობას და ცდილობს, აუდიტორია აქციოს შოუს აქტიურ მონაწილედ (ტალახაძე, 2013 :58).

ტოკშოუებისთვის დამახასიათებელია ინფორმაციის პერსონიფიკაცია, ანუ მისი დაკავშირება რეალურ პერსონასთან, კონკრეტულ პიროვნებასთან. ეს ხელს უწყობს აუდიტორიის ნდობის მოპოვებას, რაც კომუნიკატორისაგან სპონტანურობას, უშუალობას, პარტნიორის პატივისცემას, იმპროვიზაციასა და ბევრ სხვა თვისებას მოითხოვს. ევრანზე გამოსასვლელად არ კმარა ინფორმაციის ფლობა, საჭიროა აუდიტორიისათვის მისი მიწოდების ფორმების ცოდნაც, იგივე პროფესიული ოსტატობა, ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, ემოციური კონტაქტის დამყარების ნიჭი, კომუნიკაბელურობა, ზეპირი მეტყველების ტექნიკის სრულყოფილად ფლობა, კამერის წინ ქცევის თავისუფალი და დამაჯერებელი მანერა.

ლ. ალადაშვილი აღნიშნავს, რომ პერსონიფიკაციის დონე მით უფრო მაღალია, თუ ჟურნალისტი ევრანული ქმედების მონაწილეა და, ამავდროულად, თანაგრძნობითი იდენტიფიკაციის ობიექტიც ხდება. ამგვარად, წამყვანი არის მნიშვნელოვანი პერსონა, რომელიც განსაზღვრავს ინფორმაციის აღქმას. მისი

ქმედებები, ჟესტები, მეტყველება და სიტყვების გამოკვეთა დიდ გავლენას ახდენს მაყურებელზე და, შესაბამისად, ინფორმაციის აღქმაზეც (ალადაშვილი, 2015 :12).

ე. ლარინა თავის ნაშრომში საუბრობს ტოკშოუს ჟანრის შემდეგ ძირითად ექსტრალინგვისტურ ნიშნებზე:

1) წამყვანი – ბრწყინვალე მეტყველების მქონე პიროვნება, რომელსაც შეუძლია საუბარი ნამდვილ სანახაობად აქციოს;

2) სტუდია, სადაც ხდება ძირითადი მოქმედება;

3) პროგრამის სტუმრები;

4) მსჯელობა კონკრეტულ თემაზე;

5) მაყურებლები სტუდიაში;

6) მუსიკალური ჩანართი – „ტოკშოუს“ სავიზიტო ბარათი (Ларина, 2003 :2-3).

მკვლევარი ჟანრის მეორეხარისხოვან ექსტრალინგვისტურ ნიშნებსაც ასახელებს:

1) დისკუსიაში ექსპერტების მონაწილეობა;

2) დისკუსიაში მაყურებლების მონაწილეობა;

3) თანაწამყვანები;

4) წამყვანის თანაშემწეები;

5) კენჭისყრის პულტები;

6) „სანახაობრიობის ეფექტის“ გამამძლიერებელი მეთოდები (აუდიო- და ვიდეომასალების, ტელე- და კინოფილმების ფრაგმენტების, ფოტოსურათების ჩვენება: მუსიკალური ჩართვები; მომღერლების, მოცეკვავეების გამოსვლები;

სტუდიაში სტუმრებისა და მაყურებლების პროფესიული ოსტატობის დემონსტრაცია და ა.შ.) (იქვე, 3).

მ. ნებიერიძე ასახელებს ტოკშოუს მახასიათებლებს თავის სტატიაში: „ტოკშოუს, როგორც ჟანრის, ზოგადი სოციოლინგვისტური მახასიათებლები“ (ნებიერიძე, 2011:202-205).

ტოკშოუს არ აქვს სცენარი, თუმცა ის დაგეგმილია. მას ჰყავს წამყვანი ან წამყვანები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გადაცემაზე და ერთგვარი დირიჟორის ფუნქციას ასრულებენ.

წამყვანები სარგებლობენ დიდი პოპულარულობით, ისინი არიან სახეები, რომლებიც ყიდიან პროდუქტს. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ შოუთა სახელწოდებები ხშირად შეიცავს წამყვანების სახელებს, მაგალითად: *ნანუკას შოუ*, *The ვანოს შოუ*, *The Ellen DeGeneres Show*, *The Alan Titchmarsh Show* და ა.შ. ყოველ ტოკშოუს აქვს თავისი ქუდი და მუსიკა. ქუდი შეიცავს ნაწყვეტებს სხვადასხვა სერიიდან ან სპეციალურ ვიდეოკლიპს, რომლის დამთავრების შემდეგაც იწყება თავად გადაცემა. ტოკშოუში თანმიმდევრობა არის წინასწარ განსაზღვრული და წარმოადგენს საუბრის, არავერბალური ელემენტების (ტაში, მუსიკა) და სხვადასხვა ვიდეომასალის ნაზავს.

ყოველი ტოკშოუ, მიუხედავად ჟანრობრივი ნაირფეროვნებისა, სტრუქტურულად ერთნაირია: შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: შესავალი, ინტერვიუ და დასკვნა. ძირითადი ნაწილი აგებულია კითხვა-პასუხზე. ყოველ გადაცემას ჰყავს სტუმარი ან სტუმრები, რომლებიც კითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებით გვიყვებიან რაიმეს; საუბარი ყოველთვის აწმყო დროშია, იქნება ეს პირდაპირი ჩანაწერი თუ განმეორება. ტოკშოუ პროდუქციაა, რომელიც კონკურენციას უწევს სატელევიზიო სივრცეში არსებულ სხვა პროდუქტებს (ნებიერიძე, 2011 :202-205).

ზემოაღნიშნული თვისებები უნივერსალურია და ყველა ქვეყნის ტოკშოუებისათვის არის დამახასიათებელი.

მ. ნებიერიძე ყურადღებას ამახვილებს ტოკშოუს ყველა ქვეჟანრისათვის დამახასიათებელ დისკურსის სამ მონაწილეზე: **ადრესანტზე, ადრესატსა და აუდიტორიაზე**, რომელთა შორის კომუნიკაციაც ორ დონეზე წარიმართება, ესენია: კომუნიკაციის შიდა წრე – ის, რაც ხდება სტუდიაში –კომუნიკაცია სტუდიაში მყოფ ადრესანტს, ადრესატსა და აუდიტორიას შორის და კომუნიკაციის გარე წრე –ანუ ტელემაცურებელი, ეკრანი და სტუდიაში მყოფი მონაწილეები. შიდა წრისთვის არხი არის მეტყველება, ხოლო გარე წრისთვის, მეტყველების გარდა, საჭიროა სატელევიზიო სიგნალი და ტელევიზორიც (ნებიერიძე, 2011 :205).

ე. ლარინა სტატიაში „Ток-шоу, как жанр телевизионного дискурса и его конститутивные признаки“, საუბრობს ტელეწამყვანის ორ ძირითად სახეზე. ესენია: **1) წამყვანი-ინტერვიუერი; 2) წამყვანი-მოდერატორი** (Ларина, 2004 :2-3).

წამყვანი-ინტერვიუერის როლის შესრულებისას წამყვანი არამარტო უსვამს შეკითხვებს გადაცემაში მოწვეულ ადამიანებს, არამედ მწყობრ და ზუსტ მიმართულებას აძლევს მის აზრებს, წამოჭრის პრობლემას, გამოაქვს დასკვნები, კომენტარს უკეთებს სტუდიაში მომხდარს, გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას. როგორც წესი, ამ როლში გასართობ და დეტექტიურ ტოკშოუში წამყვანი გამოდის;

წამყვანი-მოდერატორის როლი ნაწილობრივ განსხვავებულია. მოდერატორი, ისევე, როგორც ინტერვიუერი, უსვამს კითხვებს ტოკშოუს მონაწილეებს, რომლებიც, როგორც წესი, იზიარებენ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს, წამოჭრის პრობლემას, მაგრამ, ინტერვიუერისაგან განსხვავებით, არ გამოთქვამს საკუთარ აზრს. გარდა ამისა, მოდერატორი თვალს ადევნებს დროის სამართლიან განაწილებას, რასაც იყენებენ მსჯელობის მონაწილეები თავისი აზრების გამოთქმისას. ამ როლში წამყვანი, როგორც წესი, გამოდის პოლიტიკურ-ანალიტიკურ ტოკშოუში (იქვე, 2-3).

ტოკშოუს წარმატებისთვის „საუბრის მოყვარული“ სტუმრები ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მოდერატორი. ეს უკანასკნელი თავის პროფესიონალიზმს, უპირველეს ყოვლისა, იმით ამტკიცებს, რომ შეგნებულად დგება ჩრდილში და

სტუმრებს უფრო მეტი დისკუსიის საშუალებას აძლევს, თუმცა უამრავი ტოკშოუსა, რომლებშიც წამყვანი დომინირებს.

როგორც ვხედავთ, ტოკშოუს, როგორც სატელევიზიო დისკურსის ჟანრის, მიზანია ტელეკომუნიკატორსა და ტელეაუდიტორიას შორის ისეთი დიალოგის წარმართვა, სადაც “საზოგადოებრივად მნიშვნელოვან თემებზე, პირადი, ოჯახური ცხოვრების პრობლემებზე მსჯელობისას სხვადასხვა პოზიცია ირკვევა და ერთობლივი გადაწყვეტილებები მიიღება“ (იქვე, 4).

რ. სვანიძე მსჯელობს ტოკშოუს მნიშვნელობის შესახებ, რომ არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, იგი დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასა და დემოკრატიზაციაში. ის დღეს ადამიანის სოციოკულტურული ცხოვრების მოთხოვნილებად იქცა, რომელსაც აქვს, ან ძალუმს ჰქონდეს ზემოქმედება ადამიანის მსოფლხედვაზე, აზროვნებაზე, მის ეროვნულ კულტურასა და ენაზე. ამ გზით შესაძლებელია ერის კონცეპტოსფეროში შეღწევა. ტოკშოუს მიზანია ფართო მასების დაინტერესება სატელევიზიო საუბრებით, რათა ერთობლივად გადაწყვიტონ და განსაჯონ მნიშვნელოვანი საკითხები (სვანიძე, 2012 :49).

1.4. ტოკშოუს ძირითადი ქვეჟანრები/ტიპები

ჩვენ ზემოთ მოკლედ ვისაუბრეთ ტოკშოუს, როგორც ჟანრის, განვითარების ისტორიასა და თავისებურებებზე, მაგრამ არაფერი გვითქვამს მის ჟანრებსა და ძირითად ტიპებზე. მკვლევრები ტოკშოუს სახეთა სხვადასხვაგვარ კლასიფიკაციას იძლევიან. ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე ცნობილი მკვლევრის კლასიფიკაციას.

ბერნარდ თიმბერგი ტოკშოუს სამ ძირითად ქვეჟანრს გამოყოფს. მისი კლასიფიკაცია ემყარება დროის ასპექტს, თუ როდის გადის გადაცემა ეთერში. ეს ქვეჟანრებია:

1. **გვიანი ღამის გასართობი ტოკშოუ (The Late-Night Entertainment Talk Show)** – ეს ქვეყნური ყველაზე მეტად გავრცელებულია და ტოკშოუს ხსენებაზე ბევრს სწორედ ამ ტიპის შოუ წარმოუდგება თვალწინ. ამ ტიპის ტოკშოუსთვის დამახასიათებელია ახალი ამბების, გართობისა და კომედიური ჟანრის მონოლოგების შერწყმა. მეტიც, ამ სახის შოუსთვის დამახასიათებელია მხიარული შეხვედრები ცნობილ სტუმართან ან სტუმრებთან, რომლებიც წამყვანთან ახლოს სხედან. სტუმრები განეკუთვნებიან სხვადასხვა სფეროს, ხელოვნებიდან დაწყებული პოლიტიკით დამთავრებული. ტოკშოუს ეს ქვეყნური სხვა ქვეყნების მსგავსად შედგება სამი ნაწილისგან: შესავალი, ინტერვიუ და დასკვნა.

2. **დღის აუდიტორიის მონაწილეობით შექმნილი შოუ (The Daytime Audience Participation Show)**–ყველაზე მეტი შინაარსობრივი და სტრუქტურული მოდიფიკაცია ამ ქვეყანაში განიცადა. იგი სათავეს იღებს ამერიკიდან, სწორედ მისგან წარმოიშვა ტოკშოუ, როგორც სატელევიზიო ჟანრი. ამ ტიპის შოუებში აუდიტორია პირდაპირ ჩართული იყო. ისინი საუბრობდნენ წამყვანებთან, მოწვეულ სტუმრებსა და ცნობილ ადამიანებთან ერთად. ეს ქვეყნური ორიენტირებული იყო ძირითადად მდებარეობითი სქესის უმუშევარ მაცურებელზე და როგორც ს. სიგნესი ამბობს, იგი გახდა ყველაზე საყვარელი სატელევიზიო გადაცემა ქალებისათვის, რომელმაც სერიალებიც კი ჩაანაცვლა ამერიკაში (Signes,2000:9-11). 90-იან წლებში ისინი შეცვალა ტაბლოიდურმა, ანუ სკანდალურ ისტორიებზე ორიენტირებულმა შოუებმა.

3. **დილის ახალი ამბების ჟურნალის ფორმატის შოუ (The Early-Morning News TalkMagazine Show)**– ნაზავია ახალი ამბებისა და გასართობი შოუსი. 1940-იან წლებში რადიოს ჰქონდა ტოკშოუს ფორმატის სხვადასხვა შოუ დილით, თუმცა ტელევიზია მხოლოდ მაშინ იწყებდა ამ ჟანრის ექსპერიმენტირებას და სხვადასხვა არხზე გამოჩნდა დილის შოუები. ისინი ეთერში გადიოდა ძირითადად დღის თორმეტ საათამდე. ამ ტიპის ტოკშოუსათვის დამახასიათებელია რამდენიმე სხვადასხვა პროფესიის წამყვანი, რომლებიც მოწვეულ სტუმართან ერთად განიხილავენ რაიმე თემას. ამ ფორმატშიც დაცულია სამი ნაწილი, თუმცა ისინი განსხვავდება წინა ორი ქვეყნურისაგან იმით, რომ შესავალი ნაწილი უფრო მოკლეა. ინტერვიუს ნაწილში,

კითხვების გარდა, წამყვანები ასევე ყვებიან თავიანთ ისტორიებსაც. ისინი ყოველდღიური გადაცემებია (Timberg, 2002 :6-9).

ა. კრაუზე და ე. გერინგი განასხვავებენ სამი კატეგორიის ტოკშოუს. ესენია: ინფორმაციულ-პოლიტიკური ტოკშოუ (Meet the Press), გასართობი ტოკშოუ (The Tonight Show) და სოციალურ საკითხებზე დაფუძნებული ტოკშოუ (Sally Jesse Raphael, Oprah), (Krause and Goering, 1995).

აღნიშნულ კლასიფიკაციასთან ახლოსაა რუსი მკვლევრის, გ. კუზნეცოვის, კლასიფიკაცია, რომლის თანახმადაც ტოკშოუთა შემდეგი სახეები არსებობს: გასართობი ტოკშოუ, პოლიტიკურ-ანალიტიკური ტოკშოუ (მიმართულია პოლიტიკურ საკითხებზე, მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი სახელმწიფო და საზოგადოებრივი პრობლემების განხილვას), დეტექტიური ტოკშოუ (ეძღვნება უცნაური, დახლართული და კურიოზული სიტუაციების გამოძიებას); ინტელექტუალური ტოკშოუ; პაროდიული ტოკშოუ (განიხილება, როგორც პაროდია ტოკშოუს ზემოაღნიშნულ სახეობებზე) (Кузнецов, 1998 :58).

ლ. ჰაარმანი განასხვავებს ტოკშოუს სამ კატეგორიას. ესენია: საღამოს ვარსკვლავური ფორმატის შოუ (Jay Leno's Tonight); საზოგადოებრივ საკითხებზე ორიენტირებული ფორმატის შოუ (Oprah); აუდიტორიის დისკუსიის ფორმატის შოუ (Kilroy), (Haarman, 1999).

ჩვენ ყველაზე მართებულად კრაუზე-გერინგისა და მეტ-ნაკლებად კუზნეცოვის კლასიფიკაცია მიგვაჩნია. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თავის დროზე პოპულარული ბ. თიმბერგის კლასიფიკაცია, რომელიც დროზე იყო ორიენტირებული, აღარ მიესადაგება სინამდვილეს. შეუძლებელია დროის მონაკვეთის მიხედვით ტოკშოუების დაყოფა. სხვადასხვა ქვეყანაში ადგილობრივი სინამდვილიდან გამომდინარე ერთი და იმავე ქვეყანის ტოკშოუები სხვადასხვა დროს გადის.

ტოკშოუთა ჩვენეული კლასიფიკაცია ასეთია: ჩვენ ამოვდივართ კრაუზე-გერინგის კლასიფიკაციიდან, რომლის მიხედვითაც შოუთა ორი ძირითადი სახე

გამოიყოფა: პოლიტიკურ-ანალიტიკური/ ინფორმაციულ-პოლიტიკური ტოკშოუ („ანალიტიკური ტოკშოუ 2030“, „არჩევანი“, „ბარიერი“, „პირისპირ“, „ღია ეთერი“) და გასართობი – სოციალურ საკითხებზე დაფუძნებული ტოკშოუ („პრაიმ შოუ“), ვამატებთ გასართობი ტოკშოუების ქვეტიპებს: ტაბლოიდური/სკანდალურ ისტორიებზე ორიენტირებული ტოკშოუ („სხვა რაკურსი“, „ფარული კონვერტი“), ინტელექტუალური შოუ („ცოდნა ფულია“, „ეკივოკი“, „ეტალონი“), სატირულ-იუმორისტული ტოკშოუ („ღამის შოუ ბახუტასთან ერთად“, რომელიც ჩაანაცვლა „ღამის შოუმ გიორგი გაბუნიასთან ერთად“ „ოთარ ტატიშვილის შოუ“, „The ვანოს შოუ“), სპორტული ტოკშოუ („სპორტი“). რაც შეეხება დეტექტიურ ჟანრს, იმედზე გაჩნდა ასეთი ახალი გადაცემა „პოლიციის ფაილები“.

1.4.1. გასართობი – სოციალურ საკითხებზე დაფუძნებული ტოკშოუს თავისებურებები

მკვლევარი გ. კუზნეცოვი ტოკშოუს განმარტავს, როგორც დინამიკურ სპექტაკლს და ასახელებს ამ ჟანრისთვის დამახასიათებელ ნიშნებს: საუბრის სიმსუბუქე, წამყვანის არტისტულობა და აუდიტორიის აუცილებელი თანდასწრება. იგი დასძენს, რომ ეს ნიშნები დამახასიათებელია უპირველესად მსუბუქი ჟანრის-გასართობი ტოკშოუსთვის, რომლის მიზანიცაა ტელეაუდიტორიის გართობა, მათთვის ცხოვრებისეული გამოცდილების შეძენა- გადაცემა (Кузнецов, 1998).

მედია მყურებლის წინაშე ობიექტური რეალობა უნდა ასახოს. ეს ეხება გასართობ შოუებსაც, რომლებიც ქმნიან სანახაობას, ემოციურ მუხტს. ამას გადამდები ეფექტი აქვს. მყურებელი ეკრანიდან წამოსულ ინფორმაციას ზოგჯერ კრიტიკული დამოკიდებულების გარეშე აღიქვამს, მაგრამ ზოგჯერ არცერთ დეტალს არ პატიობს ჟურნალისტს და კრიტიკულად აკვირდება მას. ჟურნალისტურ კრიტიკას თავს გასართობი შოუებიც კი ვერ აღწევენ. სტანდარტი სტანდარტია, რომლის დაცვა ნებისმიერ დროს მოეთხოვება ჟურნალისტს, რა სახის პროდუქტსაც უნდა ქმნიდეს ის, მაინც უნდა მოახერხოს, ყველაფერი ეთიკის

ნორმებს მოარგოს და ხარისხიანი მასალა შესთავაზოს მაცურებელს. თანამედროვე ტოკშოუების უმეტესობა გათვლილია აუდიტორიაზე, რომელთა ასაკობრივი ჯგუფი მერყეობს 18-35 წლამდე. ასეთი ტიპის გასართობი ტოკშოუები ხშირ შემთხვევაში გაჯერებულია იუმორისტული გამონათქვამებით (კუბლაშვილი, 2015).

გასართობი ტოკშოუების საერთო ნიშანი სტუდიაში მოწვეული მრავალი სტუმარია. თემის შერჩევის პრინციპი არის საზოგადოებისათვის აქტუალური და მოგებიანი თემები, რომლებიც გადაცემის მაღალ რეიტინგს უზრუნველყოფს. თითქმის ყველა ტოკშოუ თითოეულ გადაცემაში უმეტესწილად ერთ თემას ირჩევს.

ყოველი გადაცემის ქრონომეტრაჟი საშუალოდ 90 წუთია, მაგრამ გამონაკლისს აქაც წარმოადგენს ზოგიერთი ტოკშოუ, რომლის ქრონომეტრაჟიც თემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე 120 წუთს უახლოვდება და აჭარბებს. ყველა გადაცემა ცდილობს, თავის მაცურებელს სიახლე პირველმა და ექსკლუზიურად მიაწოდოს. კითხვები უმეტესწილად მსგავსია და ხშირად პირადი ცხოვრების დეტალებს ეხება. მათი გამაერთიანებელი ნიშანია ექსკლუზივზე ნადირობა. ხშირია პარანორმალური მოვლენების, როგორც აპრობირებული რეიტინგული თემების, გაშუქებისა და მათ შესახებ საუბრის შემთხვევები (კაკაბაძე, 2012 :2).

გარდა შოუმენის სპეციფიკური უნარების აუცილებლობისა, ნ. ტალახაძე საჭიროდ მიიჩნევს წამყვანებად სწორედ მსახიობთა, მოდელთა ან ხელოვნების მუშაკთა მიწვევას: რაც შეეხება გასართობი შოუს წამყვანს, ე.წ. შოუმენს, იგი, გარდა იმპროვიზაციის უნარისა, უნდა ფლობდეს ჟურნალისტის ხელობას პროფესიულ დონეზე და მსახიობური მონაცემებიც უნდა გააჩნდეს. ალბათ, ამით აიხსნება ასეთი ტიპის შოუებში მსახიობების, მოდელების და სახელოვნებო დარგის ადამიანების მოწვევა წამყვანებად (ტალახაძე, 2013 :59).

ბევრი ქართული ტოკშოუ: „ნანუკას შოუ“, „პრაიმ შოუ“, სხვა რაკურსი“ და მსგავსი გადაცემები, გარდა იმისა, რომ გასართობი ხასიათისაა, ფართო აუდიტორიას სთავაზობს აქტუალური სოციალური თემების განხილვასა და ანალიზს. ასეთ პრობლემებს მიეკუთვნება: უმუშევრობა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, ქვეყნის

დემოგრაფიული სიტუაცია, ღალატი, ექვიანობა და ა.შ. ტოკშოუს სტუდიაში მოწვეული არიან ექსპერტები: ფსიქოლოგები, ჟურნალისტები, ექიმები, რომელთა ჩართულობის საფუძველზე გადაცემაში საუბარია ამა თუ იმ სოციალური პრობლემის გადაჭრის გზებზე.

თემატიკის არჩევისას სოციალური სფერო ყველაზე აქტუალურია. მკვლევრები, რომლებიც მუშაობენ ჟურნალისტიკის სფეროში არსებულ სოციალურ პრობლემატიკაზე, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებენ იმ პრობლემებზე, რომლებიც საზოგადოების თვითშენარჩუნებისათვის საფრთხესა და საშიშროებას წარმოადგენს.

„პრაიმ შოუ“ ქართული გასართობი და ამავე დროს სოციალური ტოკშოუა, რომელიც გადის ტელეკომპანია “იმედის“ არხზე. გადაცემის მიზანია მაყურებელთან ინტერაქცია, სოციუმში არსებული რეალობის ფართო მასებისთვის წარდგენა და პრობლემების აღმოფხვრის გზებზე მსჯელობა. ტოკშოუს მსვლელობაში წამყვანებთან ერთად აზრთა სხვადასხვაობის საფუძველზე ორად გაყოფილი აუდიტორიაც ერთვება, რომელიც კომპეტენტურ ექსპერტთან ერთად თემატიკასთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს აქტიურად განიხილავს.

სტივ ჰარვის შოუ ამერიკული სოციალური ტოკშოუა, რომელიც გადის NBC - ის არხზე. მისი წამყვანია ცნობილი ამერიკელი მსახიობი სტივ ჰარვი. ტოკშოუს დასაწყისში წამყვანი გამოდის, ესალმება მაყურებლებს, ყვება საინტერესო სიახლეს და იწყებს გადაცემის პირველ ნაწილს, „ჰკითხე სტივს“ (ask Steve). ამ ბლოკში აუდიტორიასთან აქტიური ურთიერთობა მყარდება.

სტუდიაში მოწვეული არიან დაინტერესებული ადამიანები, რომლებსაც სურთ, დაუსვან სტივს მათთვის საინტერესო კითხვები. ეს კითხვები თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია მწვავე საოჯახო-საყოფაცხოვრებო პრობლემებთან. სტივი ყოველ გამოშვებაში პასუხობს კითხვებს ინტერნეტპროექტში დასმულ შეკითხვებს. ის ისმენს რეალურ ისტორიებს და იძლევა რჩევებს; ესაუბრება სხვადასხვა ადამიანს ყოველდღიურ პრობლემებზე.

ტოკშოუს მეორე ნაწილში სტუმრად არიან მოწვეული ცნობილი გმირები ან ჩვეულებრივი ადამიანები, რომლებსაც სჭირდებათ წამყვანის რჩევები. სტივი ხშირად ხუმრობით სვამს მწვავე კითხვებს ქორწინებასთან, ფინანსებთან, ბავშვების აღზრდასთან, სამუშაო ადგილებზე არსებულ პრობლემებსა და ყოველდღიურ დრამებთან დაკავშირებით, რომლებსაც აწყდებიან გადაცემის გმირები. გადაცემაში სტუმრად იწვევენ ფსიქოლოგს ან სხვა ადამიანებს, რომლებსაც აქვთ მსგავსი გამოცდილება, რათა შეძლონ სასარგებლო რჩევების მიცემა და დახმარების გაწევა.

ამ გადაცემებში საერთო და მსგავსი ბევრია. ასევე ერთმანეთის მსგავსია დარღვევებიც, რომლებიც უმეტესწილად ეთიკის ნორმების უგულებელყოფას, პირად ცხოვრებაში უხემ და მტკივნეულ ჩარევას გულისხმობს (კაკაბაძე, 2012 :2).

თვით გასართობ ტოკშოუშიც კი შეინიშნება ქვეკატეგორიების სიმრავლე, ასე მაგალითად, მკვლევარი ს. აკინფიევი აუდიტორიის გათვალისწინებით გასართობ ტოკშოუს ყოფს სამ ქვეკატეგორიად: ოჯახური გასართობი ტოკშოუ, ქალთა აუდიტორიაზე ორიენტირებული შოუ და ვიწრო სპეციალიზებული ტოკშოუ. ქვემოთ შევეცდებით მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი.

1) **ქალთა აუდიტორიაზე ორიენტირებულ ტოკშოუებში** განხილულია თემები, რომლებიც აქტუალურია მდედრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის, როგორებიცაა: მოდური ტენდენციები, ცნობილ ადამიანთა პირადი ცხოვრების დეტალები, თავის მოვლის საშუალებები;

2) **ოჯახური გასართობი ტოკშოუების** მიზნობრივ აუდიტორიას წარმოადგენს ოჯახის ყველა წევრი სქესის მიუხედავად; განიხილება ყოველდღიური ოჯახური თემები;

3) **ვიწრო სპეციალიზებული ტოკშოუების** სამიზნე აუდიტორია მკაფიოდ შემოსაზღვრული არის. ასეთი შოუების რიცხვს მიეკუთვნება მუსიკალური, კულინარიული, სამედიცინო გადაცემები (Акинфиев, 2008 :23-28).

თ. ლელაძე საგანგებოდ მსჯელობს ტოკშოუების ცალკეული ნაწილის ფუნქციების შესახებ, რომ მათი მიზანია მაყურებელს შეუქმნას დადებითი განწყობა. რაც შეეხება ინტერვიუს ნაწილს, სადაც კითხვა-პასუხია მოცემული, ის უფრო ემსგავსება ახალი ამბების ტიპის პროგრამას, რადგან კითხვების საშუალებით წამყვანი ცდილობს, გაიგოს რაიმე ახალი ინფორმაცია სტუმარზე. აქედან გამომდინარე, იგი გართობისა და ინფორმაციის მიწოდების ნაზავია. ასევე ტოკშოუს დიდი ნაწილი ეთმობა სპონტანურ საუბარს, რითაც ის ემსგავსება ყოველდღიურ საუბარს (ლელაძე, 2016:30).

1.4.2. პოლიტიკური ტოკშოუს თავისებურებები

როგორც უკვე აღინიშნა, ტელევიზია მასმედიის საშუალებათაგან უმთავრესია. ტელევიზიაში „იქმნება საზოგადოებრივი აზრი და იკვეთება პოლიტიკური სიმპათიები და ანტიპათიები. იგი (ტელევიზია) საკმაოდ ეფექტური ფორმებით ახერხებს საზოგადოების მანიპულირებას“ (კუბლაშვილი, 2015).

პოლიტიკური ტოკშოუს მიზანია, ფართო აუდიტორიის ჩართვით ასახოს და წარმოაჩინოს ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკური ინტერესები, სადაც განხილულია ქვეყნის პოლიტიკური საკითხები, სერიოზული სახელმწიფო და საზოგადოებრივი პრობლემები (Кузнецов, 1998:58).

პოლიტიკური ტოკშოუები გამოირჩევა სიმძაფრით, დამაბულობით და ვნებათაღელვით, თანაც ისინი კარგად წარმოაჩენს საზოგადოების განწყობას, მის ინტერესს და მისწრაფებებს. გადაცემის მსვლელობისას განიხილება აქტუალური თემები, სადაც სამიზნე აუდიტორია მკვეთრად სეგმენტირებულია. ასეთ შოუებს უყურებენ და მასში მონაწილეობენ არა მხოლოდ რიგითი ადამიანები, არამედ მაღალი რანგის მოხელეებიც. შესაბამისად, ისინი არ არის მცირე, რადგან მასში ბევრი ადამიანი მონაწილეობს და უმეტესობას უნდა მიეცეს აზრის დაფიქსირების საშუალება. პოლიტიკური ტოკშოუს წამყვანი ძალიან ფრთხილი ანალიტიკური გონების, ავტორიტეტული უნდა იყოს და სწორად უნდა დასვას აქცენტები, შეინარჩუნოს ობიექტურობა და ბალანსი. ტოკშოუს წამყვანს გაცნობიერებული უნდა

ჰქონდეს, რომ ყველზე მნიშვნელოვანია ე.წ. „დიალოგური ერთიანობის“ გამოხატვა. საუბარი ვერ შედგება, თუ მონაწილეებს არ აინტერესებთ საერთო პრობლემა და, შესაძლებელია, მისი გადაწყვეტის გზებზე განსხვავებული შეხედულებები ჰქონდეთ. დიალოგი არ არის რეპლიკების მექანიკური ჯამი, იგი ერთიანი, მთლიანი სტრუქტურაა და ამიტომ, აუცილებელია საუბრის მონაწილეთა სწორად შერჩევა, მათ კომპეტენციასა და ერუდიციასთან ერთად იმპროვიზაციის, საჯაროდ აზროვნების უნარის გათვალისწინება. ასეთი ტოკშოუს აუცილებელი კომპონენტია პოლემიკა, ხოლო პოლემიკის მთავარი მიზანია კონფლიქტი – ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისების შეჯახება, აზრის განვითარება და ბოლოს, ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტებით კონფლიქტის მოხსნა (ტალახაძე, 2013 :58).

საგანგებო ყურადღების ღირსია კამათის, დისკუსიის, პოლემიკის კულტურა. ყურადღება ექცევა იმას, რომ „ბრძოლა“ მიმდინარეობს არა პიროვნებების, არამედ იდეების წინააღმდეგ, რომლებსაც ოპონენტები იცავენ. მკვეთრი და მწვავე გამონათქვამები ჩვეულებრივ ახასიათებს პოლემიკას, მაგრამ იგი უნდა იყოს დასაბუთებული და გამართლებული, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეურაცხყოფდეს მოწინააღმდეგის პიროვნულ თვისებებს, არ უნდა აღვივებდეს კონფლიქტს და მტრობას მოკამათეებს შორის. თავად წამყვანი უნდა იყოს ნეიტრალური, მიუკერძოებელი და იგი, როგორც მოდერატორი, კამათში არ უნდა მონაწილეობდეს, არ უნდა გამოთქვამდეს თავის შეხედულებებს რომელიმე მხარის სასარგებლოდ, მისი მიზანია, ყველა მონაწილეს თანაბრად მისცეს აზრის გამოხატვის საშუალება (ტალახაძე, 2013 :59).

ე. ლარინა თავის ნაშრომში პოლიტიკური ტოკშოუს მონაწილეებად ასახელებს ერთი მხრივ, წამყვანს, იმავე წამყვან-მოდერატორს და ტელემყურებლებს.

წამყვანი-მოდერატორის მიზანია კითხვების დასმა ტოკშოუს მონაწილეებისთვის, რომლებიც, როგორც წესი, იზიარებენ ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს. ის პრობლემას დასვამს, მაგრამ არ გამოთქვამს საკუთარ აზრს. გარდა ამისა, მოდერატორი თვალს ადევნებს დროის სამართლიან განაწილებას, რომელსაც იყენებენ მსჯელობის მონაწილეები თავისი აზრების გამოსათქმელად (Ларина, 2004).

მოცემული ტოკშოუ წარმოადგენს მეტად პერსონიფიცირებულ ეკრანულ ფორმას. გ. კუზნეცოვი აღნიშნავს, რომ „კლასიკური ტოკშოუ წარმოადგენს სამკუთხედს: წამყვანი – მოწვეული სტუმრები (ექსპერტები) – მაცურებელი სტუდიაში. ტოკშოუ აერთიანებს ჟურნალისტიკისა და სცენის მიდგომებს. მისი ყოველი მონაწილე, როგორც უნდა იყოს მისი სამუშაო ფუნქცია პროგრამის შიგნით – ერთდროულად არის პერსონაჟიც იმ როლით, რომელიც მას ტოკშოუს ავტორებმა მიანიჭეს“ (Кузнецов, 1998 :59).

ტოკშოუში ბოლო დროს ინტეგრირებულია ტელერეპორტაჟები მოვლენათა ადგილებიდან, ორგანიზებულია ტელეხიდეები.

მაშასადამე, პოლიტიკურ ტოკშოუს აქვს წამყვანის მიერ შეთავაზებული ერთი სასაუბრო თემა, რომელზეც დისკუსია უნდა გაიმართოს. მისი ელემენტებია: მოსაზრება, საწინააღმდეგო აზრი, კრიტიკა, კამათი, წინადადების შეთავაზება.

თავი II. სამეტყველო ეტიკეტის რაობა და მისი ფუნქციები

2.1. სამეტყველო ეტიკეტის რაობა

სიტყვა „ეტიკეტი“ [ფრან. *étiquette*] ფრანგული ენის მეშვეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა და დამკვიდრდა. ერთ-ერთი წყაროს თანახმად, სიტყვა „ეტიკეტი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან *ethos*-ეთიკა, რომელიც ითარგმნება, როგორც ჩვეულება, ხასიათი და წარმოადგენს სწავლებას მორალის შესახებ, ზნეობრივი ქცევის ნორმებსა და წესებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნება „ეტიკეტს“ არაერთი განმარტება მოეძებნება. უცხო სიტყვათა ლექსიკონში ეტიკეტის ცნება შემდეგნაირად არის წარმოდგენილი: „ეტიკეტი – 1) მეფის კარზე, დიპლომატიურ წრეებში და ა.შ. თავის დაჭერის, ურთიერთობის წესების კრებული; 2) თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები, რომლებიც მიღებულია რომელიმე საზოგადოებაში“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1973 :136).

ენციკლოპედია „ბრიტანიკას“ მიხედვით, ეტიკეტი არის: „ცერემონიულ ჩვეულებებთან დაკავშირებული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს საზოგადოებაში არსებულ მოქცევის წესებს, უმეტესად ოფიციალურ-საცერემონიოს, რომლებსაც ვხვდებით საკარო დღესასწაულებზე, ზეიმებზე და სხვა; პროცედურა, რომელიც სამსახურებრივ დაწინაურებას, დანიშვნას ეხება გარკვეულ ორგანიზაციაში ან საზოგადოებაში.

ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით ეტიკეტია „ნორმები, წესები, რომლებსაც მოითხოვს კარგია აღზრდა, ან დაწესებულია ავტორიტეტების მიერ სოციალური ან ოფიციალური ყოფა-ცხოვრებისთვის“ (ვიმოწმებ ბოჭორიშვილისა და გოქსაძის მიხედვით, ბოჭორიშვილი, გოქსაძე, 2005:47).

ეთიკის ლექსიკონის მიხედვით ეტიკეტი არის: „ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ადამიანურ ურთიერთობებს (გარშემომყოფთა მოპყრობა, მიმართვისა და მისალმების ფორმები, ქცევა საზოგადოებრივ ადგილებში, მანერები,

სამოსი). ეტიკეტი არის ადამიანისა და საზოგადოების შინაგანი კულტურის შემადგენელი ნაწილი. მასში შედის ის მოთხოვნები, რომლებიც იძენენ ცერემონიალის ასე თუ ისე მკაცრად რეგლამენტირებულ ხასიათს და რომელთა დაცვას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქცევის ფორმის განსაზღვრისათვის (ბოჭორიშვილი, გოქსაძე, 2005 :48).

რუსი მკვლევარი ვ. გოლდინი ეტიკეტს ადამიანთა შორის ჰარმონიულ ურთიერთდამოკიდებულებას უწოდებს, რომელიც ამყარებს კონკრეტულ სოციუმში არსებული ღირებულებების სისტემას (Гольдин, 1983).

ქართველი მკვლევრის – დ. სართანიას აზრით,

1. ეტიკეტი არის ნორმებად ჩამოყალიბებული გარკვეული ქმედება;
2. ეტიკეტი შედგება ცალკეული ასეთი ნორმისაგან;
3. თითოეული ეს ნორმა ზედმიწევნით კონკრეტულია და დეტალიზებული;
4. ეტიკეტის შემადგენელ ამ ნორმებს ახასიათებს თანმიმდევრულობა. ისინი ზუსტად განსაზღვრულ ადგილას და სიტუაციაში უნდა იქნან გამოყენებული.

აქედან გამომდინარე, დ. სართანია ეტიკეტის ცნებას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ეტიკეტი არის ქმედება ან ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც მხოლოდ ადამიანთა ყოფით ურთიერთობაში ფიქსირდება, არის უაღრესად დეტალიზებული, აქვს შესრულების სავალდებულო ხასიათი და მის შემადგენელ ელემენტებს ახასიათებს ზუსტი თანმიმდევრულობა დროსა და სივრცეში“ (სართანია, 2002 :13).

ეტიკეტს საფუძვლად უდევს ის შეხედულებები, რომლებიც მოცემული კოლექტივისთვის ითვლება მისაღებად და სასარგებლოდ. ამა თუ იმ კოლექტივში

მცხოვრები ინდივიდი კი ვალდებულია თავისი საქციელი დაუქვემდებაროს ამ შეხედულებებს ანუ ამ შეხედულებებიდან გამოიყვანოს თავისი ქცევის წესი. მაშასადამე, ქცევის თითოეულ ნორმას რაღაც ფასეულობა უდევს საფუძვლად და ეტიკეტი გვევლინება ამ ფასეულობის, ერთი მხრივ, კონდენსირებულ გამოხატულებად, მეორე მხრივ, მის სარეალიზაციო ინსტრუმენტად, ამიტომაც თუ ეს ფასეულობები ერის ტრადიციებს ეფუძნება, მაშინ ეტიკეტიც ამ ტრადიციებით იქნება ჩამოყალიბებული. ამდენად, ეტიკეტსა და ტრადიციას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, რადგანაც ეტიკეტი ტრადიციის ნაწილია. ეტიკეტის სფერო ტრადიციის ის ნაწილია, რომელიც საზოგადოებრივ ურთიერთობაში ამ ტრადიციის ფუნქციონირების პროცესს ასახავს (სართანია, 2002 :16).

რაც შეეხება **სამეტყველო ეტიკეტს**, ნ. ფორმანოვსკაიას განმარტებით, „სამეტყველო ეტიკეტი არის ხალხის კულტურის, მისი ფონური ცოდნის განუყრელი ელემენტი, ცივილიზებული ქცევისა და ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ეს არის ნიშნების რთული სისტემა, რომელიც ვერბალური და არავერბალური ურთიერთობის პროცესში მიგვანიშნებს მოსაუბრეების ურთიერთდამოკიდებულებასა და თითოეული მათგანის სოციალურ ფენაზე. მეცნიერი ასევე აღნიშნავს, რომ სამეტყველო ეტიკეტი სამეტყველო ყოფაქცევის მარეგულირებელი წესები, ნაციონალური, სპეციფიკური ურთიერთობის ფიქსირებული ფორმებია, რომლებიც საზოგადოებამ თანამოსაუბრეებს შორის კონტაქტის დასამყარებლად, მისი შესაბამისი ელფერის შესანარჩუნებლად ან გასაწყვეტად მიიღო (Формановская, 1986 :4-5).

ეტიკეტი განსაზღვრავს ადამიანის ყოფაქცევას. ეს არა მხოლოდ ის წესებია, რომლებსაც იცავს სუფრასთან ან სტუმრად ყოფნისას, არამედ ნორმებია, ბავშვობიდანვე ათვისებული წესებია, მარეგულირებელია, ურთიერთობაში ამკვიდრებს „უფროსი-უმცროსი-ტოლის“ ტიპის დამოკიდებულებას. სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაუფლება განსაზღვრავს პიროვნების მორალური განვითარების ხარისხს.

ამრიგად, სამეტყველო ეტიკეტი მოცემულ კულტურაში მიღებული ფორმის, შინაარსის, წესრიგის, ხასიათის და გამოთქმების სიტუაციური ადეკვატურობის მოთხოვნების ერთობლიობაა.

ლ. ვედენსკაია და ლ. პავლოვა სამეტყველო ეტიკეტად მიიჩნევენ საზოგადოების მიერ შემუშავებულ სამეტყველო განაწესს, მყარი სამეტყველო ფორმულების სისტემას (Веденская, Павлова, 1995). ა. ტროფიმენკოს აზრით, „სამეტყველო ეტიკეტი არის საზოგადოებაში ადამიანის რიტუალიზებული ქცევის ნაწილი, სიტყვიერი (ვერბალური) ფორმები“ (Трофименко, 1991 :4).

ასე და ამგვარად, სამეტყველო ეტიკეტი გამოხატავს მოცემული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სოციალურ ურთიერთობას და ფუნქციონირებს ტრადიციების შესაბამისად. მისი ფორმების გამოყენებას განაპირობებს სქესი, ასაკი, იმ პირების ნაცნობობის ხარისხი, რომლებიც მონაწილეობენ საუბარში.

მოკლედ რომ ვთქვათ, სამეტყველო ეტიკეტის ფორმები არ წარმოიქმნება მოლაპარაკის მიერ მეტყველების პროცესში, არამედ ისინი მზა ფორმულებია, შტამპებია, ამიტომ ლინგვისტურ ლიტერატურაში სამეტყველო ეტიკეტის ფორმები მოიხსენება, როგორც „შეკრული გამოთქმები“, „შაბლონური ფრაზები“, „სამეტყველო კლიშეები“ და ა.შ. (Акишина, 1983 :3).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამეტყველო ეტიკეტად შეიძლება ჩაითვალოს სოციალურად განპირობებული და ისტორიულად ცვლადი ქვესისტემა, რომელიც შედგება: ა) კონკრეტული ჯგუფებისაგან; ბ) მათ მიერ გამოყენებული წესებისაგან, რომლებიც არეგულირებს სამეტყველო ქცევას ნაციონალური სპეციფიკის შესაბამისად.

2.2. სამეტყველო ეტიკეტის ფუნქციები

სამეტყველო ეტიკეტი ასრულებს გარკვეულ ფუნქციებს, რომელთაგან აღნიშვნის ღირსია:

1) კონტაქტის დამამყარებელი ფუნქცია (მას ასევე უწოდებენ სოციალურს და ფატიკურს (ლათინური სიტყვიდან „საუბარი“). ეს ფუნქცია ვლინდება ისეთ სამეტყველო აქტებში, რომლებშიც მოსაუბრე თანამოსაუბრის ყურადღებას იქცევს, ამზადებს მას ინფორმაციის მიღებისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ფუნქცია ემსახურება თანამოსაუბრეთა სამეტყველო კონტაქტს, რადგან სინამდვილეში, როცა თანამოსაუბრეს ვეუბნებით: *ეს ვის ვხედავ!* – ჩვენი ამოცანა არ არის შინაარსობრივად გავუზიაროთ ცოდნა, თუ რა დავინახეთ კონკრეტულად, არამედ ეს მხოლოდ სიგნალია: *მე შენ მახსოვხარ, მიხარია შენთან შეხვედრა, ჩვენი ურთიერთობა არა არის ძალდატანებითი*. აქ სასაუბრო ეტიკეტის ფორმულები და ურთიერთობის წესები ზუსტადაა დაცული. სამეტყველო ეტიკეტი სწორედ ამ ფუნქციას ემსახურება. ესენია: მიმართვის ფორმები, მობოდიშება, მწუხარების გამოხატვა, თხოვნა, მისალმება და ა.შ.

2) აპელატიური ან მოწოდების ფუნქცია, როცა ვამბობთ: *უკაცრავად, გეთაყვა, როგორ გავიარო?* ჩვენი მიზანი ამ შემთხვევაში მხოლოდ თანამოსაუბრის ყურადღების მიპყრობა, მისი გამოწვევაა შემდგომი საუბრისათვის.

აპელატიურ ფუნქციასთან დაკავშირებულია 3) ადრესატზე ორიენტაციის ფუნქცია, სამეტყველო ურთიერთქმედებაში მისი როლური პოზიციების გამო. როცა ვინმეს მივმართავთ, ერთს შეგვიძლია ვუთხრათ: *ბატონო გიორგი!*, მეორეს – *გიო* და ა.შ. ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ ვის, როგორ სიტუაციაში და როგორი ურთიერთობისას მიმართავს.

4) ნების გამოხატვის ფუნქცია მიმართულია თანამოსაუბრეზე ზემოქმედების მოსახდენად. ამ ფუნქციას ვოლუნტატურსაც უწოდებენ. როცა ჩვენ ვეუბნებით კარებთან მდგომს: *შემობრძანდით, გეთაყვა!* – ჩვენ სწორედაც რომ ვახდენთ ზემოქმედებას თანამოსაუბრეზე, ვუჩენთ მას შემოსვლის სურვილს. ამასთანავე სიტყვით „*შემობრძანდით*“ ჩვენ მას მოახლოებას ვთხოვთ, ვიპატიჟებთ; ვითხოვთ ქმედებას, მოვუწოდებთ ადამიანს აქტივობისაკენ და ამავედროულად, არც კი ველით მისგან პასუხს, „უმნელდება“ ეს თუ არა.

5) ემოციური ფუნქცია დაკავშირებულია ემოციების, გრძნობების, ადამიანის დამოკიდებულების გამოხატვასთან (ჩვენ ვეუბნებით თანამოსაუბრეს: როგორ მიხარია თქვენი ნახვა; მოხარული ვარ თქვენი გაცნობით, ძალიან სასიამოვნოა) ემოციური ფუნქცია თანამოსაუბრის ემოციებისა და გრძნობების შენარჩუნებაა, მისი და საკუთარი გრძნობების, ემოციების გაზიარებაა. ამ შემთხვევაში დაშვებულია მკაცრი სამეტყველო ნორმებისაგან გადახრა, თუმცა ზომიერად. ემოციურ ურთიერთობას ასევე აქვს თავისი ეტიკეტი, დასაშვები და დაუშვებელი ფორმები (Стернин, 1996 :9).

6) ინტელექტუალური ფუნქცია – ურთიერთობის ფუნქცია, რომელიც არის საკუთარი მოსაზრების არგუმენტაცია, საკუთარი აზრების გაჟღერება და თანამოსაუბრის აზრების გაანალიზება. ამ ფუნქციის რეალიზებისას მნიშვნელოვანია შედეგი, სამეტყველო ეტიკეტის ნორმები დაცულია, თუმცა აღარ აქვს ისეთი თვითმყოფადი მნიშვნელობა, როგორც –კონტაქტური ფუნქციის გამოყენებისას.

7) მეთვალყურეობის ფუნქცია - როცა ურთიერთობაში მონაწილე ესწრება სხვების საუბარს, თუმცა არ ერევა მასში (მაგალითად, მგზავრი კუპეში ესწრება ორი სხვა მგზავრის საუბარს). სამეტყველო ეტიკეტი ამ შემთხვევაში მინიმუმამდეა დაყვანილი, თუმცა აქაც აუცილებელია არავერბალურად გამოხატვა, რომ არ მონაწილეობს საუბარში და არც კი ესმის ის (Стернин, 1996 :10).

სამეტყველო ეტიკეტი წერითია და ზეპირი. ზეპირი ურთიერთობის ეტიკეტი მოიცავს თავაზიანობის ფორმულებს და საუბრის დაწყების წესებს (ურთიერთობის ეტიკეტი); წერილობითი ეტიკეტი კი – თავაზიან ფორმულებს და მიმოწერის წესებს (მიმოწერის ეტიკეტი).

2.3. სამეტყველო ეტიკეტის ძირითადი ნიშნები

გამოიყოფა რამდენიმე ნიშანი, რომლების ერთობლიობაც მიგვანიშნებს, რომ ისინი განეკუთვნება სამეტყველო ეტიკეტს. ი. სტერნინი გვთავაზობს სამეტყველო ეტიკეტის შემდეგ სახეებს: სიტუაციურობა, რეგულირება, კონფლიქტების პროფილაქტიკა, შეთანხმება, კომუნიკაციური ჩარჩოს არსებობა. დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

1. **სიტუაციურობა** – სამეტყველო ეტიკეტი გამოხატავს მოსაუბრის დამოკიდებულებას მისი თანამოსაუბრის მიმართ განსაზღვრულ სიტუაციაში, მხოლოდ ერთი კონკრეტული თანამოსაუბრის მიმართ და ერთ კონკრეტულ ადგილას. ჩამოთვლილთაგან რომელიმეს შეცვლა ითხოვს ეტიკეტური ფორმულების შეცვლასაც. შეიძლება ითქვას, რომ ურთიერთობის ყველა სიტუაციისათვის არსებობს კონკრეტული სამეტყველო ეტიკეტი.

2. **მარეგულირებელი** – სამეტყველო ეტიკეტი არეგულირებს დამოკიდებულებას მოსაუბრეებს შორის, ის ანაწილებს კომუნიკაციურ როლებს, ადგენს თანამოსაუბრეების სტატუსს და ურთიერთობის ტონს. სამეტყველო ეტიკეტის ნორმებისა და წესების დაცვა საუბრისას ადამიანთა ქცევას ცხადს და გარშემომყოფთათვის გასაგებს ხდის. სამეტყველო ეტიკეტის წესების დაცვა ცხადყოფს ამა თუ იმ მოსაუბრის სოციალურ როლს, უჩვენებს სხვებს თუ ვისთან აქვთ მათ საქმე. ამით ისინი ხვდებიან, თუ როგორ უნდა იმოქმედონ მოცემულ სიტუაციაში.

3. **კონფლიქტების პროფილაქტიკა.** როგორც მე-19 საუკუნის ამერიკელი მწერალი გ. ტორო წერდა, რომ ეტიკეტი არ გვამღევეს ბრძოლის უფლებას. სამეტყველო ეტიკეტის დაცვა საწყის ეტაპზევე შესაძლებელს ხდის კონფლიქტების თავიდან აცილებას (პატივისცემის გამოხატვა, მობოდიშება პირველივე შეცდომისას). ადამიანთან, რომელიც სამეტყველო ეტიკეტის დამცველია, არავინ წამოიწყებს კონფლიქტს, მაგრამ თუ იგი მაინც წარმოიშვა, ეტიკეტური ურთიერთობის ფორმები მას ჩაახშობს და არ მისცემს გამძაფრების საშუალებას. ასევე არაფორმალური

მიმართვიდან ფორმალურზე გადასვლა ძალიან შესამჩნევია თანამოსაუბრისათვის, მისთვის თვალსაჩინო სიგნალია იმისა, რომ თქვენ შეიცვალეთ მის მიმართ დამოკიდებულება და უმეტეს შემთხვევაში კონფლიქტი ამით გვარდება (Стернин, 1996 :13).

სამეტყველო ეტიკეტის გამოყენება არის თანამოსაუბრეზე ზეგავლენის საშუალება. როგორც დიდი მ. სერვანტესი წერდა: „არაფერი გვიჯდება ისე იაფი და ფასობს ისე ძვირად, როგორც თავაზიანობა“. ეტიკეტური ქცევა ადამიანს სხვების თვალში ამკობს რიგი დადებითი თვისებებით, რაც მას უადვილებს ამ ადამიანებზე ზემოქმედებას. რაში ვლინდება ეს? ადამიანს, რომელიც სამეტყველო ეტიკეტის ნორმებს იყენებს, საზოგადოებაში ამჩნევენ და გამოყოფენ გარშემომყოფთაგან, უსმენენ, აქცევენ მას და მის საუბარს დიდ ყურადღებას.

სამეტყველო ეტიკეტის მატარებელ ადამიანს საზოგადოება აღიქვამს, როგორც დადებითი თვისებების მატარებელს. მაგალითად, რეპლიკები:

- *რა სიმპათიური ყმაწვილია, ყოველთვის იტყვის: მაპატიეთ, ხელი ხომ არ შეგიშალეთ?;*

- *რა მშვენიერი გოგონა გყავთ! ყოველთვის გვესალმება;*

-*რა სასიამოვნო ადამიანია, ყოველთვის ამბობს მადლობას;*

- *რა მშვენიერი ქალბატონია! ყოველთვის გვილოცავს დაბადების დღეს,*

და პირიქით:

- *რა უსიამოვნო ადამიანია, ყველას შენობით მიმართავს;*

- *საზიზღარი ადამიანია, ყოველთვის ყვირის, თუ არ ეთანხმებიან;*

-*რა საზიზღარია, ერთხელ მაინც არ გადაგვიხდის მადლობას.*

კულტურული, ეტიკეტური მეტყველება იწვევს ნდობას მისი შინაარსის მიმართ. ეტიკეტური ურთიერთობა თანამოსაუბრეს უღვიძებს სურვილს, მიხადოს ამ

მანერას, შეცვალოს თავისი დამოკიდებულების სტილი, თუ ის ეტიკეტური არ არის (ე.წ. ურთიერთობის სტილის არეკვლა). ეტიკეტური ნორმების მატარებელ თანამოსაუბრესთან მოლაპარაკე ავტომატურად იწყებს უფრო ჩუმად, ნელა, მშვიდად საუბარს.

ეტიკეტური მეტყველება ამშვიდებს თანამოსაუბრეს: ხსნის მის ემოციებს, მოუწოდებს მას ნორმალური ურთიერთობისა და ქცევისაკენ. ზემოთ ნათქვამი მოწმობს იმას, რომ სამეტყველო ეტიკეტის ნორმების მატარებელი ადამიანი დიდ გავლენას ახდენს თანამოსაუბრეებზე, იმ ადამიანებისაგან განსხვავებით, რომლებიც არ ფლობენ ამ ნორმებს;

4. შეთანხმებულობა – ასეთი კომუნიკაციის პირობებში ეტიკეტი მოსაუბრეებს შორის დაცულია შეთანხმებულად. ეტიკეტურ სიტუაციაში ეტიკეტური ინფორმაცია უნდა გაიცვალოს თუნდაც მოვალეობის მოხდის დონეზე;

5. კომუნიკაციური ჩარჩოს არსებობა. სამეტყველო ეტიკეტის ცნობილი მკვლევარი ვ. გოლდინი მიგვითითებს ურთიერთობისას აუცილებელი ელემენტების არსებობაზე. ისინი ქმნიან ეტიკეტური ურთიერთობის აქტს სხვადასხვა სიტუაციაში. მაგალითად, მისაღმება ან დამშვიდობება წასვლისას/ სატელეფონო საუბრისას შეკითხვა: „ვინ საუბრობს?“ და ა.შ.

ეტიკეტური სამეტყველო აქტები, როგორც წესი, შეიცავს სტანდარტულ დასაწყისსა და დასასრულს. ვ. გოლდინი ასევე აღნიშნავს, რომ ეტიკეტური ინფორმაცია არათანაბრად ვრცელდება ურთიერთობის პროცესში: ეტიკეტური ურთიერთობის ძირითადი მომენტები არის საუბრის დასაწყისი და დასასრული, საუბრის დასაწყისი მეტადაა დატვირთული ეტიკეტური ინფორმაციით (Гольдин, 1987 :76).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეტიკეტი ჩნდებოდა და მკვიდრდებოდა, როგორც კონკრეტული საურთიერთო სიტუაციების ქცევითი სტანდარტები. მეტიც, ის ემსახურება საზოგადოებას და არის ცვალებადი, დინამიკური, ვითარდება ადამიანთა საზოგადოების ცვლასთან ერთად. ეტიკეტის წარმოშობა რთული

სოციალური და კულტურული პროცესია. ეტიკეტის წესები ტრანსფორმირდება, რაღაც გადადის უკანა პლანზე ან უქმდება, რაღაც კი ისევ ჩნდება და ყველასათვის მისაღები ხდება.

2.4. სამეტყველო ეტიკეტის ფიქსირებული ფორმები

სამეტყველო ეტიკეტი მოთხოვნების, წესების, ნორმების სისტემაა, რომელიც გვკარნახობს, თუ რა ფორმით უნდა დავამყაროთ ენობრივი კონტაქტი სხვებთან, როგორ უნდა გავაგრძელოთ კომუნიკაცია და როგორ დავასრულოთ იგი განსხვავებული სიტუაციებისა და კომუნიკაციური ამოცანების შესაბამისად. ენობრივი ეტიკეტი კულტურის შიგნით არსებული მოთხოვნების, ფორმის, შინაარსის და სიტუაციური შესაბამისობების ერთიანობაა. ის ძალიან განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყანასა და კულტურაში. თუ ენობრივ ეტიკეტს ვიწრო გაგებით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ მასში ძირითადად ერთიანდება ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებსაც ადამიანები იყენებენ მისაღმების, მოწოდების/მიმართვის, თხოვნის, შეკვეთის, მობოდიშების, მადლობის გადახდის, დათანხმების, თანაგრძნობის გამოხატვის დროს. თავისთავად, კულტურა უკარნახებს ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივის წევრებს, რა არის დასაშვები და რა - არა. (გოჩიტაშვილი, 2011 :2).

ქ. გოჩიტაშვილი თვლის, რომ „ზოგი კულტურისათვის მისაღებია, ადამიანმა საკუთარი უიღბლობის, პრობლემების შესახებ ღიად ისაუბროს, ზოგისათვის კი ეს კატეგორიულად მიუღებელია, მოკლედ რომ ვთქვათ, ესა თუ ის კულტურა სთავაზობს მოლაპარაკებებს, თუ რა შეიძლება გახდეს საუბრის თემა და რა - არა. უფრო ფართო გაგებით კი ენობრივი ეტიკეტი ნებისმიერი წარმატებული კომუნიკაციური აქტის შემადგენელი ნაწილია და უკავშირდება ენობრივი ურთიერთობის პოსტულატებს, რომლებიც კომუნიკაციის მონაწილეების ურთიერთობის წარმატებას განაპირობებს“ (გოჩიტაშვილი, 2011 :2).

სამეტყველო ეტიკეტის მყარ ფორმებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალური ურთიერთობის სხვადასხვა სიტუაციაში. ერთი მხრივ, ისინი განეკუთვნება რეგლამენტირებულ გამონათქვამებს, ხოლო მეორე მხრივ, მიმართულია ადრესატის ემოციური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ამიტომაც სამეტყველო ეტიკეტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სამეტყველო ურთიერთქმედებას (Tanaka, 2008).

ეტიკეტური გამოთქმები სოციალურად მარკირებულია. მათ ახასიათებს ვარიაციულობის მაღალი მაჩვენებელი, მოსაუბრის სოციალური მახასიათებლების (ასაკი, სქესი, განათლება, საცხოვრებელი ადგილი) მიხედვით, მათი ცვლადი სოციალური როლები და სიტუაციაში მონაწილეების რიცხვი (Тупикова, 2003 :6).

ნ. შიტოვა მიიჩნევს, რომ სამეტყველო ეტიკეტი სისტემაა, რომელშიც ვლინდება ეტიკეტური ურთიერთობები. ამ სისტემის ელემენტები ვლინდება სხვადასხვა ენობრივ დონეზე:

- სიტყვისა და ფრაზეოლოგიის დონეზე: სპეციალური სიტყვები და მყარი გამონათქვამები (*მადლობა, არაფრის, ბოდიშს ვიხდი, მაპატიეთ* და ა.შ) და ასევე მიმართვის სპეციალიზებული ფორმები (*ბატონო, ქალბატონო* და ა.შ);
- გრამატიკულ დონეზე: თავაზიანი მიმართვისათვის მრავლობითი რიცხვის გამოყენება (მათ შორის ნაცვალსახელი *თქვენ*), ბრძანებითი წინადადებების ნაცვლად კითხვითი წინადადებების გამოყენება (*ხომ ვერ მეტყვი, რომელი საათია? ცოტათი ხომ ვერ მიიწევით?* და ა.შ);
- სტილისტიკურ დონეზე: უარის თქმა იმ სიტყვების გამოყენებაზე, რომლებიც პირდაპირ აჟღერებენ უღირს, შოკისმომგვრელ მოვლენებს და მათ ნაცვლად ევფემიზმების გამოყენება;
- ინტონაციურ დონეზე: ზრდილობიანი ინტონაციის გამოყენება (მაგალითად ფრაზა: *გეთაყვა, იქნებ კარი დახუროთ?* შეიძლება აჟღერდეს სხვადასხვა ინტონაციით, გააჩნია, არის ეს ზრდილობიანი თხოვნა თუ უცერემონიო მოთხოვნა);

- ორგანიზაციულ-კომუნიკაციურ დონეზე: თანამოსაუბრის სიტყვის გაწყვეტი-ნების აკრძალვა, სხვის საუბარში ჩარევა და ა.შ. (Шитова, 2008 :165-166).

2.5. თავაზიანობის კატეგორია, როგორც სამეტყველო ეტიკეტის ძირითადი ლინგვისტური კატეგორია

თავაზიანობა უნივერსალური კომუნიკაციური კატეგორიაა, თუმცა ის წარმოადგენს ნაციონალურ-სპეციფიკური სტრატეგიების რთულ სისტემას, რომელიც მიმართულია ჰარმონიული, უკონფლიქტო, პარტნიორის მოლოდინის შესაბამისი ურთიერთობის წარსამართავად: თავაზიანობა ესაა ოპტიმალური ბალანსის შენარჩუნება, წონასწორობა დისტანციასა და სიახლოვეს, ფორმალობასა და არაფორმალობას შორის. ამ წონასწორობის წერტილი ცვლადია არა მხოლოდ კომუნიკაციური კონტექსტიდან, არამედ ზოგადად კულტურის ტიპისაგან გამომდინარე. კომუნიკანტების მიზანია თავაზიანობის ოპტიმალური სტრატეგიების პოვნა და კულტურული ნორმების, პარტნიორის მოლოდინის გამართლება, არ უნდა იყოს ზედმეტად ფამილარული ან ფორმალური, ამიტომაც თავაზიანობა არის სტრატეგიების მოქნილი სისტემა (Карасик, 2003).

თავაზიანი ქცევის ძირითადი მიზანი არის, ვაგრძნობინოთ პარტნიორს კეთილმოსურნეობა და პატივისცემა. ეს მიზანი მიიღწევა სხვადასხვა სტრატეგიის მეშვეობით, არჩევანი ბევრ ფაქტორზეა (სიტუაციური, ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული) დამოკიდებული. როგორც მ. მაკაროვი აღნიშნავს, კომუნიკაციური სტრატეგია ყოველთვის გამოირჩევა მოქნილობითა და დინამიკით, ურთიერთობისას იგი მუდმივად იცვლება (Макаров, 2003).

სამეტყველო ეტიკეტის ძირითადი ლინგვისტური კატეგორია გახლავთ **თავაზიანობა**, რომელიც გადმოცემულია სხვადასხვა ენობრივი საშუალებით: ფონეტიკური, ლექსიკური, გრამატიკული, სინტაქსური და მათი სხვადასხვა შეთანხმებით. პრაგმატიკული თვალსაზრისით, სამეტყველო ეტიკეტი აღნიშნავს ისეთ აქტივობას, რომელშიც ეტიკეტური ქმედებები განპირობებულია კონკრეტული

მიზნებით, ასევე ხშირ, ჩვეულ ქცევას, რომელიც ავტომატიზებულია (Агаркова, 2013 :186).

თავაზიანობის საკითხის შესწავლით დაინტერესებული იყვნენ პ. ბრაუნი და ს. ლევინსონი. ისინი გვთავაზობენ, განვიხილოთ თავაზიანობა, როგორც იერსახის შენარჩუნება. იერსახის, როგორც სოციალური ღირებულების, შენარჩუნება პირველად ე. გოფმანმა შემოიტანა (Goffman, 1967). პ. ბრაუნი და ს. ლევინსონი ავითარებენ ამ შეხედულებას თავაზიანობაზე, სახეს უწოდებენ სოციალურ იმიჯს, რომლის შენარჩუნებითაც ყველაა დაინტერესებული. ეს ცნება, ავტორების აზრით, უნივერსალურია. ურთიერთობისას თანამოსაუბრეებს უნდათ როგორც თავისი, ისე პარტნიორის იერსახის შენარჩუნება. მისი შენარჩუნება კომუნიკაციის არა მიზანი, არამედ აუცილებელი კომპონენტია, რადგან მის გარეშე ნორმალური საუბარი ვერ შედგება. ეს პირობა საზოგადოების ყველა წევრმა უნდა დაიცვას.

პ. ბრაუნი და ს. ლევინსონი განარჩევენ „ნეგატიურ“ და „პოზიტიურ სახეებს“ (Brown, Levinson, 1978; 1987). ნეგატიური სახე გულისხმობს ყველა ზრდასრულ ადამიანს, ვისაც სურს ქცევის თავისუფლება, არ სურს სხვა ადამიანების ჩარევა; დამოუკიდებელი და პოზიტიური სახე კი გულისხმობს ადამიანის სურვილს, იყოს სასურველი ყველასათვის.

ჟ. ლიჩმა (Leech, 1983) ჩამოაყალიბა თავაზიანობის პრინციპი, როგორც მაქსიმუმის რიგის ერთობლიობა და გაითვალისწინა შემდეგი:

- **ტაქტის მაქსიმა.** ეს არის პირადი სივრცის მაქსიმა. ნებისმიერი საკომუნიკაციო აქტი გულისხმობს განსაზღვრულ დისტანციას მონაწილეებს შორის. საჭიროა წესის დაცვა: მოსაუბრის საკომუნიკაციო მიზნის განხილვის საგნად გადაქცევა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მიზანი აშკარაა. ტაქტის მაქსიმა გულისხმობს მოსაუბრის პირადი სფეროს საზღვრების დაცვას. ყოველი სამეტყველო აქტის შემადგენლობაში არის საერთო სამეტყველო მოქმედებების სფერო და პირადი ინტერესების სფერო. ტაქტის მაქსიმა მოსაუბრეს ურჩევს,

სიფრთხილით მოეკიდოს სამეტყველო სტრატეგიასა და მოსაუბრის პირადი ინტერესების სფეროს.

- **სულგრძელობის მაქსიმა.** ეს არის მოსაუბრის სიმსუბუქის მაქსიმა, ის იცავს მას დომინირებისგან საკომუნიკაციო აქტის მსვლელობისას. მაგალითად, ვარაუდი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ შეიძლებოდეს მისი გადადება, არ უნდა შეიბოჭოს პარტნიორი პირობით ან ფიცით. კარგი საკომუნიკაციო აქტი არ უნდა წარმოადგენდეს დისკომფორტს ურთიერთობის მონაწილეებისთვის.

- **მოწონების მაქსიმა.** ეს არის სხვის შეფასებაში პოზიტიურობის მაქსიმა („ნუ განსჯით, რათა არ განისაჯოთ“, „არ განსაჯო სხვა“). გარემო, რომელშიც მიმდინარეობს სამეტყველო ურთიერთქმედება, განისაზღვრება მოსაუბრეთა პოზიციებით ერთმანეთის მიმართ.

- **მოკრძალებულობის მაქსიმა.** ეს არის საკუთარი მისამართით ქების მიუღებლობის მაქსიმა. კომუნიკაციური აქტის გაშლის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს რეალისტური, შეძლებისგვარად, ობიექტური თვითშეფასება. ძალიან მომატებულ ან დაქვეითებულ თვითშეფასებას შეუძლია უარყოფითი გავლენა მოახდინოს კონტაქტის დამყარებაზე.

- **თანხმობის მაქსიმა.** ეს მაქსიმა გულისხმობს კონფლიქტურ სიტუაციაზე უარის თქმას უფრო სერიოზული ამოცანის გადაწყვეტის მიზნით, კერძოდ, ურთიერთქმედების საგნის შენარჩუნებას, „კონფლიქტის მოხსნას“ მოსაუბრეთა საკომუნიკაციო ტაქტის ურთიერთკორექციის გზით.

- **სიმპათიის მაქსიმა.** ეს არის კეთილგანწყობის მაქსიმა, რომელიც წარმოქმნის ხელსაყრელ ფონს პერსპექტიული საგნობრივი საუბრისთვის. კეთილგანწყობის გარეშე სამეტყველო აქტი შეუძლებელი ხდება. გარკვეულ პრობლემას წარმოადგენს ე.წ. გულგრილი კონტაქტი, როდესაც მონაწილეები, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის მტრები არ არიან, არ ავლენენ კეთილგანწყობას ერთმანეთის მიმართ. კეთილგანწყობის მაქსიმა იძლევა იმედის საფუძველს, რომ

სამეტყველო სიტუაცია მოსალოდნელი კონფლიქტით პოზიტიურად დასრულდება (Leech, 1983 :83).

პ. გრაისს შემოაქვს „კოოპერაციის პრინციპი“ (Grice, 1975). კოოპერაციის პრინციპი წარმოადგენს მაქსიმების ერთობლიობას, რომლებიც, მეცნიერის აზრით, განსაზღვრავენ კომუნიკაციური აქტის მონაწილეთა წვლილს სამეტყველო კომუნიკაციაში, რომელიც მათ აერთიანებს. სამეტყველო ეტიკეტი ახასიათებს წარმატებული კომუნიკაციის ნებისმიერ აქტს, ამიტომაც, სამეტყველო ეტიკეტი დაკავშირებულია ეგრეთწოდებულ სამეტყველო ურთიერთობის მაქსიმებთან, რომლებიც შესაძლებელს და წარმატებულს ხდის კომუნიკაციაში მონაწილეების ურთიერთქმედებას.

ერთ-ერთი ან რამდენიმე ამ პოსტულატის დარღვევა გარკვეული დოზით იწვევს კომუნიკაციურ წარუმატებლობას.

განვიხილოთ პ. გრაისის კომუნიკაციური მაქსიმები უფრო დეტალურად:

- **კოოპერაციის მაქსიმა** წარმოადგენს კომუნიკაციის საფუძველს. ის გულისხმობს პარტნიორების თანამშრომლობისთვის მზაობას. თანამოსაუბრეებმა შეიძლება გამოხატონ უთანხმოება, იკამათონ, მაგრამ ისინი უნდა ერთვებოდნენ საუბარში იმ გზით, რომელიც შეესაბამება მათ საერთო ხაზსა და მიზნებს. ამ საერთო დებულებას დანარჩენი მაქსიმები აკონკრეტებს.

- **რაოდენობის მაქსიმა.** თითოეულმა უნდა შეიტანოს საუბარში საკმარისი, მაგრამ არა ძალიან ბევრი ინფორმაცია;

- **ხარისხის მაქსიმა.** ითვალისწინებს გამოთქმის სიმართლეს. ეს მაქსიმა ირღვევა, თუ ადამიანი განზრახ ცრუობს ან საუბრობს ისე, როგორც ეს არ შეესაბამება მის ნამდვილ მიზნებს;

- **რელევანტობის მაქსიმა.** მის თანახმად, რეპლიკები უნდა იყოს შესაფერისი და პასუხობდეს საუბრის კონტექსტს;

- **კომუნიკაციის მეთოდის მაქსიმა** მოითხოვს გაურკვევლობის, ორაზროვნების, დეზორგანიზაციული მოქმედებების არიდებას. კომუნიკაციური მაქსიმების დარღვევა ყოველთვის უკავშირდება მსმენელზე გარკვეული ზემოქმედების განხორციელების განზრახვას. ეს მაქსიმა უზრუნველყოფს ყველანაირი ირიბი მტკიცებულების გამოყენებას, რომლებიც მნიშვნელოვანია საუბრის ტაქტიკის, კერძოდ, ზრდილობიანობის წესების დაცვის თვალსაზრისით.

სამეტყველო ქმედებას ეტიკეტის დონეზე ახასიათებს სამეტყველო ზემოქმედება, მისი სპეციფიკურობა ისაა, რომ იგი უბიძგებს თანამოსაუბრეს საპასუხო, იმავე ტიპის ქმედებისაკენ (*გამარჯობა*→*გაგიმარჯოს*; *ნახვამდის*→*კარგად ბრძანდებოდეთ* და ა.შ.).

ათვისების ერთეული, ლ. პუტილინას აზრით, არის არაიზოლირებული სამეტყველო ფორმულა, ხოლო გავრცობილი თემატური დიალოგი მჭიდრო კავშირშია სამ ფაქტორთან (*სიტუაცია*→*გაჟღერება*→*საპასუხო რეაქცია*), რომელიც სამეტყველო ურთიერთობაში განიხილება, როგორც ერთი მთლიანობა ამა თუ იმ სამეტყველო კლიშეს რეალიზაციისთვის (Путилина, 1995 :13).

კომუნიკაცია სამეტყველო ეტიკეტის დონეზე ემყარება გარკვეულ სქემას: *მისალმების სიტუაცია*→*მისალმება*→*საპასუხო მისალმება*; *მადლიერების გამოხატვის სიტუაცია* →*მადლიერება* →*საპასუხო მადლიერება* (იქვე, 18).

მეცნიერი ვ. კარასიკი აკავშირებს თავაზიანობის ნორმებს გამოხატული და ნაგულისხმევი ინფორმაციის თანაფარდობით:

- ის, რაც აუცილებლად უნდა გაჟღერდეს (სამეტყველო ეტიკეტური ფორმები და ინფორმაციის გადაცვლა);
- ის, რაც არაა აუცილებელი, რომ გაჟღერდეს (დამატებითი ეტიკეტური ფორმები, რომლებიც ჟღერდება კატეგორიულობის შესარბილებლად და პატივისცემის გამოსახატავად);

- ის, რაც არ უნდა ითქვას (ტაბუდადებული თემები და გამოხატვის ფორმები);
- ის, რაც არ არის აუცილებელი, რომ ითქვას (ინფორმაცია, რომელიც არ ეხება დიალოგის თემას) (Карасик, 2003).

არსებობს შედარებით თავაზიანობის მკაცრი და შედარებით თავისუფალი ფორმები. თავაზიანობის ხარისხი დამოკიდებულია ურთიერთობის სიტუაციაზე: რაც უფრო ოფიციალურია ის და ხაზგასმულია მონაწილეთა სტატუსი, მით უფრო მკაცრი იქნება ურთიერთობის ფორმულები, თავაზიანობის ფორმულების ჩათვლით.

ინგლისურენოვან საზოგადოებაში ურთიერთობა კულტურულ ადამიანებს შორის წარმართება თავაზიანობის სამი დონის შესაბამისად: ოფიციალური, ნეიტრალური და ფამილიარული. თავაზიანობის ყოველ დონეს შეესაბამება მეტყველების საკუთარი სტილი და ამიტომ ყველა თავაზიანი სიტყვა და გამონათქვამი შეიძლება დაჯგუფდეს სტილისტიკური ნიშნით: ოფიციალური, ნეიტრალური და ფამილიარული სამეტყველო სტილი (Путилина, 1995 :20).

1. თავაზიანობის ოფიციალურ დონეზე ურთიერთობა მიმდინარეობს ოფიციალურ გარემოში, როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ასაკს, სქესს ან პირად ღირსებებს, არამედ თანამოსაუბრეების სოციალურ სტატუსს და მათს პოზიციას საზოგადოებაში. თავაზიანობის ოფიციალური დონე არის ნორმა დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საქმიან წრეებში, განათლების, ჯანდაცვის, მომსახურების და სხვა სფეროებში. თანამოსაუბრეების ქმედებების სოციალური განპირობებულობა, საქმეები და განზრახვები გამოხატულია მათი სამეტყველო ქცევის სტილით, რომელიც სახლში, მეგობრების წრეში, ან უცხო ადამიანთან შემთხვევით საუბრისას განსხვავებულია. ოფიციალურ გარემოში თავაზიანობის ოფიციალური დონის დარღვევა აღიქმება, როგორც თანამოსაუბრის მიმართ უპატივცემულობა, ამან შესაძლოა განაპირობოს კონფლიქტი და თანამოსაუბრეებს შორის ოფიციალური ურთიერთობის შეწყვეტაც კი, ამიტომ აუცილებელია

ოფიციალური დონის დაცვა იქ, სადაც ეს საჭირო და ეტიკეტით გათვალისწინებულია.

2. თავაზიანობის ნეიტრალურ დონეზე ურთიერთობა ხორციელდება უცნობ და ნაცნობ ადამიანებს შორის, მათ აკავშირებთ ოფიციალური ან ფამილიარული ურთიერთობა (Кузьменкова, 2010 :12).

3. თავაზიანობის ფამილიარული დონე ახასიათებს ოჯახურ, ახლობლურ წრეში, მეგობრებსა და ამხანაგებთან ურთიერთობას.

თავაზიანობის ფორმას განეკუთვნება ასევე მიმართვაც, უმეტეს შემთხვევაში ადამიანთან ურთიერთობის ოფიციალური ფორმა არის მიმართვა გვარით (თუ ის ცნობილია) Mr, Mrs и Miss სიტყვებთან შეთანხმებაში.

ზოგ შემთხვევაში ოფიციალური ურთიერთობა ხორციელდება Sir და Madam სიტყვების მეშვეობით, ხანდახან კი მხოლოდ გვარით (Mr, Mrs и Miss გარეშე). მიმართვის ეს ფორმა გამოიყენება არა მხოლოდ ოფიციალურ, არამედ ნეიტრალურ დონეზეც, როდესაც მივმართავთ შუახნის ან მოხუც ადამიანებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დიდი ხანია ვიცნობთ მათ.

ინგლისურენოვან ხალხთან ურთიერთობისას საჭიროა დავიცვათ სიფრთხილე ოფიციალური ან ნეიტრალური თავაზიანობის დონიდან ფამილიარულზე გადასვლისას, ეს იგივეა, რაც ქართულში „თქვენობითი“ (თავაზიანი) მიმართვის ფორმიდან „შენობით“ (ფამილიარულ) ფორმაზე გადასვლა. ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც ერთ-ერთი თანამოსაუბრე თვითონ სთხოვს ამას მეორეს, ამით ის მეორეს იმავე თხოვნის საფუძველს უქმნის.

მიმართვა ნებისმიერი ქვეყნის სამეტყველო კულტურის განუყოფელი ნაწილია. ადამიანები სიტუაციიდან, ჩამოყალიბებული ნორმებისა და ტრადიციებიდან გამომდინარე ირჩევენ მიმართვის ამა თუ იმ ფორმას. მათი დარღვევა ნეგატიურ შთაბეჭდილებას ახდენს და გარშემომყოფების თვალში უარყოფითად მოქმედებს

ადამიანზე. სამაგიეროდ, მიმართვის სწორი ფორმა ეხმარება მოსაუბრეს, კარგად განაწყოს თანამოსაუბრე და განაპირობებს დიალოგის წარმატებულ განვითარებას.

ჩვენს ქვეყანაში არათავაზიანად ითვლება ადამიანის წარდგენა ან მიმართვა მხოლოდ გვართ. ის ჟღერს მბრძანებლურად და მშრალად, ბევრისთვის ასოცირდება „საკანცელარიო“ ატმოსფეროსთან. ამ ფორმით გამოხატული ნებისმიერი თხოვნა იძენს ბრძანების ელფერს და ამ ნეგატიურ შთაბეჭდილებას ვერ გამოასწორებს „თქვენობით“ მიმართვაც კი. ასევე ითვლება, რომ ადამიანისთვის ყველაზე სასიამოვნოა საკუთარი სახელის გაგება, ამიტომ ურთიერთობის სიტუაციის მიუხედავად, ნათლად უნდა წარმოითქვას მისი სახელი. დაუდევრობამ წარმოთქმისას, ასობის გადაყლაპვამ და, მით უმეტეს, შეცდომებმა, შესაძლოა, გაანაწყენოს ადამიანი.

მეტყველების ადრესატს აღვნიშნავთ მიმართვა-ინდექსით: **მძლოლი, კონდუქტორი, პროფესორი** და ა.შ. ასეთი მიმართვები ხშირად გამოიყენება საქმიან მეტყველებაში. ყოველდღიურ ცხოვრებაში წოდებით, თანამდებობით, საქმიანობის სფეროთი მიმართვის საჭიროების შემთხვევაში ჩვენ ვიყენებთ მიმართვის ინდექსებს (*ექიმო, თუ შეიძლება გამომიჩერეთ რეცეპტი*) (Krivinos, 1975).

სამეტყველო ეტიკეტის ფორმულები, რომლებიც წარმოადგენს განსაზღვრული სიტყვების, ფრაზებისა და ფიქსირებული გამონათქვამების ერთობლიობას, გამოიყენება საუბრის სამ ეტაპზე: დასაწყისში, ძირითად ნაწილსა და დასასრულში (Knapp, 2005).

საუბრის დასაწყისი (მისალმება/გაცნობა)

მისალმება ეტიკეტის უმნიშვნელოვანეს და უპირველეს ელემენტს წარმოადგენს. მისი მეშვეობით ფორმირდება შთაბეჭდილება, მყარდება პირველადი კავშირი.

ბანალურ დასაწყისს მოსდევს პრიმიტიული საუბარი და პირიქით, საინტერესო დაწყება საინტერესო საუბრის საწინდარია. ფრაზების (ფორმულები)

გამოყენება მისალმებისას დამოკიდებულია თანამოსაუბრესა (მის სქესზე, ასაკზე, სტატუსზე) და სიტუაციაზე. მიუხედავად იმისა, რომ ეტიკეტი წარმოადგენს სამეტყველო რეგლამენტირებულ ნორმებს, იგი მკაცრად არ საზღვრავს მისალმებას ან გაცნობას. ამ შემთხვევაში სამეტყველო ეტიკეტის მაგალითები საკმაოდ მრავალფეროვანია. შეხვედრისას აქცენტი შესაძლოა გაკეთდეს ემოციურ მხარეზე: *გამარჯობა, როგორ მიხარია თქვენი ნახვა! Hello! I am so glad to see you!* ასევე შესაძლოა მივესალმეთ ძალიან თავშეკავებულად და თავაზიანად: *დილა მშვიდობის/საღამო მშვიდობის*, მისალმება უნდა იყოს სიტუაციის შესაბამისი. მისალმება უნდა გამოვიყენოთ თანამოსაუბრის სქესისა და სოციალური სტატუსიდან გამომდინარე. ყველაზე ნეიტრალურია მისალმებები: *გამარჯობა! ან მოგესალმებით!* ეს თავაზიანი მისალმების ფორმაა, რომელიც შეესაბამება ყველა სიტუაციას.

ეტიკეტის ბევრი წესი განზრახ არავის მოუგონია ან შეუთხზავს. ისინი გაჩნდა ძველ დროში, როგორც ურთიერთობის მოსახერხებელი და გონივრული ფორმები. მაგალითად, მსოფლიოში მისალმების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხი, ხელის ჩამორთმევა, შორეული ათასწლეულებიდან მოდის. მაშინ ეს იყო სიფრთხილის გონივრული ნორმა ხელების მოსინჯვა ერთმანეთისთვის, რათა გარკვეულიყო, ჰქონდა თუ არა შემხვედრს ცუდი განზრახვა და იარაღი. ეს მისალმება ინგლისში, დიდ ბრიტანეთსა და რუსეთშიცაა გავრცელებული, თუმცა ინგლისელები ხელს წამიერად ართმევენ, არ აკავებენ შემხვედრის ხელს საკუთარში (Иванова, 1999 :363).

ძირითადი ნაწილი (საუბრის რაობა)

საუბრის წარმართვის ძირითად ნაწილში თემა მკაფიოდ გადმოიცემა, რაშიც უდიდეს როლს თამაშობს ინტონაცია. ეს უკანასკნელი შესაძლოა იყოს ოფიციალური, ნეიტრალური ან ფამილიარული, რომელსაც შეუძლია სრულად შეცვალოს სიტყვების აზრი და მათი აღქმა. საუბრისას მოლაპარაკე იყენებს სამეტყველო ეტიკეტის ფორმულებს, მათი გამოყენება დამოკიდებულია მოცემული საუბრის მიზანსა (თხოვნა, შეთავაზება, შეტყობინება, ბრძანება და ა.შ.) და სიტუაციაზე.

საუბრის დასკვნითი ნაწილი (დამშვიდობება). სამეტყველო ეტიკეტის თანახმად, შეიძლება უბრალოდ დამშვიდობება ან შემდეგ შეხვედრაზე შეთანხმება. დამშვიდობებისას გამოიყენება გამოთქმები: გისურვებთ ჯანმრთელობას/გამოჯანმრთელებას ან *კარგად იყავით, კარგად ბრძანდებოდეთ, ბედნიერი დასვენება, შეხვედრამდე, მშვიდობით.*

ამრიგად, ყველა ენობრივ კულტურას აქვს სამეტყველო ეტიკეტი, რომელშიც არის სხვა კულტურათა საერთო, მსგავსი რამ. ესენია: მისალმებისა და დამშვიდობების მყარი ფორმულები, უფროსებთან თავაზიანი მიმართვის ფორმები და ა.შ., თუმცა ისინი ყველა ენაში თავისებურად გამოიყენება.

2.6. სატელევიზიო სამეტყველო ეტიკეტის თავისებურებები

მეცნიერი ვ. გოლდინი თვლის, რომ სატელევიზიო სამეტყველო ეტიკეტი დიდად არ განსხვავდება ზოგადი სამეტყველო ეტიკეტისგან. სატელევიზიო ეტიკეტის ნორმები გულისხმობს მისალმების და დამშვიდობების ოფიციალური ფორმულების გამოყენებას ეთერში და კრძალავს უცენზურო და ნეგატიურ ლექსიკის. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ბევრი რამაა დამოკიდებული ტელეწამყვანის მიერ ურთიერთობის სწორად არჩეულ ტონზე, რომელიც უზრუნველყოფს ემოციურ კომფორტს და ეხმარება წამყვანს სტუმრებსა და აუდიტორიასთან ურთიერთობის წარმართვაში (Гольдин, 1983).

ტელე- და რადიოგადაცემებში მიმართვის სხვადასხვა ფორმას ვხვდებით.

მიმართვა, ყურადღების მიპყრობა. ყოველდღიურ ურთიერთობაში არ არსებობს მიმართვების განსაზღვრული „რეესტრი“ ანუ მიმართვის წესი და მისი ადრესატთან შესაბამისობა. ასევე არ არსებობს მეტყველებაში მიმართვების გადანაწილების ფიქსირებული წესები. სამაგიეროდ, ტელე- და რადიოგადაცემებში, მათი ჟანრის მიუხედავად, გათვალისწინებულია მიმართვების უფრო მკაცრი ჩამონათვალი. არც დიქტორის მეტყველებაში და არც გადაცემის დიალოგებსა თუ

პოლილოგებში არ ისმის ყოველდღიური მეტყველებისათვის დამახასიათებელი უბრალო, ფამილიარული მიმართვა უცხო ადამიანის მიმართ (*გოგონა, ახალგაზრდავ*). ყველაზე გავრცელებულია შემდეგი ტიპის მიმართვები: *პატივცემულო მსმენელებო! ან ძვირფასო მსმენელებო!* და ა.შ. თუკი მსმენელთა შორის რომელიმე ნაცნობია, მაშინ, როგორც წესი, იყენებენ სიტყვას **ბატონო, ქალბატონო და სახელი**. უფრო მეტად გავრცელებულია სახელით მიმართვა (*გიორგი, ალექსანდრე*).

მისალმება გახლავთ პირველი დამაკავშირებელი რგოლი წამყვანსა და აუდიტორიას შორის. ის ხელს უწყობს კონტაქტის დამყარებისას, განსაზღვრავს ადამიანებს შორის პირად დამოკიდებულებას, ამიტომაც ტელე- და რადიო გადაცემების წამყვანებს მზად აქვთ მისალმების სხვადასხვა ფორმულა. გადაცემების ჟანრების მიუხედავად, მასმედიაში დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა მისალმების ტრადიციული ფორმულები: *გამარჯობა ძვირფასო მაყურებლებო! მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო! დილა მშვიდობის / შუადღე მშვიდობის / საღამო მშვიდობის ძვირფასო მაყურებლებო!*

ყველა ეს ფორმულა სტილისტიკურად ნეიტრალურია და მათი დიდი ნაწილი მოიცავს მიმართვასაც.

ყველაზე ხშირად გამოყენებადი სტილისტიკურად ნეიტრალური გამონათქვამებია: *ნახვამდის, ეთერში შეხვედრამდე...*

გადაცემის ეთერში **დამშვიდობება** არ უნდა გვაგონებდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში დამშვიდობებას. ტელე- ან რადიო გადაცემის დასასრულს თავი უნდა ავარიდოთ ყოფაში გავრცელებულ გამონათქვამებს.

ეტიკეტის წესებში მითითებულია ურთიერთობის დასასრულის ზოგიერთი ფრაზა. ისინი არაა ისეთი სტანდარტული, როგორც ფორმულები, თუმცა მაინც საკმაოდ მდგრადია. დამშვიდობებამდე წამყვანმა მადლობა უნდა გადაიხადოს ურთიერთობისათვის, უნდა გამოხატოს შეხვედრით კმაყოფილება, სტუდიაში

საუბრის დასრულების შემდეგ მადლობა უნდა გადაუხადოს მსმენელებს ყურადღებისათვის (<http://kak-bog.ru/formuly-rechevogo-etiketa>).

პოლიტიკოსების მიერ სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაუცველობა (არაკორექტული გამონათქვამები) დაუშვებელია. სამეტყველო ეტიკეტი ასევე გამოიყენება, როგორც პოლიტიკური ბრძოლის ელემენტი და დაშვებულია აუდიტორიაზე მაქსიმალური ზეგავლენის მოსახდენად. პოლიტიკოსების სამეტყველო კულტურა ბოლო დროს გახდა მასმედიის აქტიური განხილვის ობიექტი, რაც მიგვითითებს პოლიტიკის ენის განვითარების თანამედროვე ტენდენციებზე. ბოლო დროს ყველაზე მაღალი დონის პოლიტიკოსებიც კი თავს უფლებას აძლევენ, არაკორექტულად მიმართონ თავიანთ ოპონენტებს არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მსოფლიო ასპარეზზეც. ასეთი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს სამეტყველო აგრესიად ნეგატიური გრძნობების, ემოციების, განზრახვების სიტყვიერ გაჟღერებად მისთვის შეუფერებელ სიტუაციაში (Щербинина, 2008 :5).

იგივე შეიძლება ითქვას ჟურნალისტების მეტყველებაზეც, რადგანაც მათ საუბარში არაერთი როგორც გრამატიკული, ასევე სტილისტიკური შეცდომა „იპარება“. ბევრ მათგანს მაყურებელი უკვე შეეჩვია და ვეღარც კი ამჩნევს, მაგრამ ზოგიერთი აშკარად სჭრის ყურს.

ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ურთიერთობისას სამეტყველო ნორმების დაცვა. სწორედ ის ეხმარება ადრესანტსა და ადრესატს წარმატებული კომუნიკაციის განხორციელებაში.

2. 7. მედიის გავლენა მეტყველების კულტურაზე

მეოცე საუკუნის დასაწყისში სამაუწყებლო მედიის წარმოშობამ და მასთან ერთად ენის, როგორც შუამავლის გამოჩენამ, თავდაპირველად მხოლოდ აუდიო-საშუალებების მეშვეობით (ფონოგრაფი და შემდგომ რადიო), შემდეგ კინოს აუდიო-ვიზუალური მედიუმის და ბოლოს ტელევიზიის გზით ხელი შეუწყო ენობრივ

ურთიერთკავშირთან ერთად სასაუბრო ენის ცვლილებას (Bushman & Huesmann, 2001).

ტელევიზია მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს შორის ყველაზე პოპულარულია. მას დიდი როლი მიუძღვის საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებაში, რადგანაც ტელევიზიით გამოყენებული სიტყვები და ფრაზები პირდაპირ, მზა სახით შედის მაყურებლის ცნობიერებაში.

ცენზურის გაუქმებამ ტელევიზიაში გამოიწვია სპონტანური მეტყველება, დემოკრატიზაციამ კი ადამიანებს შორის ურთიერთობა გახადა გულახდილი. მათ აქვთ სხვადასხვა სამეტყველო კულტურა და განათლება. საბჭოთა პერიოდში არსებობდა მკაცრი ცენზურა და კორექტურა. ასეთი ცენზურა ბევრ ევროპულ სახელმწიფოშიც არსებობდა და არსებობს, განსაკუთრებით სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ ტელევიზიებში, მაგ ბიბისი, სიენენი და სხვა. დიქტორები ხშირად იშველიებდნენ ლექსიკონებს სალიტერატურო ენასთან დაკავშირებული სხვადასხვა სირთულის პრობლემის წარმოშობისას. დღეს კი ტელეწამყვანები ხშირად არღვევენ სალიტერატურო ნორმებს. ხანდახან ჟღერდება მოსაზრება, რომ თითქოს ენა არის თვითორგანიზებადი სისტემა, რომელიც, საბოლოოდ თვითონ გაუმკლავდება ნორმების დარღვევას, მოიშორებს ყოველივე ზედმეტს. სხვები ამტკიცებენ, რომ ენის განვითარება არის სტიქიური პროცესი, რომელიც არ საჭიროებს რეგულაციას, რადგანაც ენა, მათი აზრით, თვითონ აირჩევს ყველაფერს საუკეთესოს და უგულვებელყოფს ზედმეტს და შეუსაბამოს.

სამწუხაროდ, ენის მდგომარეობის შეფასება ხშირად პოლიტიზებული და ზედმეტად ემოციურია. მომხდარი ცვლილებების შეფასების სამეცნიერო ანალიზი ეყრდნობა ენათმეცნიერებაში არსებულ კვლევებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენა დინამიკურია და დროთა განმავლობაში იცვლება, მისი „გაყინვა“ შეუძლებელია. ამავე დროს, ადამიანები არ არიან დაინტერესებულნი ენის მკვეთრი ცვლილებით, რადგან ეს იწვევს ხალხთა კულტურული ტრადიციების მოშლას (Караулов, 2000).

ენის სიწმინდის დაცვის საკითხებში განსაკუთრებული როლი ეკისრებათ პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს, რადგანაც სწორედ მათს მეტყველებას აქვს უნებლიე მიბაძვის ძალა.

ჟურნალისტები ხშირად იყენებენ ისეთ ფორმებს, როგორებიცაა: *ჩვენთაგანი*, *თქვენთაგანი*, *მათთაგანი* და სხვა. სიტყვები *ჩვენ* და *თქვენ* თავად გამოხატავენ სიმრავლეს და მათზე – *გან* თანდებულთან ერთად მრავლობითის – *თა* ნიშნის დართვა არასწორია. სწორი ფორმაა *ჩვენგანი*, *თქვენგანი* და ა.შ.

ასევე დაუშვებელია ჟურნალისტების მიერ ბარბარიზმების გამოყენება. თანამედროვე მეტყველებაში მრავლადაა შემორჩენილი რუსიციზმები, რაც ჩვენი საბჭოური წარსულის გადმონაშთია. ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში ხშირად ვხვდებით ე.წ. *აჯიმანიას*, *კაშნს*, *ბუკეტს* და ა.შ. ყველას აქვს ქართული შესატყვისი: *აზიდვა*, *თავსაფარი*, *თაიგული* და ა.შ. მაგრამ „რუსულ გადმონაშთებზე“ უარესი სხვა რამაა. ბარბარიზმების პრობლემა უფრო მძაფრად აღიქმება „დამპყრობელი ერის“ მიმართ, ვიდრე ენათა კულტურული ურთიერთქმედებების დროს. სწორედ ასეთი ურთიერთობა ინგლისურთან მნიშვნელოვნად აზიანებს ქართულ ენას. არავინ დავობდა იმაზე, რომ რუსულიდან შემოსული *ტრენერი* და *ტრენიროვკა* ბარბარიზმი იყო. დღეს კი ინგლისურის გზით შემოსული იგივე სიტყვები (*ტრენერი* და *ტრენინგი*) უმტკივნეულოდ იმკვიდრებს ადგილს. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ამჟამად ქართული ენა ყველაზე მეტად სწორედ ანგლიციზმებით ბინძურდება. ამ მხრივ კი ყველაზე მეტს სწორედ ჟურნალისტები და ის პოლიტიკოსები სცოდავენ, რომლებიც ხშირად ჩანან ეკრანზე და ინგლისური სიტყვების გამოყენებით ცდილობენ, ხაზი გაუსვან თავიანთ განათლებულობას. რუსიციზმები ახლა ყურს სჭრის და ადვილად ხვდებიან, რომ მისი გამოყენება არ შეიძლება, მაგრამ ინგლისურიდან შემოსული სიტყვები ნაკლებად აღიქმება ბარბარიზმებად, პირიქით, თითქოს აუცილებლობაც კი გახდა მათი გამოყენება. ასეთი დამოკიდებულება, შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს ქართული ენისათვის, რადგან უცხოური სიტყვები შეუმჩნევლად ანაცვლებს ქართულს. აქ საუბარია არა ინტერნაციონალურ სიტყვებზე (*კომპიუტერი*, *პროცესორი* და სხვ.), რომელთა შემოსვლა და

დამკვიდრება ტექნოლოგიურმა რევოლუციამ გამოიწვია. ესენია, მაგალითად, პრიორიტეტული (უპირატესი), კრეატიული (შემოქმედებითი), რეზულტატი (შედეგი, ივენთი (ღონისძიება), ექსპერიმენტი (ცდა), აუთლაინი (მონახაზი), მესიჯი (შეტყობი ნება, გზავნილი), რიმიეჟი (გადამუშავება), მეილი (ფოსტა), ფეშენვიეჟი (მოდის კვირეული), უიქენდი (შაბათ-კვირა) და ა.შ.

ქართველი ჟურნალისტები, როგორც წესი, უპირატესობას უცხოურ სიტყვებს ანიჭებენ, ამიტომ რიგითი მაყურებლისთვის, რომელსაც ხელში არ უჭირავს განმარტებითი ლექსიკონი, გაუგებარი რჩება, რის შესახებ საუბრობს ჟურნალისტი. თავის მხრივ, ჟურნალისტებმაც უნდა გაიაზრონ, რომ ქართული ენის ნორმების დაცვა აუცილებელია. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მათი საუბარი მაგალითი ხდება მაყურებლისა თუ მკითხველისათვის (ლილუაშვილი, 2011).

ტელევიზია ითხოვს ელემენტარული კანონების დაცვას. ეს იმას ნიშნავს, რომ მეტყველების ტექნიკის, დიქციის, სწორი წარმოთქმის, მახვილის, მშობლიური ენის უბადლო ცოდნის გარდა, ყველაფრის საწყისი არის წამყვანმა ლოგიკურად, ზუსტად გამოხატოს აზრი ტელემაყურებელსა და გადაცემის მსმენელებთან ურთიერთობისას.

ტელევიზიისათვის მნიშვნელოვანია სამეტყველო ეტიკეტის დაცვა. ეს პირველ რიგში, უნდა იყოს პროფესიონალური, მეორე რიგში, სისტემატიური, მესამეც, მრავალფეროვანი ფორმითა თუ შინაარსით და მეოთხეც, საინტერესო იყოს არასპეციალისტებისათვის. მშობლიური ენის ნორმების დაცვა რადიოსა თუ ტელევიზიაში ესაა ჟურნალისტის კულტურის მაჩვენებელი.

2.8. ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპები.

ტელემაუწყებლობა მასმედიის სხვა საშუალებებზე მეტადაა მიმართული პირდაპირი ურთიერთობისაკენ, რაც ქმნის მონაწილეობის ეფექტს. პერსონიფიცირებული მიდგომა ანუ ცალკეული მაყურებლისადმი მიმართვა, კონტაქტის ინდივიდუალიზაცია, რომელიც შეტანილია როგორც სარეკლამო რგოლებში, ისე სხვადასხვა გადაცემაში, იწვევს მაყურებლის ნდობას, ამიტომაცაა რომ ტელევიზიას უდიდესი გავლენა აქვს საზოგადოებაზე. საინფორმაციო

გადაცემები არის ინფორმაციის წარდგენისა და გავრცელების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და მნიშვნელოვანი საშუალება.

იმისათვის, რომ არ დაიკარგოს ნდობა ჟურნალისტიკის მიმართ, ჟურნალისტებმა გარკვეული პროფესიული სტანდარტები უნდა დაიცვან. მაიამის უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორის, პოლ სტეინლის აზრით, პროფესიული ჟურნალისტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი სტანდარტები ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- სიზუსტე უფრო მეტად ფასობს, ვიდრე – ოპერატიულობა;
- სამართლიანობა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სენსაცია;
- მოვლენების ყოველმხრივ გაწონასწორებული ასახვა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე – ეკრანზე ეფექტურად გამოჩენა.

ჟურნალისტიკაში უამრავი სხვა სტანდარტი არსებობს, თუმცა, გარდა პროფესიული სტანდარტებისა, არის ეთიკური პრინციპები, რომელთა დაცვა არანაკლებ საჭიროა სანდო და კეთილსინდისიერი ჟურნალისტიკისთვის. იმ ქვეყნებში, სადაც არის სიტყვის თავისუფლება, შესაბამისად, ჩამოყალიბდა გარკვეული ეთიკური კრიტერიუმები, რომლებითაც ჟურნალისტებმა უნდა იხელმძღვანელონ. ხშირად ეთიკის საკუთარი კოდექსები აქვთ ცალკეულ გაზეთებს, ტელე - და რადიო არხსა თუ მედიაკორპორაციას, ხშირად კი ამა თუ იმ ქვეყნის ჟურნალისტები თანხმდებიან, რომ თავიანთ საქმიანობაში ერთიანი ეთიკური პრინციპებით იხელმძღვანელებენ. არსებობს ეთიკის საერთაშორისო კოდექსებიც, თუმცა მხოლოდ კანონის მიღება, თუნდაც ეს იდეალური დოკუმენტი იყოს, საქმეს ვერ უშველის, თუ არ იარსებებს ამ კოდექსის დაცვის მექანიზმი.

ჟურნალისტური ეთიკის კოდექსის ძირითადი პრინციპებია:

სიმართლე – ჟურნალისტი მოვალეა, არ დამალოს ინფორმაცია, რომლის მნიშვნელობა და შინაარსი მას საზოგადოების საერთო ინტერესის საგნად აქცევს. მან უნდა გამოაქვეყნოს ისეთი შეხედულებებიც, რომლებსაც ის არ ეთანხმება. იმ

მოვლენათა გაშუქებისას, რომლებიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული მხარეთა თანაბრად წარმოჩენის პრინციპი.

ობიექტურობა – ჟურნალისტი მუდამ უნდა იცავდეს სამართლიანი კრიტიკისა და კომენტარების უფლებას. ნებისმიერი სახის ინფორმაციული მასალა (ვიდეო, აუდიო, ტექსტობრივი და ფოტომასალა) მაქსიმალური სიფრთხილითა და ყურადღებით უნდა გადამოწმდეს. ამა თუ იმ გაზეთის ან სხვა საინფორმაციო საშუალების მიერ გამოქვეყნებული მასალის მიმოხილვისას არ უნდა შეიცვალოს მისი ძირითადი შინაარსი. ტექსტის შემცირებამ, ან რაიმე დამატებამ არ უნდა გამოიწვიოს ძირითადი აზრის დამახინჯება, რათა საზოგადოებამ სწორად გაიგოს სიახლე. ჟურნალისტი ყოველთვის უნდა ასახელებდეს თავის ვინაობას ინფორმაციის წყაროსთან მუშაობისას. ეს პრინციპი შეიძლება დაირღვეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს ეხება და მისი მოპოვება სხვა გზით შეუძლებელია. ჟურნალისტმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ინტერვიუს რეზიუმეს სახით გადმოცემისას, იმისთვის, რომ არ შეილახოს რესპონდენტის, როგორც თანაავტორის, უფლება.

პატიოსნება – მოვლენები და სიახლეები ჟურნალისტმა უნდა აღწეროს მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა უტყუარობაშიც ის დარწმუნებულია. ჟურნალისტმა არ უნდა დამალოს არსებითი ინფორმაცია ან გააყალბოს დოკუმენტები. მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლოა ჟურნალისტური კვლევის საიდუმლოდ წარმართვა, კერძოდ, თუ ის ააშკარავებს საზოგადოებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომლის მიღება სხვა გზით შეუძლებელი იყო. საზოგადოებრივი ინტერესი არ ამართლებს სიახლეთა მოპოვების მიზნით ჩადენილ უკანონობას.

ინფორმაციის გადმოცემის ან კომენტარებისას დაშვებული უზუსტობა (თუ ის მომავალში ასეთად აღიარეს), იმავე უწყებამ ან ჟურნალისტმა, რომელმაც ინფორმაცია გამოაქვეყნა, მაშინვე და იმავე საშუალებით უნდა შეასწოროს. ამასთან ერთად, უარმყოფელი განცხადება მაშინაც უნდა გაკეთდეს, როდესაც დაშვებული შეცდომა სხვა ადგილას საჯაროდ აღიარეს.

ადამიანის უფლებების პატივისცემა – ჟურნალისტი პატივს უნდა სცემდეს ადამიანის პირად ცხოვრებას და სოციალურ გარემოს, რომელშიც ის ცხოვრობს, თუმცა თუ რომელიმე პირის მიერ ჩადენილი ქმედება უკავშირდება საზოგადოებას, ეს საკითხი შესაძლებელია განიხილოს ჟურნალისტებმა. ასეთ შემთხვევებში მათ უნდა გამოიჩინონ სიფრთხილე, რათა არ ხელყონ გარეშე პირთა პირადი უფლებები.

საინფორმაციო გადაცემების მნიშვნელოვანი მოთხოვნებია: ობიექტურად და პროფესიონალურად გაშუქდეს მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფეროს მთავარი მოვლენა, მსოფლიოს, ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის ძირითადი სიახლეები, ამ მოვლენებსა და აუდიტორიის ინტერესებს შორის მოიძებნოს კავშირი, სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებები მიეწოდოს მოსახლეობას, ჩამოყალიბდეს პოზიტიური საზოგადოებრივი აზრი, აუცილებელია მოსახლეობის შეხედულებების გაფრთხილება, ადამიანების პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა საკმარისი საფუძვლის გარეშე.

ჟურნალისტიკის თანამედროვე კანონები ამ სახის გადაცემებისგან მოითხოვს მაქსიმალურ ობიექტურობას, რომ მაყურებელმა თავად შეძლოს დასკვნების გამოტანა, თუმცა ასი პროცენტით ობიექტურობა მიუღწეველია პოლიტიკური შეხედულებების, არხის იდეოლოგიური მსოფლმხედველობისა და წამყვანის გამო, ამიტომ საინფორმაციო გადაცემები აშკარად არ გამოთქვამენ თავის აზრს, მაგრამ ცდილობენ მიგვითითონ ამისკენ. მოცემული მიზანი ითხოვს მაქსიმალურ ტაქტიანობას, თავშეკავებულობას, ნდობის მოპოვების აუცილებლობას, რომლის წყალობითაც მაყურებელი დარწმუნებული იქნება, რომ მოწოდებული ინფორმაცია სიმართლეა (ჟურნალისტთა ეთიკის კოდექსი 2015).

საინფორმაციო გადაცემების ტელეაუდიტორია წამყვანისაგან ითხოვს კეთილმოსურნეობას, ინფორმაციის გასაგებად და ლაკონიურად გადმოცემას, მნიშვნელოვანია წამყვანის გრამატიკულად გამართული მეტყველება, კორესპონდენტისათვის მიუღებელია არაერთმნიშვნელოვნება, ლინგვისტური ორაზროვნება. იკრძალება ექსპრესიული, ემოციურად შეფერილი გამონათქვამები, რომლებიც მაყურებელმა შესაძლოა არასწორად გაიგოს. წამყვანის და

კორესპონდენტის მეტყველება სრულიად უნდა შეესაბამებოდეს საქმიანი სამეტყველო ეტიკეტის ნორმებს და წესებს. ხშირად ადამიანები „უყურებენ“ საინფორმაციო გადაცემებს „ფონად“, არ იმყოფებიან უშუალოდ ეკრანთან, ასეთ შემთხვევაში წამყვანს მხოლოდ მეტყველებით შეუძლია ზემოქმედება.

საინფორმაციო გადაცემების ძირითად მოთხოვნებად შეიძლება დავასახელოთ: ობიექტურობა, ოპერატიულობა, ინფორმაციულობა, აქტუალურობა და ვიზუალიზაცია.

სატელევიზიო ეტიკეტის ნორმები გულისხმობს მისალმების და დამშვიდობების ოფიციალური ფორმულების გამოყენებას ეთერში და კრძალავს უცენზურო და ნეგატიურ ლექსიკას.

ნებისმიერი ურთიერთობა დაფუძნებულია გარკვეულ წესებზე, ისინი ეხმარება მას წარმატებული კომუნიკაციური აქტის დამყარებაში. ასეთი წესების შემადგენელი ნაწილი სამეტყველო ეტიკეტის ფორმულების კორექტული გამოყენებაა.

ტელეეტიკეტმა სრულიად გადაიღო ენობრივი სამეტყველო ეტიკეტის ფორმები, არა მხოლოდ ტელემიმართვების დაწყების და დასასრულებისას აუდიტორიისადმი მიმართვის ფორმები, არამედ მთელი სამეტყველო წყობა. როგორც მეცნიერმა ვ. გოლდინმა აღნიშნა, წამყვანის მიერ სწორად არჩეული ურთიერთობის ტონი უზრუნველყოფს ყველას ემოციური კომფორტით, ეხმარება საჭირო ტიპის ურთიერთობის წარმართვაში (Гольдин, 1983).

დაწვრილებით განვიხილოთ, სამეტყველო ეტიკეტის რომელ ძირითად ერთეულებს იყენებენ წამყვანები ტელე- და რადიოეთერში.

თავი III. ამერიკული და ქართული პოლიტიკური ტოკშოუს ლინგვისტური თავისებურებები ეტიკეტის თვალსაზრისით

3.1. მისაღმების, დამშვიდობების, სამადლობელი და მიმართვის ფორმულების ერთგვაროვნება

სამეტყველო ეტიკეტის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს მეტყველების ფორმულები, რომელთა გამოყენება დამოკიდებულია კომუნიკაციის თავისებურებაზე. კომუნიკაციის ნებისმიერ აქტს აქვს თავისი დასაწყისი, ძირითადი ნაწილი და დასასრული, სადაც სამეტყველო ეტიკეტი იცვლება სიტუაციის მიხედვით. ოფიციალურ გარემოში გამოიყენება ფორმალური, თავაზიანი სამეტყველო ფორმულები, რომლებიც უკვე ერთგვარად ჩამოყალიბებული ფორმებია.

თავაზიანობის გამოხატვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს მისაღმება წარმოადგენს. სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში მისაღმების დიფერენცირებული ფორმებია გავრცელებული და მათ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ინტერპერსონალურ კომუნიკაციაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეტიკეტი წარმოადგენს რეგლამენტირებულ სამეტყველო ნორმებს, იგი მკაცრად არ განსაზღვრავს მისაღმებას, მიმართვას ან დამშვიდობებას. მიუხედავად ამისა, განხილული მასალა ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ გადაცემებში დროთა განმავლობაში მისაღმების შაბლონური ფორმები ჩამოყალიბდა, რომლებსაც აქვთ ერთგვაროვანი ლექსიკა და მსგავსი სტრუქტურა:

- ა) მისაღმება;
- ბ) საკუთარი თავის წარდგენა;
- გ) გადაცემის მთავარი თემა.

Moderator Jeanine Pirro: Hello and welcome to justice, I am a judge Jeanine Pirro. (...)_ We have a special show on tap for you tonight(Justice, April 20, 2019).

ჟურნალისტი ირაკლი ჩიხლაძე: *საღამო მშვიდობისა, პირდაპირ ეთერშია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკშოუ „პირისპირ“, მე ვარ ჟურნალისტი ირაკლი ჩიხლაძე. გვისმენთ რადიოიმედზე და გვიყურებთ ტელეიმედზე („პირისპირ“, 19 მარტი, 2019).*

ამერიკული და ქართული ტოკშოუების მაგალითებიდან ძირითადად ჩანს, რომ მისალმებისას პოლიტიკურ შოუებში მკაცრადაა დაცული სტილი. წამყვანები თითქმის ყველგან ერთსა და იმავე ფრაზებს იყენებენ, თუმცა უმეტესი მათგანი სანამ მიესალმებოდეს მაყურებელს, გადაცემის მთავარ თემას წარმოადგენს. ზოგ პოლიტიკურ ტოკშოუში ჯერ თემაა და შემდეგ – მისალმება:

- ა) გადაცემის მთავარი თემა;
- ბ) საკუთარი თავის წარდგენა;
- გ) მისალმება.

ინგა გრიგოლია: *ბოლო მამველი რგოლი ოცნებისთვის თუ ირაკლი ღარიბაშვილის რესტარტი, როგორც ძველი გვარდიის წარმომადგენელმა ოთარ ჩრდილელმა უწოდა მის დაბრუნებას. ეს რეაქციაა, რომელსაც ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს წარმოგიდგენთ მე – ჟურნალისტი ინგა გრიგოლია (“რეაქცია“, 5 მარტი, 2019).*

გიორგი გაბუნია: *თექვსმეტი ადამიანი დააკავეს იმის გამო, რომ მათ ნახეს, ჩამოტვირთეს ან სხვებს აჩვენეს დეპუტატის პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები, მაგრამ ვინ არის მთავარი დამნაშავე? ცოტა ხანში ბრალდებული ახალგაზრდებიდან ორი მათგანი ჩვენი სტუმარი იქნება. თავიანთ მძიმე ისტორიას ისინი პირდაპირ ეთერში, აქ გვიამბობენ, მაგრამ ჯერ სტუდიაში მივესალმები ქართული ოცნების ახლა უკვე ყოფილ წევრს, ქალბატონ ეკა ბესელიას, საღამო მშვიდობისა! (“არჩევანი“, 26 თებერვალი, 2019).*

Moderator Robert Costa: *It's done. The Mueller report is now in the hands of the attorney general. I'm Robert Costa. Welcome to Washington Week. The special counsel has*

completed its investigation. The big question now, how much will be released to the public? (...)
Good evening. (Washington Week, March 22, 2019).

Moderator Steve Hilton: *Breaking tonight as democrats face a growing scandal over racism and hypocrisy. President Trump puts the finishing touches to his state of the union address and in case it's not too late we have a few suggestions. Evening everyone and welcome to the next revolution, I am Steve Hilton and this is the home of positive populism (The Next Revolution, February 3, 2019).*

ჟურნალისტ სტივ ჰილტონის მისაღმება ძალიან ჰგავს რობერტ კოსტას სტილს, ჯერ ის მაყურებელს სთავაზობს მთავარ, საინტერესო და დამაინტრიგებელ პოლიტიკურ თემას და მაყურებელს შემდეგ ესაღმება. მისაღმებისას წარმოდგენილია სიტყვათა ინვერსიული წყობა, ელიპსური წინადადება და საკუთარი პროგრამის პოზიტიური შეფასება ოქსიმორონული სიტყვათშეთანხმებით: “positive populism”, რომელიც გარკვეულწილად ექსპრესიულობის რეპრეზენტაციის ერთ-ერთი საშუალებაა.

მისაღმების წარმოდგენილი ფორმულები სტილისტიკურად ფორმალურია. მათი უმეტესი ნაწილი შეიცავს მიმართვას, ვოკატივს.

მეცნიერების თვალსაზრისით, მიმართვის ტრადიციული ეტიკეტური ფორმებია ბატონო/ ქალბატონო-ს (Mr, Mrs) გამოყენება, თუმცა დემოკრატიზაციის გავლენის შედეგად ეს მანძილი მცირდება და ოფიციალურ სიტუაციებში ანთროპონიმული და ემოციური ვოკატივები გამოიყენება.

ქართულ პოლიტიკურ ტოკშოუებში მიმართვის ფორმები ფორმალურ სახეს იღებენ, სადაც დაცულია სამეტყველო ეტიკეტის ნორმები. ხშირად სტუმრის წარდგენას და მიმართვას თან სდევს სამადლობელი ფორმები, რაც თავაზიანი მეტყველების ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა.

ძალიან დიდი მადლობა რომ ხართ ჩვენი სტუმარი, მადლობა ბატონო ირაკლი „რეაქცია“, 5 მარტი, 2019);

საღამო მშვიდობის, ქალბატონო ირმა, მადლობა, რომ ჩვენთან ერთად ხართ. („პირისპირ“, 15 მაისი, 2018);

თქვენ რას ფიქრობთ, ბატონო გიორგი, მონარქიაზე? („არჩევანი“, 20 ივნისი, 2017).

ამერიკული პოლიტიკური ტოკშოუებისათვის ძირითადად დამახასიათებელია არაფორმალურობა მიმართვის დროს. გადაცემის წამყვანები და ტოკშოუს სხვა მონაწილე პირები ერთმანეთს უმეტესად მიმართავენ სახელებით. სწორედ მიმართვის ფორმების სახელობით გამოყენება ამოკლებს დისტანციას და ქმნის კომფორტულ კლიმატს ინტერაქციაში. წარმოდგენილ მაგალითებში მკაფიოდ ჩანს, რომ მაღალი რანგის პოლიტიკოსების მიმართ წამყვანები იყენებენ მიმართვის ფამილიარულ ფორმებს, თითქოს მეგობარს მიმართავდნენ.

Piers Morgan: What I find so extraordinary, Jeffrey, is this (..) (Piers Morgan Tonight, January 18, 2012).

Steve Hilton: Morgan, first time on the show, it's very exciting! Morgan: Thank you, I'm happy to be here (The next Revolution, March 2, 2019).

Robert Costa: And the president, Ashley, this weekend is heading to his own private club in Los Angeles as part of his trip (Washington Week, April 5, 2019).

ამერიკელებისთვის, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ფამილიარული მიმართვა ცუდ ტონად არ ითვლება, პირიქით, ის ბადებს სიახლოვის განცდას. ასევე, ამერიკულ პოლიტიკურ ტოკშოუებში სამადლობელი ფორმებიც მეტად არაოფიციალური ფორმით გამოიხატება:

Piers, thanks for having me (Piers Morgan Tonight, January 12, 2013).

Host: Morgan, first time on the show, it's very exciting!

Guest: Thank you, I'm happy to be here (The Next Revolution, March 3, 2019)

მეტყველების ეტიკეტის წესები ავალდებულებს ტოკშოუს მონაწილეებს საუბრის სათანადო სახით დასრულებას. წამყვანი ირჩევს გადაცემის ფორმატთან რელევანტურ დამშვიდობების ფორმულას. მართებულად შერჩეული დამშვიდობების ფორმულა წარმოადგენს მნიშვნელოვან რგოლს, ჯაჭვს მეტყველების ეტიკეტური ჩარჩოს შექმნაში.

ამერიკულ პოლიტიკურ ტოკშოუებში ყოველთვის გვხვდება დამშვიდობების ტრაფარეტული ფორმები. ასეთი ფიქსირებული ფორმები თავაზიანობის ოფიციალურ სახეს იღებს, სადაც სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაცვა აუცილებელია.

პოლიტიკურ ტოკშოუებში მისალმების ფორმულებთან ერთად ყოველთვის ისმის დამშვიდობების ტრადიციული ფორმულებიც. დამშვიდობებამდე, გადაცემის დასრულებამდე, თითქმის ყოველთვის ისმის მაყურებლის გაფრთხილება, თვალი ადევნონ, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. გადაცემის დასრულების მომდევნო ეტაპია მაღლიერების გამოხატვა სტუმრის ან აუდიტორიის მიმართ, რომლის შემდეგაც წამყვანი ხელახლა წარადგენს საკუთარ თავს.

ROBERT COSTA: We'll keep our eyes on all these phases. This is just one tonight. More news will happen this weekend. We'll keep reporting on all of it. Thanks, everybody, for being here. Our conversation will continue on the Washington Week Extra. Watch it on our website, Facebook, or YouTube starting at 8:30 p.m. Eastern. That's every Friday night.

And while you're online, take our Washington Week 2020 Election Survey and tell us what are the issues that are affecting you in your community.

I'm Robert Costa. Have a great weekend and we'll see you next time (Washington Week, March 22, 2019).

STEVE HILTON: All right, well, we never, there's never enough time to talk all the twenty again. That's all for tonight. Don't forget to sign up for fox nation, where you can see my new deep dive tomorrow, where we take a close look at the universal health care being

promised by New York Mayor Bill De Blasio and California governor Gavin Newsom. Thank you so much to Morgan Tevin and Henry (...)

I'll be part of Fox News's all day coverage of the state of the union on Tuesday. Make sure you don't miss that. I'm Steve Hilton, see you on Sunday when the next revolution will be televised (The next revolution, March, 2, 2019).

MORGAN: We'll leave it there. Doctors, thank you both very much indeed.

Tomorrow, a special Piers Morgan Tonight on guns in America. (...) We also want to hear from you. We're taking your questions and your Tweets. Again, Guns in America, a live Piers Morgan Tonight special. That's tomorrow. And that's all for us tonight (Piers Morgan Tonight, May 2, 2013).

ტოკშოუს წამყვანები დამშვიდობების წინმსწრებ ფრაზებად ხშირად იყენებენ იდიომებს, რომელთა მეშვეობითაც ისინი მომავალ თემას ხდიან უფრო საინტერესოსა და დამაინტრიგებელს: “keep eyes on”, “deep dive”. ორივე შემთხვევაში წამყვანი იზიდავს მაყურებელს და ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მათთვის საინტერესო თემები დაწვრილებით იქნება განხილული.

ქართული პოლიტიკური ტოკშოუების დამშვიდობების ფორმულები ამერიკულის მსგავსად სტანდარტულია. ქართველი წამყვანები დამშვიდობების თითქმის იმავე ფორმულას იყენებენ, თუმცა გადაცემის დასასრულის გამომხატველი ფრაზები უფრო ლაკონიურია, ვიდრე – ამერიკულ ტოკშოუებში:

ა) მადლობის გადახდა სტუმრებსა და მაყურებელზე;

ბ) შემდეგი გადაცემის დაანონსება;

გ) წარმატების სურვილი.

ირაკლი ჩიხლაძე: მადლობა, ძალიან დიდი მადლობა, რომ ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე მოხდა პრეცედენტი, როცა საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად დღეს სტუდიაში დასთანხმდა მოსვლას და ამ ფორმატს დასთანხმდა პრემიერ

მინისტრი (...), ამისთვის განსაკუთრებული მადლობა თქვენ! მადლობა, დღევანდელი დღე დასრულებულია. ერთმანეთს შევხვდებით კვირას, რა თქმა უნდა, 9 საათზე, მშვიდობიან ღამეს გისურვებთ, ნახვამდის! („პირისპირ“, 21 მაისი, 2019).

გიორგი გაბუნია: მადლობა, მე დიდი მადლობა უნდა გადაგიხადოთ მობრძანებისთვის. მადლობა ჩვენს სტუმრებს, მადლობა ყველას, ვინც ჩაგვეერთო და განსაკუთრებული მადლობა ჩვენს მაყურებელს, რომელიც ასე გვიანობამდე ჩვენთან ერთად იყო. მე გემშვიდობებით მომდევნო სამშაბათამდე, კარგად იყავით („არჩევანი“, 19 მარტი, 2019).

ინგა გრიგოლია: ახლა ჩვენი საინფორმაციო გამოშვების დროა, დიდი მადლობა რომ გვიყურეთ, კარგად ბრძანდებოდეთ („რეაქცია“, 31 იანვარი 2019).

ამერიკელი ტოკშოუების წამყვანებისაგან განსხვავებით, დამშვიდობებისას ქართველი წამყვანების მეტყველებაში უმეტესწილად ფიქსირდება ნეიტრალური და ოფიციალური რეგისტრის ლექსიკის აღრევა. ისინი დამშვიდობების ოფიციალურ ფორმულებთან ერთად იყენებენ ნეიტრალურ ფორმებსაც, რომლებიც წააგავს ყოველდღიური დამშვიდობების ფრაზებს.

ზემოთ აღნიშნულ მაგალითებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტოკშოუს ყოველთვის იწყებს და ასრულებს მისი წამყვანი. რესპონდენტები ხშირ შემთხვევაში არც კი ემშვიდობებიან მაყურებელსა თუ წამყვანს. პოლიტიკური ტოკშოუები, რომლების მიზანია მოსახლეობის ფართო მასების ინფორმირება, მტკიცედ მიჰყვება დანერგილ ეტიკეტურ ნორმებს. თანამედროვე ტოკშოუებში მისალმების, დამშვიდობების, მიმართვის, მადლობის გამომხატველი კლასიკური, მყარი ფორმულები გამოიყენება. დღესდღეობით მათ არ შეხებია ის მეტყველების გარდაქმნები, რომლებიც საუბრის ძირითად ეტაპზე შეინიშნება.

1.2. სუბიექტურობის გამოვლინების სხვადასხვა ხერხი პოლიტიკურ ტოკშოუებში

დღესდღეობით ტელევიზიის როლი საქართველოში უდიდესია, რადგან მასმედიის სხვა საშუალებები მას კონკურენციას ვერ უწევენ. სწორედ ტელევიზია ახდენს ყველაზე დიდ გავლენას ადამიანების ღირებულებების, პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის სისტემაზე. არხების უმრავლესობისათვის პოლიტიკური გადაცემები არის უმთავრესი, მათ ჰყავთ ყველაზე მეტი მაყურებელი, რომლებზეც მაქსიმალურ ზეგავლენას ახდენენ.

პოლიტიკური ტოკშოუ ძირითადად ეხება წამყვანის მიერ შეთავაზებულ ერთ სასაუბრო თემას, რომელზეც დისკუსია უნდა გაიმართოს. პოლიტიკური გადაცემების ცენტრალური ფიგურები არიან წამყვანები და კორესპონდენტები. მათი ამოცანაა, მიაწოდონ ინფორმაცია ისე, რომ მის ჭეშმარიტებაში ეჭვი არავის შეეპაროს. ამ ამოცანის შესრულების ერთ-ერთი ინსტრუმენტი არის სამეტყველო ეტიკეტის ნორმებისა და წესების უშუალო დაცვა.

პოლიტიკოსების მიერ სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაუცველობა (არაკორექტული გამონათქვამები ოპონენტის მიმართ, იარლიყების მიცემა, ყოფითი გამონათქვამების გამოყენება და ა.შ.) დაუშვებლად ითვლება. ის ძაბავს პოლიტიკურ ურთიერთობასაც.

პოლიტიკური ტოკშოუს წამყვანების სამეტყველო კულტურა ბოლო დროს გახდა მასმედიის განხილვის საგანი, რაც მიგვითითებს სატელევიზიო მეტყველების განვითარების თანამედროვე ტენდენციებზე. აშკარად შესამჩნევი გახდა ის ფაქტი, რომ ტოკშოუს წამყვანები ავლენენ სუბიექტურობას.

ჟურნალისტური ეთიკის მიხედვით ჟურნალისტს, როგორც ნებისმიერ სხვა მოქალაქეს, უფლება აქვს, ჰქონდეს საკუთარი აზრი პოლიტიკური ან სხვა მოვლენების შესახებ, მაგრამ მუშაობის პროცესში იგი უნდა ინარჩუნებდეს პროფესიულ დისტანციას მოვლენებისა და რესპონდენტების მიმართ, რაც

ობიექტური და პროფესიონალური გაშუქების ერთ-ერთი წინაპირობაა (ჟურნალისტური ეთიკის კოდექსი, 2003).

ამერიკული პოლიტიკური ტოკშოუს წამყვანები იდიომების მეშვეობით დაუფარავად გამოხატავენ საკუთარ აზრს ამა თუ იმ პოლიტიკოსისა თუ სხვადასხვა პოლიტიკური ვითარების შესახებ.

*Moderator Jeanine Pirro: I've known a man for almost three decades and that is not how this man responds to anything like: "oh, it's over, you know the **walls are closing in**. That's not Donald Trump. This is a **guy who pokes the eye of the tiger**, he walks into the cave and **he pokes the eye of the tiger**.*

Corney Lewandowsky (former Trump campaign manager) : look! This guy's a winner, whether it's real estate, best-selling book, television, politics. He is a winner in everything he does (Justice, April 5, 2019).

წამყვანი ტრამპის მხარდამჭერია და ვერ მალავს თავის პოზიციას. მეტაფორულად ორჯერ წარმოთქმული ეს წინადადება - „*This is a guy who pokes the eye of the tiger, he walks into the cave and he pokes the eye of the tiger*“ ტრამპის სიძლიერეზე მიგვითითებს. ამ წინადადებით იგი თავის ემოციურ გამოსვლაში აქებს ტრამპს და ზემოქმედებას ახდენს მაყურებელზე, უცვლის მათ პოლიტიკურ ხედვას. რესპონდენტის საპასუხოდ საკუთარ პოლიტიკურ სიმპათიებს ავლენს ასევე ტრამპის მიმართ და იყენებს ჰიპერბოლურ ეპითეტს – „გამარჯვებული“, ე.ი. გამარჯვებული გამოდის ყველაფრიდან, რასაც აკეთებს.

საჯარო სიმპათიის გამოხატვა ახასიათებთ ქართველ ტელეჟურნალისტებსაც, მაგრამ არა ისე გულლიად, როგორც – ამერიკელ წამყვანებს. ჟურნალისტები არ ერიდებიან საკუთარი, სუბიექტური აზრის წარმოჩენას, არადა, ობიექტურნი უნდა იყვნენ. ყოველივე ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ ტელევიზიაში მუშაობენ ისინი და ვისი მხარდამჭერია ეს უკანასკნელი.

წამყვანი ირაკლი ჩიხლაძე: (...) მე აქვე უნდა აღვნიშნო, რომ მსგავს ფორმატში უმაღლესი თანამდებობის პირების მონაწილეობა ადასტურებს, რომ განათლება დღევანდელი მთავრობის რეალური პრიორიტეტია (..) ზოგადად არ უყვართ პრემიერებს საზოგადოებასთან ერთად ამა თუ იმ საკითხზე მსჯელობა, ამისთვის განსაკუთრებული მადლობა თქვენ („პირისპირ“, 19 მარტი, 2019).

აღნიშნული მაგალითიდან ნათლად ჩანს, რომ წამყვანი აქებს მთავრობას და გამოხატავს პატივისცემას სტუდიაში მოწვეული პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის სხვა წარმომადგენლებისადმი. ამ შემთხვევაში იგი იყენებს იმპლიციტური შექების ტაქტიკას, რომელიც რეალიზდება სიმპათიის გამოხატვით და მიზანმიმართულია რესპონდენტის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

Moderator Jeanine Pirro: (...)and all the while, he remained focused, determined to execute the mission to which he was elected. I ask you have you ever seen a man face the onslaught of incoming every day? Have you ever seen a man willing to poke the eye of the tiger and not even claim executive privilege surrounded by wimps like former attorney general Jeff, who did while Barack Obama’s attorney general Eric Holder was held in contempt of congress, but Barack loved is loyal protective wingman and I’m not gonna dwell on the fact that the real collusion with Russia was with the Bonnie and Clyde of American politics Bill and Hillary, who sold our uranium to Russia (Justice, May 4, 2019).

ამ შემთხვევაში წამყვანი იმავე მეტაფორას იყენებს და ხოტბას ასხამს მის ფავორიტ პოლიტიკოსს, თუმცა ამავდროულად ამცირებს ოპონენტებს, მოიხსენიებს შეურაცხმყოფელი სიტყვით- wimps, რაც უნებისყოფო და სუსტი ხასიათის ადამიანს ნიშნავს. ჯანინ პირო ამასთანავე აკეთებს ირონიულ შედარებას რუსეთისა და ამერიკის კონკრეტულ პოლიტიკოსებს შორის, რაც მისი სუბიექტურობის გამოვლინების აშკარა მაგალითია.

Moderator Jeanine Pirro: (...)More than two years of non-stop unprecedented maligning by mainstream media. High-level Obama, administration officials and disappointed, disgruntled and deranged democrats of the commander in chief as an “agent”

*of a foreign government, “**Putin puppet**” - a tremendous dictator. All because they despise the outsider president we put in the oval office (Justice, April 5, 2019).*

როგორც ვხედავთ, ჟურნალისტი ისევ აქებს და ხოტბას ასხამს მის ფავორიტ პოლიტიკოსებს, ხოლო მისთვის არასასურველ პოლიტიკოსებზე საუბრისას მიმართავს დისფემიზმებს, დაცინვას, ირონიას და დამცირებას. ამის ცხადი მაგალითია შეურაცხმყოფელი მეტაფორის “*Putin puppet*”, “*agent*” გამოყენება იმათზე, ვის მიმართაც ანტიპათიით არის განწყობილი.

თამარ მახარობლიძე თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ინვექტივები და ობსენიური ლექსიკა სიტყვიერი აგრესიაა (მახარობლიძე, 2012:7) და ასეთი სახის გამოსვლები პოლიტიკურ ტოკშოუებში არა მხოლოდ მიუღებელია წარმატებული კომუნიკაციისთვის, სამეტყველო ეტიკეტის ნორმების უხეში დარღვევაცაა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინვექტივები შეიძლება პირდაპირ მიემართებოდეს ობიექტს ან პირიქით ირიბი, როცა ობიექტი შეურაცხმყოფელ კონტექსტში მოიხსენიება. ამერიკული ტოკშოუს წამყვანები მკვეთრად განსხვავდებიან ქართული ტოკშოუს წამყვანებისაგან, რომლებიც, რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, რესპონდენტთა მიმართ ჭარბად აგრესიულ ლექსიკას პირდაპირ იყენებენ (იხ. სქემა №1).

LARRY PRATT: Because the problem occurs, sir, in those areas precisely where we have said no guns. The problem doesn't occur where the guns are allowed freely to be carried to be used by people. There we have very low murder rates. We have lower murder rates in other parts of the country than even in Europe. Than even where you come from. But what has created a problem in the United States is to stay in cities and schools, those are areas where we're not going to allow people to defend themselves.

*MORGAN: You're an **unbelievably stupid man**, aren't you?*

*LARRY PRATT: It seems to me that you're **morally obtuse**. You seem to prefer being a victim to being able to prevail over the criminal element. And I don't know why you want to be the criminal's friend.*

MORGAN: What a ridiculous argument. You have absolutely no coherent argument whatsoever. You don't -- you don't actually give --

LARRY PRATT: You have no --

MORGAN: You don't give a damn, do you, about the gun murder rate in America? You don't actually care. All you care about --

PRATT: It seems to me that facts don't bother you, do they, Mr. Morgan?

MORGAN: -- is the right for any -- Americans -- you would like to see --

PRATT: Facts seem to -- they bounce right off of your head (Piers Morgan Show, January 9, 2013).

წამყვანი აშკარად არ ეთანხმება რესპონდენტს და იმის გამო, რომ სტუმარს განსხვავებული აზრი აქვს, შეურაცხყოფს კიდევ. პირდაპირი შეურაცხყოფის ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს სტრუქტურების “You are Something”, ენობრივი რეალიზაცია, რომლებშიც “something” წარმოადგენს მკვეთრად უარყოფითი მნიშვნელობებით დატვირთულ ლექსიკურ ერთეულს. შეურაცხყოფის ეს ტიპი, როგორც დადანაშაულება, მიმართულია ოპონენტის დისკრედიტაციასა და მისი არგუმენტების უარყოფაზე. აღნიშნულ შემთხვევაში საპასუხო სამეტყველო აგრესიულ რეაქციას მივყავართ კონფლიქტის ესკალაციისაკენ. შეურაცხმყოფელ რეაქციაზე საპასუხო შეურაცხყოფაა „you're morally obtuse“, თავდამსხმელი და მსხვერპლი ადგილებს იცვლიან, თუმცა წამყვანი არ იხევს უკან და კონფლიქტიც ღრმავდება.

პოლიტიკურ ტოკშოუებს მაყურებელი სერიოზულად უყურებს და გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ პოლიტიკურ გადაცემებში ძირითადად სამეტყველო ეტიკეტი ირღვევა, როცა მაღალი რანგის პოლიტიკოსები და ჟურნალისტები იყენებენ შეურაცხმყოფელ ეპითეტებს.

*The woman is even **dumber than I thought**, it must be because she has nothing else to do. This week, **my favourite ex-politician** Hillary Clinton (Justice , March 23, 2019).*

*A bunch of **phony politicians** at the top. Who **corrupt themselves** (Justice, April 5, 2019).*

*Democrats are **lousy on policy, lousy on politics**, and have the worst ideas in the world, but they stick together. And I think, and I'm playing armchair psychiatrist here – (laughs) (Washington Week, April 12, 2019).*

*(..)Don't be satisfied with the Muller report, this is bound to happen again, because this **arrogant, lying, condescending, leaking haters** of you and me and the America that doesn't have power are going to do it again (Justice, May 4, 2019).*

*This is gonna get **really nasty, really quick**. He seems like a very nice person and boy. Democratic party is gonna get very negative and very **nasty**. I can't wait for Joe Biden to get in the race, **creepy uncle Joe, it's swampy uncle Joe**, that's the real point. (The next revolution, October 3, 2019).*

პოლიტიკოსების მიერ სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დაუცველობა გახდა კრიტიკის საგანი, რადგან ბოლო დროს მსოფლიოს ყველაზე მაღალი დონის პოლიტიკოსებიც კი თავს უფლებას აძლევენ არაკორექტულად მიმართონ თავიანთ ოპონენტებს. ასეთი ქცევა შეიძლება ჩაითვალოს სამეტყველო აგრესიად (ნეგატიური გრძნობების, ემოციების, განზრახვების სიტყვიერი გაჟღერებაა მისთვის შეუფერებელ სიტუაციაში).

ქართველ და ამერიკელ წამყვანებთან ამასთან დაკავშირებით სრულიად კონტრასტული ვითარება გამოიკვეთა. ქართველი ჟურნალისტები ხასიათდებიან უფრო მეტი თავშეკავებულობით, გადაცემებს უძღვებიან საკმაოდ აქტიური და პოზიტიური მუხტით. გადაცემის მსვლელობისას ისინი ხშირად იყენებენ საწინააღმდეგო მოსაზრებებს და ოპონირებასაც აქტიურად უწევენ გადაცემაში მოწვეულ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლებს, თუმცა არასდროს აფიქსირებენ

თავიანთ პოზიციას. დისფემიზმები ან შეურაცხყოფელი ფრაზები წამყვანების მხრიდან თითქმის არასდროს ისმის.

ირმა ინაშვილი: ვიდრე დავიწყებდე, შენიშვნა მინდა მოგცეთ, როცა ფორმატზე შევთანხმდებით, ის ფორმატი დაიცვას თქვენმა ტელეკომპანიამ, თუმცა მე არა ვარ წინააღმდეგი, ამ ფორმატშიც დავაფიქსირო ჩემი აზრი. თქვენი ტელევიზია მე მიმაჩნია ერთ-ერთ მიკერძოებულ ტელევიზიად, მხარედ, რომელიც იყენებს არასწორ და ბინძურ მეთოდებს ოპონენტების გასანადგურებლად და ცალკე დამპატიყეთ ამ თეორში ამ თემაზე სასაუბროდ.

წამყვანი ირაკლი ჩიხლაძე: (...) მე ვფიქრობ, რომ თქვენ ხართ ერთ-ერთი სასურველი სტუმარი და გადავიდეთ მთავარ საკითხზე, თუ შეიძლება (“პირისპირ“, 15 მაისი, 2018).

აშკარაა, რომ რესპონდენტის შეურაცხყოფა მიზანმიმართულია და კონფლიქტის გამწვავებას ისახავს მიზნად, თუმცა წამყვანი ამას თავს არიდებს. ის არა თუ აყენებს შეურაცხყოფას, არამედ, პირიქით, პოლემიკაშიც კი არ შედის პოლიტიკოსთან და კომპლიმენტის საშუალებით ცდილობს ყურადღების გადატანას სხვა თემაზე, რათა სიტუაცია განმუხტოს.

ტოკშოუებში კონფლიქტები ბუნებრივ კომუნიკაციაში განვითარებული კონფლიქტისგან განსხვავებულად ვითარდება. ამდენად, აქ კონფლიქტი შესაძლებელია მხოლოდ გაჩნდეს (წინაკონფლიქტური სიტუაცია) და უცებ დასრულდეს, შესაძლებელია მალევე დასრულდეს. ეს დამოკიდებულია ტოკშოუს ხასიათზე: გადაცემაში მოწვეულ ყველა სტუმარს წამყვანი აძლევს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალებას, ამიტომ თითოეული პოლიტიკოსის გამოსვლის დრო რეგლამენტირებულია და არ არის იმპროვიზებული. წამყვანი, როგორც წესი, გადაცემაში ცდილობს, მართოს სიტუაცია, თავიდან აიცილოს კონფლიქტი, თუმცა ყოველთვის ვერ ახერხებს, ამიტომ არც თუ ისე იშვიათად ტელეეკრანებიდან გვესმის მკვეთრი კრიტიკული გამონათქვამები, ერთმანეთის ლანძღვა და ა.შ.

პოლიტიკოსის პოპულარულობა ყოველთვის არ არის პირდაპირ დაკავშირებული საკუთარი აზრის წიგნიერად და ლიტერატურულად გამოხატვის უნართან. ზოგჯერ ეს დამოკიდებულება უკუპროპორციულია: რაც უფრო მეტია მეტყველების წესების დარღვევა, რაც უფრო მძიმეა შეცდომები, მით უფრო მაღალია პოლიტიკური მოღვაწის ცნობადობა, მით უკეთესად ახსოვთ ის.

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ბატონო ქართულო ოცნება-პარლამენტის თავჯდომარევ, თქვენ გაჰკვიდით ცივრებივით, რომ თვითმმართველობის უფლებები უნდა გაიზარდოს, (...) მივწერ ეე, სადაა ჰეე, ძმაო.

*(...) ეს თემაც საგანგაშოა, სხვათა შორის, სამოც მილიონამდეა დახარჯული ფაროსანასთან ბრძოლაში, ფაროსანები ჯანმრთელად და კარგად არიან, სამაგიეროდ, ფუტკრები დახოცეს და საერთოდ მშიერი დატოვეს მეფუტკრეები. აი, ესაა ცენტრალური ხელისუფლება და ვთქვი ა****ია ვინც ეს გააკეთა და სამოცივე მილიონი წეილო ჯიბეში. ორი მილიონი წეგელო, შე შობელძაღლო! („პირისპირ,“ 7 მაისი, 2019).*

სვირში გაყიდულია ყველა საძოვარი. გაყიდა ვილაცა 25 წლის ღლაპმა ეკონომიკის სამინისტროდან, რომელმაც სოფელი არ იცის, რომელმაც არ იცის, რომ სოფელს საძოვარი უნდა, ტყე უნდა („პირისპირ,“ 7 მაისი, 2019).

ასეთი გამოსვლებით პოლიტიკოსი შესაძლოა პოპულარულობით სარგებლობდეს პოლიტიკურ არენაზე, თუმცა საეჭვოა იმავენაირი რეპუტაცია ჰქონდეს ამომრჩევლებშიც.

გადაცემაში მონაწილე პოლიტიკოსების მეტყველებაში არც თუ ისე იშვიათად ჩნდება დისფემიზმები (ღლაპმა, კორუმპირებულ-გახრწნილი, მგლის ხროვა), ირონია (ფაროსანები ჯანმრთელად და კარგად არიან), სასაუბრო, მდაბიო სტილის ლექსიკა (წეილო ჯიბეში. ორი მილიონი წეგელო, შე შობელძაღლო) და დისფემიზმებიც კი, რომლებსაც მოსაუბრე იყენებს აგრესიის გამოსახატავად.

ჩვენ უნდა წავიდეთ დემოკრატიული განვითარების გზით და დავამთავროთ მახინჯი მმართველობის ისეთი ოლიგარქიული ფორმა, როგორც დღეს

საქართველოშია, ზედ უნდა მივაყოლოთ ეს კორუმპირებულ-გახრწნილი მაჟორიტარები („არჩევანი“, 20 ივნისი, 2017).

ამ მგლის ხროვისთვის, რომელიც ქვეყანას მართავს ორი ათეული წელია, ჩვენ ვართ უცხო მგელი. ჩვენ ვართ ეროვნული მგელი, რასაც ჰქვია მგელი, თქვენ მოგეხსენებათ, ეს ლეგენდარული ცხოველია. მე ვთვლი, რომ არ შეიძლება ასეთი უმსგავსო, მდაბიო, სამარცხვინო მეთოდებით ომი („რეაქცია“, 31 იანვარი, 2019).

ზემოაღნიშნულ მაგალითებზე დაკვირვებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ტოკშოუებში სიძულვილის ენის გამოყენების მხრივ განსხვავებული ვითარება გამოიკვეთა. ეს უკანასკნელი ძირითადად გადმოიცემა დისფემიზმებით, რომლებიც მიმართულია უმთავრესად მოქმედი მთავრობის ან საპარლამენტო უმრავლესობის წინააღმდეგ და თითქმის არ კეთდება მკვეთრად შეურაცხმყოფელი განცხადებები კონკრეტული პიროვნებების მიმართ.

თავი IV. ამერიკული და ქართული გასართობი ტოკშოუს ლინგვისტური თავისებურებები ეტიკეტის თვალსაზრისით

4.1. მისაღმების, დამშვიდობების, მიმართვისა და სამადლობელი ფორმულების არაერთგვაროვნება

ტოკშოუ მნიშვნელოვან სატელევიზიო ფორმატს წარმოადგენს. ტელევიზიის არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორიის გათვალისწინებით ის ხანმოკლე არაა. ბოლო წლებში საქართველოსა და არა მარტო საქართველოში მედია განსაკუთრებული დაჟინებით უწევს პროპაგანდას საჯარო გულახდილობას. თავიდან გასართობი ტოკშოუ მოიცავდა მხოლოდ ცნობილი ადამიანების ისტორიებს და პირადი ცხოვრების ამსახველ ფაქტებს, თუმცა დროთა განმავლობაში მაცურებელს მოჰხერხდა ვარსკვლავური ისტორიები და თვითონ მოისურვა, გამხდარიყო სიუჟეტის გმირი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ორივე ქვეყანაში წმინდა სოციალური თემატიკის ტოკშოუები თითქმის აღარ არსებობს. გაჩნდა ტოკშოუები, რომლებიც გასართობ თემებთან ერთად გვთავაზობს სოციალური, საზოგადოებრივი თემების განხილვას, რაც უფრო ახლო და საინტერესოა ფართო აუდიტორიისთვის.

ტოკშოუები ჩვეულებრივ მისაღმებით იწყება, თუმცა ჩვენ მიერ განხილული გადაცემები, ისევე როგორც ამერიკული გასართობი ტოკშოუების უმეტესობა, ამ შემთხვევაში გამონაკლისია. წამყვანებს ყოველთვის წარადგენს გამომცხადებელი. „ელენის შოუში წამყვანს“ გადაცემაში შემოსვლისას აუდიტორია ემოციურად ხვდება, სწორედ ასეთ ფონზე უწევს მას პირველ რიგში აუდიტორიის დამშვიდება და მადლობის გადახდა სტუდიაში მოსვლისთვის.

Ellen DeGeneres: Thank you very much, thank you very much, Have a sit everybody, have a sit. I wanna make sure you're done, I don't wanna cut you off. Thanks for being here everybody. (The Ellen Show February 20, 2015).

Ellen DeGeneres: Thank you for being here and I appreciate you came in today. As you know I'm not just a talk show host, I'm a cover girl. (The Ellen Show, December 20, 2013)

აღნიშნული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ტოკშოუში არაოფიციალური რეგისტრის სიტყვები გამოიყენება: წამყვანი იყენებს სასაუბრო ლექსიკას: I wanna, I don't wanna, thanks. ასევე, იქებს საკუთარ თავს I'm a cover girl, რასაც კომიკური ელფერიც დასდევს. ფამილიარული ლექსიკის გამოყენებით ის ქმნის კეთილგანწყობას და იწვევს აუდიტორიის დადებით ემოციებს.

მისაღმება ანალოგიურია სტივ ჰარვის შოუშიც. იგი ყოველთვის გულთბილი, ლაღი ტონით ესაღმება მაცურებელს. წამყვანი იყენებს ყოველდღიური, სალაპარაკო ენისთვის დამახასიათებელ მისაღმებას, რითაც სტუმარს უქმნის კომფორტულ გარემოს იმისთვის, რომ საუბარი ორივე მხარისთვის სასიამოვნო კომუნიკაციაში გადაიზარდოს. მისაღმებისას, როცა ის ხვდება ხმაურიან აუდიტორიას, ყურადღების მიქცევის მიზნით ხშირად იყენებს ფამილიარულ ფორმას – hey.

Steve Harvey: Hey, welcome everybody, okay now how far would you go to find love.

Steve Harvey: Hi everybody, thank you. How are you feeling? (Steve Harvey Show, April 4, 2019).

ამერიკული შოუებისაგან განსხვავებით, ქართულ ტოკშოუებში ძირითადად მისაღმების ერთგვაროვანი სტრუქტურაა. აქ წარმოდგენილი მისაღმების ფრაზები უმეტესწილად ეტიკეტურ ჩარჩოშია მოქცეული. გადაცემაში მისასაღმებლად გამოიყენება ნეიტრალური ფრაზები: *სალამო მშვიდობისა, მოგესალმებით.*

ნანუკა ჟორჯოლიანი: სალამო მშვიდობისა, დღეს არის ოთხშაბათი ათი საათი, რაც იმას ნიშნავს, რომ თქვენ უყურებთ ნანუკას შოუს (ნანუკა ჟორჯოლიანის შოუ, 5 დეკემბერი, 2018).

ია ფარულავა: მოგესალმებით, ეთერშია ფარული კონვერტი („ფარული კონვერტი“, 15 აპრილი, 2019).

ანრი: სალამო მშვიდობის, დღეს ოთხშაბათია, რაც იმას ნიშნავს, რომ იმედის ეთერში პრაიმ შოუა (24 აპრილი, 2019).

ნოე სულაბერიძე: მოგესალმებით, „პრაიმ შოუ“ კვლავ ეთერშია, დღეს ოთხშაბათია და საკმაოდ ორიგინალური გადაცემა გვაქვს („პრაიმ შოუ“, 27 თებერვალი, 2019).

მისაღმების ფორმები ყველგან ერთნაირი და ტრაფარეტულია, მხოლოდ უმნიშვნელო სახეცვლილებით:

ა) მისაღმება;

ბ) გადაცემის წარდგენა;

გ) მთავარი თემის წარდგენა.

მისაღმება ტოკშოუში თითქმის ყოველთვის მოიცავს მიმართვის ფორმებსაც. მიმართვა სამეტყველო ეტიკეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტია. ისინი კომუნიკაციის პროცესში დიდ დატვირთვას ატარებენ, რადგანაც სწორად შერჩეული მიმართვის ფორმები ახდენენ პატივისცემის დემონსტრირებას მოსაუბრის მიმართ, თუმცა მოსაუბრის მიერ მიმართვის ფორმების სწორი გამოყენება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, ეს შეიძლება იყოს ასაკი, სოციალური სტატუსი ან კომუნიკანტების ურთიერთობა.

ქართულ გასართობ შოუში წამყვანები რიგ შემთხვევაში იყენებენ ტრადიციულ ეტიკეტური მიმართვის ფორმებს, რაც განპირობებულია ასაკით ან იერარქიულობით.

ნანუკა: ქალბატონო მანანა, გილოცავთ დაბადების დღეს! ძალიან დიდხანს უნდა იყოთ, თქვენ ხართ ქალი, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი ეპოქა შექმენით მუსიკალურ სამყაროში. უღრმესი მადლობა, ძან დიდი მადლობა სტუდენტებს (ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ, 13 მარტი, 2019).

ირაკლი მაქაცარია: მე პირველ რიგში ქალბატონ მაიასთან გადავიდოდი შეკითხვით („პრაიმ შოუ“, 27 მარტი, 2019).

მაგალითად, „პრაიმ შოუს“ ერთ-ერთი წამყვანი, ანრი ჯოხაძე, მუსიკოს მაია ბარათაშვილს სახელით მიმართავს. ის, როგორც მუსიკოსი, უფრო ახლოსაა მაია

ბარათაშვილთან, ვიდრე – სხვა წამყვანები, სწორედ ეს ფაქტი განაპირობებს ფამილიარობას, არ ირღვევა ეტიკეტი და ასაკით უფროს ადამიანთან მიმართვა უტაქტო არაა.

ანრი: ხო, მაგრამ მაია ემტივი როცა გაჩნდა შეერთებულ შტატებში, უკაცრავად, მაიკლ ჯექსონმა იგივე ქვინმა (...) („პრაიმ შოუ“, 27 მარტი, 2019).

წამყვანები ამერიკულ გასართობ ტოკშოუებში და, პირიქით, რესპონდენტები ყოველთვის მიმართვის არაფორმალურ, მეგობრულ მოდელს იყენებენ იმისთვის, რომ ორივე მხარე განეწყოს პოზიტიურად და უფრო ლაღად, გულღიად, ეტიკეტის ნორმების დარღვევის გარეშე ისაუბრონ სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

Steve: Ariadna, thank you for coming.

Ariadna: No, Thank you for having me here (Steve Harvey show, January 19, 2016).

Steve: oh my god Cheryl! Cheryl needs me to settle a family feud. Hi Cheryl

Cheryl: Hi Steve (Steve Harvey's show, December 4, 2018).

Ellen: Jay, you are incredible! I know you've mentioned me before and it's an honor.

Jay: I have, and you're in so many of my videos (The Ellen Show 19, 2019).

მაგალითებიდან ჩანს, რომ ამერიკულ გასართობ შოუებში ძირითადად გამოიყენება ანთროპონიმის ვოკატივის ფორმები, კომუნიკანტს სახელით მიმართავენ, ან ემოციურად დატვირთული ვოკატივები გამოიყენება oh, my god Cheryl. მიმართვის აღნიშნული ფორმები ამცირებენ მოსაუბრეთა შორის არსებულ დისტანციას, რათა უფრო ეფექტური კომუნიკაცია შედგეს.

ამერიკულ შოუებში ძირითადად გვხვდება დამშვიდობების ნეიტრალური და ფამილიარული ფორმები.

Host: I want to thank all of y'all for watching today. You ought to see some behind the scenes from today's show. See you next time (Steve Harvey Show, February 26, 2019).

Host: That's it for our show today folks. If you want to see some behind the scenes gonna come today, so follow us on facebook at Steve TV-Show. We'll see you tomorrow everybody (Steve Harvey's Show, March 11, 2019).

Guest: Thank you, Ellen, for having me.

Host: Thank you for being here, Jason. And thank all of you for being here. Thanks for driving or flying from wherever you came from. I know a lot of people fly from very, very far away. So, thanks for going through the hassle of whatever you did to get here. Thanks for feeling the room with a lot of love and joy. Thank you so much everybody. Bye-bye (The Ellen Show, March 24, 2014).

ამერიკული ტოკშოუს წამყვანები გადაცემის დასრულების წინმსწრებ ფრაზებში ყოველთვის უხდიან მადლობას აუდიტორიას, სტუმრებს და ტელემაყურებელს. მადლობის გადახდისას ხშირად იყენებენ არაფორმალური რეგისტრის ლექსიკას y'all, folks, gonna, ნეიტრალური რეგისტრის ლექსიკა გამოიყენება სამადლობელ ფორმებში. ისინი მაყურებელს სთავაზობენ, თვალი ადევნონ შოუს ფეისბუკგვერდს და მხოლოდ ამის შემდეგ წარმოთქვამენ დამშვიდობების ნეიტრალურ ან ფამილიარულ ფრაზებს: We'll see you tomorrow everybody/ See you next time, Bye-bye.

ტოკშოუს ქართველი წამყვანები გადაცემას ყოველთვის ასრულებენ ოფიციალური ან ნეიტრალური ლექსიკის გამოყენებით, რაც უფრო მიესადაგება გადაცემის ფორმატს და არ წააგავს ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებულ დამშვიდობების ფრაზებს. ქართულ შოუებში დამშვიდობებაც შაბლონური ფორმისაა, ისევე როგორც მისალმება. ჯერ მადლობის გადახდაა და შემდეგ– დამშვიდობების ფრაზები.

ნანუკა ჟორჟოლიანი: მან დიდი მადლობა, უღრმესი მადლობა. გისურვებთ ყველაფერს კარგს, მშვიდობას და სიყვარულს გისურვებთ ყველას (ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ, 27 თებერვალი, 2019).

ანრი ჟოხაძე: ვნახოთ რეზო და ბავშვების კლიპი. ჩვენ კი მომავალ ოთხშაბათამდე გემშვიდობებით. აქ იმედია („პრაიმ შოუ“, 7 მარტი, 2018).

ია ფარულავა: ეს იყო ერეკლე დეისაძე, უნიჭიერესი ადამიანი. ჩვენ ზუსტად ერთი კვირით გემშვიდობებით, ნახვამდის („ფარული კონვერტი“, 4 თებერვალი, 2019).

დამშვიდობების ზემოთ მოყვანილი ფრაზები სტანდარტულია და თითქმის ყოველთვის უცვლელი, თუმცა სამადლობელი ფორმების გამოყენებისას ნაწყვეტად ჟორჟოლიანის მეტყველებაში ხშირია კოლოკვიალური ლექსიკის (ძაან, საადოლ) და ფორმალური რეგისტრის აღრევა, რაც უმართებულოა.

მიუხედავად კულტურების განსხვავებულობისა, განხილული მასალა ცხადყოფს, რომ ქართულ და ამერიკულ ტელეშოუებში ხშირია მისაღმების, მიმართვის, დამშვიდობების ფორმულების თანხვედრა, რადგანაც ისინი სტანდარტული, ფიქსირებული ფრაზებია. ეს კი განაპირობა გლობალურმა საკომუნიკაციო სივრცემ.

4.2. ენობრივი ნორმებიდან გადახვევის ხერხები: სლენგიზმების და ჟარგონების, ვულგარიზმების, ბარბარიზმების ხშირი გამოყენება

ლინგვისტები, რომელთა ყურადღების ობიექტს წარმოადგენს მასმედიის ენა, შეჯერდნენ იმ აზრზე, რომ სატელევიზიო მეტყველება ხდება უფრო და უფრო იმპროვიზებული, თავისუფალი, ემოციური და ამ პროცესში დიდ როლს ამჟამად პოპულარული ტოკშოუს ჟანრი თამაშობს.

ქართული და ამერიკული სოციალურ-გასართობი ტოკშოუების ფორმატია ცნობილ ადამიანებთან ინტერვიუები და საზოგადოებრივი პრობლემების განხილვა. წამყვანი გადაცემის მსვლელობისას ცდილობს ფამილიარული ტონით მოახდინოს მაყურებლებზე ემოციური გავლენა. არც თუ ისე იშვიათად სატელევიზიო პროგრამის თემით გატაცებულ წამყვანს ავიწყდება საუბრის კულტურაზე ყურადღების გამახვილება, არ უკვირდება პროგრამის და საკუთარი საქციელის ეთიკურ ნორმებს,

რასაც სატელევიზიო პროგრამის შინაარსობრივი კონტინუუმი მიჰყავს კულტურულ-სანახაობრივი ფორმის დარღვევისაკენ, გამოიყენება საყოფაცხოვრებო, ყოველდღიური ფრაზები, იგნორირებულია სატელევიზიო სამეტყველო ეტიკეტის ნორმები, ამიტომ ჩვეულ ნეიტრალურ და სალიტერატურო სიტყვებსა და კონსტრუქციებთან ერთად მედიაში ნელ-ნელა შემოვიდა არაფორმალური რეგისტრის ლექსიკა, ჟარგონი, სლენგი, ვულგარიზმები.

ქართული ჟარგონის ლექსიკონის შემდგენელი ლევან ბრეგაძე აღნიშნავს, რომ ჟარგონის და სლენგის ზუსტი განსაზღვრება არ არსებობს და მათ ხშირად ერთსა და იმავე კონტექსტში იყენებენ. მისი განმარტებით ფრანგული წარმომავლობის სიტყვა „ჟარგონს“ და ინგლისური წარმომავლობის „სლენგს“ ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, ისინი წარმოადგენენ მეტყველების ნაირსახეობას, რომელსაც ძირითადად ზეპირი ურთიერთობისას იყენებენ (ბრეგაძე, 2016).

<http://indigo.com.ge/articles/people/levan-bregaze>

თავდაპირველად ჟარგონს იყენებდა ადამიანთა ვიწრო სოციალური ჯგუფი (სამხედრო ჟარგონი, ახალგაზრდული ჟარგონი, ქურდული ჟარგონი), მაგრამ თანდათან ჟარგონის სტატუსმა დაიწყო გარდაქმნა და სატელევიზიო გასართობ შოუებში მათი გამოყენება თითქმის ნორმად იქცა. ქართული საზოგადოება აშკარად განიცდის სამეტყველო სიტუაციის არსებით ცვლილებებს: ერთი მხრივ, ჩნდება ტოკშოუების დიდი მრავალფეროვნება, მრავალი სატელევიზიო სახე და მათი ქცევის დიდი თავისუფლება. მეტყველებაში ცენზურის, იდეოლოგიური ტაბუს, სტილის მკაცრი რეგულირების გაუქმებამ მიიყვანა სატელევიზიო ენა დემოკრატიზაციასთან. სატელევიზიო მეტყველება თავისუფლდება სტანდარტულობისა და ოფიციალურობისაგან. წარმოიქმნება ენობრივი გამოხატვის ახალი სტილი, რომელიც ხასიათდება ენობრივი საშუალებების არჩევის თავისუფლებით.

ქართულ სოციალურ-გასართობ შოუებში ჟურნალისტები ხშირად იყენებენ ჟარგონს.

წამყვანი: მე მივხვდი, რა ხდება, ე.ი. ცხოვრებაში თუ ხარ პოზიტიური, თუ ყველაფერს უყურებ კარგი კუთხით, თუ ყველაფერში ხედავ ბედნიერებას და კარგს, მაშინ არ ბერდები რა, მაშინ არ გერხევა რა (...) მე მინდა თქვენნაირი სიბერე მქონდეს, თქვენნაირი გაზი მქონდეს, ცეცხლი მქონდეს (ნანუკას შოუ, 7 თებერვალი. 2019).

წამყვანი: თუმცა შენ მალევე გაგიმართლა და შეაბი ერთ-ერთი მსხვილი გამოცემის პენტჰაუზის რედაქტორი („ფარული კონვერტი“, 2 ივლისი. 2018 წელი).

ტელეწამყვანები ჟარგონს იყენებენ თავისუფლებისაკენ სწრაფვის მიზნით. მშრალი, ოფიციალური, დაშტამპული მეტყველება ასეთი ტიპის შოუებში არ არის საინტერესო და გათვლილი მასებზე, ხოლო ჟარგონების გამოყენება დადებით კონტექსტში არ აღიზიანებს მაყურებელს, პირიქით, მათი გამიზნული გამოყენებით კონტაქტი უფრო იოლად მყარდება გადაცემაში მოსულ სტუმრებთან და კომუნიკაციაც უფრო სასიამოვნო ხდება ორივე მხარისთვის.

ჟარგონი ასევე გამოიყენება ნეგატიურ კონტექსტშიც, რომელიც არა მარტო იწვევს აუდიტორიის გაღიზიანებას, არამედ ძალიან ხშირად კონფლიქტსაც კი.

ნინა კუზანოვა: რეალურად გარეთ რომ გადიხართ, ცოლი სხვაგან დაგულაობს, ქმარი ცალკე დაგულაობს და ეკრანზე ყველა უმანკოები ხართ („პრაიმ შოუ“, 22 ივლისი, 2017).

რუსული წარმოშობის ჟარგონმა „დაგულაობს“ უარყოფითი ეფექტი გამოიწვია გადაცემაში, რადგანაც იგი გამოყენებული იყო გამიზნულად, ირონიული შეფერილობით თანაწამყვანების დამცირებისა და საკუთარი თავის ამაღლების მიზნით.

განხილულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტოკშოუებში მრავლად გვხვდება რუსული ჟარგონული ლექსიკური ერთეულები. ზოგი მათგანი ერთი შეხედვით ბარბარიზმებია, თუმცა მათი გამოყენების სპეციფიკის მიხედვით ჟარგონს წარმოადგენს.

ია: ქალი და კაცი მიდიან მანქანასთან, ვის ხედავ საჭესთან?

ნუცა შანშიაშვილი: კაცს. მოაცილე ქალი საჭეს!

ია: რატომ? მე ძან კაი რული ვარ (“ფარული კონვერტი”, 2 ივლისი, 2018).

ქრისტიანობა გადააქციეს ფასადად და თქვენ ამ ყველაფერს აპრავებთ (ნანუკა ჟორჯოლიანი შოუ, 7 თებერვალი, 2019).

ამიგო, მოდი, ჩამოთვალე რუხი კარდინალების სასტავი („ფარული კონვერტი“, 4 თებერვალი, 2019).

ა. პაპიძე მსჯელობს, რომ თანამედროვე ლექსიკურ-სემანტიკური ტენდენციებიდან ყველაზე მეტად გამოკვეთილი მოვლენა სატელევიზიო შოუებში სასაუბრო-ფამილიარული მეტყველების დამკვიდრებაა. ამ სტილის ერთი ყველაზე გამოკვეთილი ფორმაა თავისი ძირითადი მნიშვნელობით შედარებით „უწყინარი“ ზმნური ლექსემების დატვირთვა ჟარგონული შინაარსით, რომლებსაც არც თუ ისე იშვიათად უარყოფითი ემოციის გამომხატველი ფუნქცია აქვს (პაპიძე, 2019 :132).

გლებები ჩვენ ისტორიაში გვყოლია, რომლებსაც ვითომ განათლებულები მუსიკაში კვაიფებოდნენ, უკაცრავად ამ სიტყვისთვის, ნათელი მაგალითი მინდა მოგიყვანოთ. კვაიფებოდნენ ემანდ ვითომ განათლებული მუსიკოსები, რომ როიალზე დაკვრა თუ იცი შენო (პრაიმ შოუ, 27 მარტი, 2019).

მამათმავლობა უტყდება ამ ხალხს და ლგბტ თემით რაღაც უფრო სვეცად გამოიყურება, მიხვდით ?... (ნანუკას შოუ, 10 აპრილი, 2019).

ახალგაზრდობის უმეტესობა ბაიბურში არ არი, როგორ უნდა იურთიერთონ. (ნანუკას შოუ, 12 სექტემბერი, 2018).

წარმოდგენილი ჟარგონული ლექსიკა მოსაუბრის პირადი განცდებისა და გრძნობების აღსაწერად არის გამოყენებული. მაგალითად კაიფი ჟარგონული სიტყვაა, რომელიც სულ უფრო მეტად მკვიდრდება ქართულ ენაში სიამოვნების განცდის მნიშვნელობით, თუმცა წარმოდგენილ მაგალითში იგი უარყოფითი შინაარსისაა და დაცინვას ნიშნავს.

დასავლურ ფასეულობებზე დაფუძნებულ სატელევიზიო ტელეშოუებში უფრო მეტად ნეგატიური ემოციების გამოხატვა წარმოჩნდა. ჟარგონულ ლექსიკასთან ერთად ტენდენციური გახდა ვულგარიზმების გამოყენებაც. „ვულგარიზმები უხეში და უწმაწური სიტყვებია, რომლებიც გამოიყენება ზეპირ მეტყველებაში და მას უკულტურო, გაუნათლებელი ადამიანები იყენებენ“ (ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, 2014 :140-141).

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ ტოკშოუებში არა მხოლოდ წამყვანები ბილწსიტყვაობენ მწვავე პოლემიკის დროს, არამედ ცნობილი ადამიანებიც სხვადასხვა სფეროდან (იხ. სქემა №1) წარმოდგენილი მაგალითები სწორედ ამის დასტურია:

(...) ტიციან ტაბიძე დედას აგინებდა აუდიტორიას, (...) ცისფერყანწელები თქვენი დედაო პირდაპირ ეუბნებოდა (...) (პრაიმ შოუ, 27 მარტი, 2019).

ვინც ეს სურათი დაბეჭდა, იმის ციგანი დედა მე ვატირე (ნანუკას შოუ, 6 თებერვალი, 2019).

ნოე: შენ თითონ რა შთაბეჭდილება დაგრჩა როცა ის ვიდეო ნახე?

სტუმარი: არაფერი, უზრდელი ვირები არიან („პრაიმ შოუ“, 27 ივლისი, 2017).


ჩემი პოზიცია ბევრი ადამიანისთვის ნაცნობია, რომ ვეთანხმები აბსოლიტურად გენდერულ თანასწორობას (...) და ვთვლი რომ ჩვენ, კაცებს მოგვიხსნის ძალიან ბევრ ტვირთს, ასეთ შეტენილ სტერეოტიპს, პრობლემას (...) თუ ვიქნებით თანასწორები („პრაიმ შოუ“, 27 ივლისი, 2017).

საზოგადოება არა, შენ ეხლა უძვრები მანდ ხალხს, ზუსტად ვიცი პირად საუბრებში სხვა რამეს ამბობ და ახლა სხვას („პრაიმ შოუ“, 17 ოქტომბერი, 2018).

თავისუფალი აზროვნების გამოხატვა ღირსების შემლახველი სიტყვებით და ფრაზებით მიმართულია მაყურებლების ყურადღების მისაქცევად, ოპონენტების უარსაყოფად, საკუთარი აზრის სხვაზე მოსახვევად. კომუნიკანტები სცილდებიან

ეტიკეტის ფარგლებს, თუ შეკამათება ემოციურია, ხშირად წყდება, ყოვლად მიუღებელია ეტიკეტის ნორმებიდან გამომდინარე (იხ. სქემა №1).

სქემა №1



ტელევიზია წარმოადგენს სლენგის გავრცელების ძლიერ ინსტრუმენტს, რომლითაც ის გავლენას ახდენს როგორც ადრესატის, ისე მთელი ერის კულტურაზე, რომლის განუყოფელ ელემენტად შემდგომ ყალიბდება. მასმედიაში მისი გამოყენების ტენდენცია უმეტესწილად განპირობებულია სტერეოტიპიზებული, სტანდარტული და შაბლონური ლექსიკის თავიდან აცილების სურვილით. სლენგის გამოყენებისას მოსაუბრის მეტყველება ხდება უფრო ცოცხალი, ექსპრესიული და რაც მთავარია, უფრო საინტერესო და გასაგები მაცურებელთათვის, რაც ზრდის მის ცნობადობას საზოგადოებაში.

თანამედროვე ამერიკული გასართობ ტოკშოუებში წამყვანები და რესპონდენტები თავისუფალი არიან ლექსიკური საშუალებების არჩევისას. სწორად შერჩეული და ადეკვატური სლენგის გამოყენებით ჟურნალისტები ადვილად, ლაკონურად და გარკვევით გადასცემენ ინფორმაციას.

ტელევიზია და მასმედია ზოგადად არის სლენგის პოპულარიზაციის ძლიერი ინსტრუმენტი. თანამედროვე გასართობ შოუებში მათი გამოყენება ორიენტირებულია მრავალრიცხოვანი აუდიტორიის მიზიდვაზე, რათა გახდნენ პოპულარული და იყვნენ მოთხოვნადი.

მეცნიერთა თვალსაზრისით სლენგი იყოფა შემდეგნაირად:

Informal – არაფორმალური სლენგი;

Spoken – სალაპარაკო, კოლოკვიალური;

Taboo (vulgar slang)– ტაბუირებული სლენგი, ვულგარიზმები (Gramley, 2009);

informal – არაფორმალური სლენგი, რომელიც გამოიყენება ჩვეულებრივ დიალოგში, მაგრამ არ შეიძლება გამოყენებოდეს ოფიციალურ საუბარში; არაფორმალური სლენგის გამოყენება თანამედროვე ამერიკულ გასართობ შოუებში საკმაოდ გავრცელებულია და გადაცემას სძენს ემოციურ-ექსპრესიულ ელფერს.

*(..)He didn't get this place for you, the place is for him. The **sugar shack ain't** for you, the **sugar shack** is for **sugar daddy** (Steve Harvey Show. December 4, 2012).*

Hi everybody, my next guest is an illusionist (...) and today he's here **to blow our minds** (Steve Harvey Show, October 14, 2018).

*It **just freaks me out**, (...) I feel like she's happy about it, like normal moms would be like excuse me like you are talking about my little baby (Steve Harvey Show, September 15, 2015).*

*I keep asking questions to my husband during watching the movie. I am going to **drive him absolutely nuts** (The View, April 25, 2019).*

Host: When you met her, how long did it take for you to go, I'm actually gonna marry her?

*Guest: I think six months until I actually thought I might **pop the question** (The Ellen Show, February 04, 2016).*

***Host:** I like you very much. You know that. I think you are a terrific **gal**(The Ellen Show, February 04, 2016).*

*Steve: congratulations! That's a good **dude**, boy. Yeah, he wanted to do that (Steve Harvey Show, February 13, 2018).*

*Steve: Hi, my **buddy** Todd Chrisley and I together are teaching Millie who's a single mother (Steve Harvey Show, October 28, 2014).*

როგორც ვხედავთ, არაფორმალური სლენგი გასართობ გადაცემებში ძალიან აქტუალურია. ტოკშოუებში ძირითადად გამოიყენება არაფორმალური, სასაუბრო სტილის მყარი შესიტყვებები, ფრაზული ზმნები ან იდიომები, რაც ხშირად მოსაუბრის ემოციური ელფერის გამღიერებას ემსახურება.

spoken – სალაპარაკო/კოლოკვიალური სლენგი ძირითადად სალაპარაკო სტილის ერთეულია, რომელიც არ იწვევს აუდიტორიის ან მაყურებლის გაღიზიანებას, პირიქით, თავს არიდებს ტავტოლოგიას და ხშირად ქმნის იუმორისტულ ეფექტს.

*But I feel like talent isn't just you know what you can physically do, (...) I think that they are talented as businesswomen and they are **extremely savvy**. They are rich for a reason, they know what they are doing (Steve Harvey Show, January 13, 2016).*

*Woopi: Joe has just told me, because my first album from my show, well I said: " I used to be cute, and he said: " you are still **cute just chubbier** (laughing)" (The View, April 25, 2019).*

აღნიშნული კატეგორიის სლენგი უფრო მოსაუბრის პოზიტიურ განწყობას გამოხატავს და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისინი ხშირად იუმორის შემცველი და სახალისოა.

Taboo (vulgar slang) – ტაბუირებული სლენგი, ვულგარიზმები – შეურაცხმყოფელი და ხშირად უხამსი ლექსიკაა. ემოციების მკვეთრად გამოხატვა ძირითადად განაპირობებს აგრესიის წარმოშობასა და სიტყვიერ უხეშობას.

*I missed that, **what the hell?*** (Steve Harvey Show, January 13, 2016)

*I 100% disagree, I've spent 32 years in **crappy** comedy clubs okay, and they've done nothing, they really **88/do**, all they do is taking selfies. They don't contribute anything to the world* (Steve Harvey Show, January 13, 2016).

*(..) but it's the same people that are bringing girls around and teenage girls and hiding up for all his **crap*** (The View, June 3, 2019).

*(...) she is republican, she is evolving on gay marriage, Ok, so, that kind of **pisses me off**. That LGBT community supports her and fights for her rights* (The View, April 25, 2019).

*(...) I'm a father and I have an obligation (...) **I am kicking his a****, It's no way I am letting this go down* (Steve Harvey Show, January 13, 2016).

*I – I – I have to tell you very very honestly. I was supremely nervous, in a way that I have never been nervous for tonight because I wasn't performing, and I'm not used to just (motions with hands and body) like going to awards and having my picture taken, I don't do that. So much of what I stand for is really hard work, being yourself and **busting your a****, you know and its, and its and it was really difficult for me and I kept thinking to myself I can't let my fans down tonight, then I'm, then I'm just another **bitch in a dress** at an award show* (The Ellen Show, September 14, 2010).


ეს სიტყვები და ფრაზები სხვა ჟანრის შოუებში ძალიან იშვიათია. მათ შეიძლება შევხვდეთ უპირატესად სოციალური ფორმატის გასართობ შოუებში. სწორედ აქ განიხილება პრობლემური საზოგადოებრივი თემები, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს სკონტანურ, გაუაზრებელ, ნეგატიურ შეფასებებს მოსაუბრის მხრიდან. ასეთი გაუბრალოებული, უცნაურო და მეტად ფამილიარული

შესიტყვებების გამოყენება ნებისმიერი ტიპის ტელეგადაცემისთვის შეუსაბამო და გაუმართლებელია.

ამგვარად, ტელევიზიას დიდი როლი მიუძღვის საზოგადოების აზრის ჩამოყალიბებაში, რადგანაც ტელეეკრანზე გამოყენებული სიტყვები და ფრაზები პირდაპირ, მზა სახით შედის მაყურებლის ცნობიერებაში და ხდება მიზანმიმართული და მაგალითის ობიექტი. სწორედ ამიტომ მართებს ტელევიზიას, გამოიჩინოს განსაკუთრებული სიფრთხილე, რადგან ის წარმოადგენს ამა თუ იმ ერის კულტურის შემადგენელ ნაწილს.

ამერიკული გასართობი ტოკშოუების მაგალითებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ წამყვანები იშვიათად იყენებენ კოლოკვიალურ სლენგს, რასაც ვერ ვიტყვით მათს რესპონდენტებზე, რომლებიც იყენებენ არამხოლოდ არაფორმალურ, არამედ დიდი რაოდენობით ვულგარულ სლენგსაც (იხ, სქემა №2).

სქემა №2



4. 3. გადაჭარბებული კომპლიმენტირება და თვითკომპლიმენტირება (ტრაბახი)

წმინდა რიტუალური სამეტყველო ტაქტიკისგან (მისაღმების, დამშვიდობების, მიმართვის, მადლობის გადახდის) განსხვავებით, კომპლიმენტი გულისხმობს მოსაუბრის შემოქმედობითობას.

ო. ისერსი აღნიშნავს, რომ „დახვეწილი კომპლიმენტები, სადა შაბლონურ ფრაზებზე ყოველთვის უფრო მაღლა ფასდება“ (Иссерс, 2002 :188).

ოქსფორდის ლექსიკონში **კომპლიმენტი** განმარტებულია, როგორც „ცერემონიალური აქტი ან თავაზიანობის გამოხატვა ამ სიტყვის ყველაზე კნინობითი მნიშვნელობით; მაგ. ავიღოთ ვინმეს მიმართ სწორად შერჩეული შენიშვნა, რაც გულისხმობს ან შეიცავს ქებას; თუმცა ასევე გულისხმობს ქების ან პატივისცემის ზრდილობიანად გადმოცემას საუბრისას ან სხვა მსგავს ქმედებას (OED, „კომპლიმენტი“).

ე. ჰაჩის და ნ. უოლფსონის თახმად, კომპლიმენტი საუბრის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც განისაზღვრება ფიქსირებული შესიტყვებებით და მოიცავს ადრესანტის დადებით შეფასებას, ამჟღავნებს კეთილგანწყობას მის მიმართ, ზრდის სოლიდარობას ადრესანტსა და ადრესატს შორის (Hatch, 1994; Wolfson, 1983).

ლ. ფაბრიგარის და ჰ. ლაიმის გადმოცემით, „უამრავი შესაბამისობის სტრატეგია არის განხილული ლიტერატურაში, თუმცა არცერთი მათგანი არ არის იმაზე უფრო ინტუიციურად კომპეტენტური, ვიდრე –კომპლიმენტების გამოყენება“ ადამიანებს მოსწონთ კომპლიმენტები, კომპრომისის მიღწევის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად სწორედ კომპლიმენტი ითვლება (Fabrigar, Lime, 2010 :226).

კომპლიმენტის გამიჯვნა ქებისაგან საკმაოდ ძნელია (Иссерс, 2002; Федосюк, 1997 და სხვა). მ. ფედოსუკის აზრით, ეს შესაძლებელია მხოლოდ საუბრის სიტუაციის, კომუნიკანტების პიროვნულობის, მათი სქესის და ერთმანეთს შორის ურთიერთობების გათვალისწინებით (Федосюк, 1997 :113).

ო. ისერსი კომპლიმენტს და ქებას განიხილავს, როგორც მეტყველების ტაქტიკას. მათ შორის განსხვავებას ხედავს, პირველ რიგში, მოსაუბრის მიზანდასახულობაში – ქებისათვის დადებითი შეფასება წარმოადგენს მთავარ მიზანს, ხოლო კომპლიმენტისათვის – კეთილი გრძნობების გადმოცემის საშუალებას; მეორე მხრივ, კი ქება მიღწევების შეფასებაა, ხოლო კომპლიმენტი შინაარსის კუთხით არ არის შეზღუდული (Иссерс, 2002:178-180). ასეთი განმარტებების მიხედვით პრაქტიკაში ყოველთვის შეუძლებელია კომპლიმენტის განსხვავება ქებისაგან.

კომპლიმენტი – არის გამონათქვამი, სადაც ქება წარმოადგენს ძირითად და ერთადერთ მეტყველებით ტაქტიკას; მოწოდებულია სტრატეგიული კომუნიკაციური მიზნის რეალიზებისთვის და მიმართულია პოზიტიური ურთიერთობის შენარჩუნებისაკენ. კომპლიმენტი ემსახურება „განწყობის ამაღლებას, კეთილგანწყობის და საუბრის დამატებითი სტიმულის შექმნას, ამდენად, ხელს უწყობს კომუნიკაციური და გარეკომუნიკაციური საუბრის მიზნის მიღწევას“ (Формановская, 1989 :193).

კომპლიმენტის გაცემა რთული სოციოლინგვისტური უნარია (Holmes, 1995). იგი წარმოადგენს „რაიმე ნივთის ან მოქმედების დადებითად შეფასებას პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რაც უშუალო კავშირშია კომპლიმენტის მიმღები პირის გარეგნობასთან, მიღწევებსა თუ საკუთრებასთან“ (Coates, 1998 :146).

ყოველივე ამის გათვალისწინებით შესაძლებელია კომპლიმენტის აღქმა, როგორც უადრესად თავაზიანი და დადებითი საუბრისა, რომელიც საშუალებას აძლევს ადრესატს, თავი იგრძნოს კომფორტულად მისი უპირატესობების, უნარებისა და კომპეტენციების, ზოგადად კი დადებითი თვისებების გამო. ასე თუ ვიმსჯელებთ, „კომპლიმენტები ემსახურება მოსაუბრესა და ადრესატს შორის სოლიდარობის გაზრდას ან კონსოლიდაციას“ და გრძნობების გაღრმავებას კონკრეტული ჯგუფის წევრებს შორის (Holmes, 1988 :448).

ე. ჰაჩი გამოყოფს კომპლიმენტების ოთხ მნიშვნელოვან ფუნქციას:

1. ამყარებს ურთიერთგაგებას და გადაწყევს მისალმება საუბრის თემაზე;

2. მხარს უჭერს და აძლიერებს, დადებით შედეგამდე მიჰყავს ქმედება, მაგ.: მწვრთნელის კომპლიმენტი სპორტსმენს;

3. გამოიყენება მაღლიერების გამოსახატავად, მაგ: ჟურნალისტის მაღლიერება რესპონდენტისადმი, ძალიან საინტერესო საუბრისთვის;

4. კრიტიკის შერბილება (Hatch, 1994).

ჯ. მაინსის და ნ. უოლფსონის კლასიფიკაციაზე დაყრდნობით კომპლიმენტების ძირითადი თემების სამი კატეგორია არსებობს (Manes and Wolfson, 1981):

გარეგნობა – კომპლიმენტი გარეგნობაზე წარმოადგენს კომპლიმენტების ყველაზე გავრცელებულ ტიპს და თითქმის ერთნაირი სიხშირით არის წარმოდგენილი ქართულსა და ამერიკულ გასართობ ტოკშოუებში.

You do look great, and thank you for being here, because I know you are very busy, and we called you last minute (The Ellen Show, October 18, 2018).

მშვენივრად გამოიყურები ზალიკო („ფარული კონვერტი“, 25 მარტი 2019).

კომპლიმენტი უნარებსა და შესაძლებლობებზე – *„თქვენ კარგად იმუშავეთ!“*
„თქვენ შესანიშნავი მწერალი ბრძანდებით“.

Jay, you are amazing! And I know a lot of people know about you and follow your messages, but I am happy to give you another platform to reach people because it's incredible what you're saying and what you're doing (The Ellen Show, March 19, 2019).

პიროვნული მახასიათებლები ისეთი კომენტარებია, როგორებიც არის „კარგი ბიჭი“, „როგორი საყვარელი ხარ“, წარმოადგენს პიროვნული მახასიათებლების კომპლიმენტებს. კომპლიმენტების ეს კატეგორია უფრო ხშირად გვხვდება ქართულ და ამერიკულ სოციალურ-გასართობ ტოკშოუებში, ვიდრე კომპლიმენტები გარეგნობაზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე (Manes and Wolfson, 1981).

This is just a testimony of your love, your devotion and being an awesome father to us
(Steve Harvey Show, January 16, 2015).

ეს ნიჭიერი კაცია. ნიჭიერია, რა საკვირველია (ნანუკას შოუ, 13 მარტი, 2019).

ჩვენ მიერ განხილული მაგალითების საფუძველზე კომპლიმენტები შეგვიძლია შემდეგნაირად დავყოთ ისსერსის კლასიფიკაციის მიხედვით (Исчерп, 2008 :187):

პირდაპირი კომპლიმენტი მიმართულია უშუალოდ ადრესატისაკენ.

წამყვანი: ქალბატონო მანანა, გილოცავთ დაბადების დღეს! ძალიან დიდხანს უნდა იყოთ, თქვენ ხართ ქალი, რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი ეპოქა შექმენით მუსიკალურ სამყაროში. უღრმესი მადლობა, ძალიან დიდი მადლობა სტუდენტებს. (ნანუკას შოუ, 13 მარტი, 2019).

წამყვანი: შენ ხარ მშვენიერი სინთეზი მოქიფისა და ინტელექტუალი კაცის („ფარული კონვერტი“, 25 მარტი, 2019).

წამყვანი: ნუ რანაირად ბაზრობ იმპორტულ ენაზე („პრაიმ შოუ“, 27 მარტი, 2019).

Host: I like you very much. You know that. I think you are a terrific gal (The Ellen Show, May 17, 2017).

Guest: You guys are very nice. Host: Hello, Mr. EGOT. You won all the prizes like Emmy, Grammy, Tomy, Oscar (The Ellen Show, November 15, 2018).

Host: you are adorable and thank you for being here and congratulations (The Ellen Show, September 12, 2018).

გადაცემის დასაწყისში პირდაპირი კომპლიმენტირება ძირითადად მიმართულია ადრესატისაკენ. წამყვანი სტუმართან მისალმების შემდეგ საუბარს იწყებს რესპონდენტის შექებით, რაც ადრესატს მოტივირებულს ხდის, შეიქმნას და

შეინარჩუნოს პოზიტიური განწყობა. ამერიკულსა და ქართულ შოუებში ისინი ერთნაირად რეალიზდება. წამყვანები ხშირად იყენებენ არაფორმალური რეგისტრის ლექსიკას, რაც არ განასხვავებს სატელევიზიო ტოკშოუს ყოველდღიური ფამილიარული კომუნიკაციისაგან.

ირიბი კომპლიმენტი მიმართულია ადრესატისაკენ, რომელიც არ მონაწილეობს საუბარში. ამ შემთხვევაში, როგორც ინგლისურში, ასევე ქართულში დამახასიათებელია სლენგის და ჟარგონის ხშირი გამოყენება.

ქართულში ხშირია ბარბარიზმებიც:

წამყვანი: მუდამ მხიარული და ქარიზმატული ზალიკო ბერგერი („ფარული კონვერტი“, 25 მარტი, 2019).

სტუმარი: ჰაი კლასის ბიჭი იყო და ეხლაც ჰაი კლასის ბიჭია („ფარული კონვერტი“);

სტუმარი 1:(..) ეს დიდი გლობალური ჯაჭვია, სად იწყება და სად მთავრდება, არ ვიცი. ეს ნიჭიერი კაცია. სტუმარი 2: ნიჭიერია, რა საკვირველია. სტუმარი 1: და ძალიან დროულად შესთავაზა მსმენელს ის, რაც მას უნდოდა. ვთქვათ გაარტყა, ხო? (ნანუკას შოუ, 13 მარტი, 2019).

*წამყვანი: დიზაინერ მეგი გაბუნიას იდეა იყო თქვენთვის ეჩვენებინა, რომ სამყაროს არ წარმოადგენენ მხოლოდ მხვართი გოგონები, ნებისმიერს შეუძლია წარმოადგენა **ლუქის**(..)*(ნანუკას შოუ, 6 თებერვალი, 2019).

*სტუმარი ხატია წერეთელი: არაუშავს ირაკლი, კიდევ ერთი ბომბი მაქვს მომზადებული და თუ გაუშვებ **ნოუ პრობლემ*** („პრაიმ შოუ“, 8 ნოემბერი 2017).

*Guest: I think that they are talented as businesswomen and they are **extremely savvy**. They are rich for a reason, they know what they are doing*(Steve Harvey Show, January 13, 2016).

Host: The only thing I don't like about next guest is that he isn't here every day, please welcome the ridiculously talented Justin Timberlake (The Ellen Show, November 5, 2016).

*Host: I was in Vegas last weekend, I still smell on my clothes, I did fun stuff, I did stuff I never do, I ate a donut. It was soooo good! I can't remember last time I had a donut. I had to see JLO perform. She is incredible, she is so good, she's like **three donuts** (The Ellen show, September 18, 2017).*

ორიბი კომპლიმენტის სტრუქტურას ასევე ახასიათებს შედარების ელემენტის გამოყენება– “She’s so good like three donuts”; ოქსიმორონული სიტყვათშეთანხმება– „*ridiculously talented*”, რომელიც მეტყველებას უფრო მრავალფეროვანს, საინტერესოსა და სასიამოვნოს ხდის.

ორმხრივ კომპლიმენტებთან დაკავშირებით ა. პომერანცი და ა. გოლატო (Pomerantz, 1978; Golato, 2002) გვთავაზობენ მაღლიერების ნიშნების ჩამონათვალს, როგორც კომპლიმენტის მიღების უმთავრეს გზას. თუ ადამიანი კომპლიმენტს ვერბალურ საჩუქრად აღიქვამს, მაშინ იგი სანაცვლოდ მაღლიერებას გამოხატავს. მაღლიერება მიგვანიშნებს მოკლე სტერეოტიპულ გამოთქმაზე, რომელიც გამოხატავს მოსაუბრის პოზიტიურ შეფასებას მისი მისამართით გამოთქმულ კომპლიმენტზე. ეს შესაძლებელია განხორციელდეს უბრალოდ მაღლობის თქმით ან სხვა შეფასებებთან ერთად.

ქართულ ტოკშოუებში ხშირად ორმხრივი კომპლიმენტირებისას კომუნიკაციაში მონაწილე ორი სუბიექტი ერთმანეთს ამკობს კომპლიმენტებით და მცირედი ირონიით.

ნანუკა: არაჩვეულებრივად გამოიყურები ხინკლით, ხინკლის გარეშე ძალიან კარგი სხეული გაქვს.**თამო ვაშალომიძე:** შენც ძალიან კარგად გამოიყურები. ბოლოს ამ სტუდიაში რომ გნახე, იმასთან შედარებით გამხდარხარ, თმის ეს ფერიც გიხდება, გიხდება. **ნანუკა:** ვსიო, გავგიჟდი ... (ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ, 6 თებერვალი 2019).

წამყვანი ია ფარულავა: მშვენივრად გამოიყურები, ზალიკო.

ზალიკო ბერგერი: Thank you dear, შენც ისე კარგად გამოიყურები, მინდა გითხრა You are a shining star.

წამყვანი ია ფარულავა: ზალიკო, დიდი მადლობა, რომ მოხვედი, შენც ბრწყინვალედ გამოიყურები („ფარული კონვერტი“, 25 მარტი, 2019).

ორმხრივი კომპლიმენტისთვის ქართულ შოუებში ძირითადად ანგლიციზმები და რუსიზმები გამოიყენება. ემოციები ბუნებრივად, სპონტანურად გამოიხატება. ემოციური შეფასება მიზანმიმართულია თანამოსაუბრისთვის სასიამოვნო გარემოსა და კეთილგანწყობის შექმნისკენ.

Host: Please, welcome my friend Wanda Sykes our next guest is here. You look great, you look great! I've not seen you in a little while. Guest: you too, you too (The Ellen Show, February 22, 2019).

Host: You look handsome Guest: Thank you. Host: you look great and I'm so happy that you are here (The Ellen Show, October 22, 2011).

ამერიკულ შოუებში ორმხრივი კომპლიმენტირება სამეტყველო ეტიკეტურ ჩარჩოშია მოქცეული. მოწვეული სტუმრები წამყვანის მხრიდან შექებას ყოველთვის პასუხობენ მადლობის გადახდით, რასაც ხშირად მოსდევს ლაკონიური და მარტივი საპასუხო კომპლიმენტი.

თვითკომპლიმენტირება ადრესატის მიერ თავის შექება, ტრაზახია.

წამყვანი: მამაჩემი იყო ერთადერთი მამაკაცი, ვინც ჩემთვის იყო მამაკაცის იდეალი. მან იმხელა თამასა დამიძღო, როგორი უნდა იყოს კაცი, რაღაცა ვერავინ ვერ აქაჩა ამ თამასამდე. ის იყო ჩემთვის ვაჟკაცობის, ნიჭიერების, გონიერების, პრინციპულობის, თავისუფლების მოყვარულობის იდეალი და ძალიან ვგავარ მას ხასიათებში. იყო ძალიან უცნაური, მძიმე ხასიათის მათემატიკოსი, რომელიც აღმერთებდა თავის შვილებს („პრაიმ შოუ“, 24 აპრილი, 2019).

მოსაუბრის შექება ან კომპლიმენტი სამეტყველო ეტიკეტის განუყრელი ნაწილია, თუმცა საკუთარი თავის ქება ლიჩის მოკრძალების მაქსიმის მიხედვით უნდა იყოს მინიმალიზებული კომუნიკაციის პროცესში. ტრაბახი ქართულ ტოკშოუებში, ინგლისურისაგან განსხვავებით, არც თუ ისეთი იშვიათი მოვლენაა, რომელიც იწვევს თავაზიანობის პრინციპის დარღვევას კომუნიკაციური თვალსაზრისით.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში წამყვანი ირიბად იქებს თავს და არაერთხელ იყენებს ჟარგონულ ლექსიკას „თამასა დამიდო, ვერავინ ვერ აქაჩა“. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართულ შოუებში წამყვანებსა და გადაცემაში მოწვეულ სტუმრებს ახასიათებთ თავის ქება, რაც ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს მოსაუბრეთა შორის კომუნიკაციაზე.

წამყვანი: ეკა კვალიაშვილი აცხადებს, რომ ის არის ბრილიანტი და ყველა დანარჩენი შუშის თვალი.

სტუმარი: ხო, არა?

წამყვანი: აუუუ, ამ განაცხადის მერე გიკვირს, რომ ბევრს არ უყვარხარ?

სტუმარი: თუ ვინმეს არ ვუყვარვარ, რა ვქნა, ეს მისი პრობლემაა. ჩათვალოს ყველამ საკუთარი თავი ბრილიანტად. სხვათა შორის, როცა შენს გადაცემაში მოვდიოდი, ყველა მეუბნებოდა, რომ ფრთხილად იყავი, კონფლიქტურიასო („ფარული კონვერტი“, 26 ივნისი, 2018).

იგივე შეგვიძლია ვთქვათ ნანუკას შოუში მოწვეული სტუმრის შესახებ, რომელიც აცხადებს, რომ მისი მუსიკა გემოვნებიანია და პოზიტიურად მოქმედებს ადამიანის განწყობაზე, რაც გადაცემაში მოწვეული სტუმრების მხრიდან იწვევს გაღიზიანებას და ისმის შეურაცხმყოფელი ფრაზები მის მიმართ.

წამყვანი: რა ტიპის არის შენი მუსიკა?

სტუმარი: იქედან გამომდინარე, რომ მე ზოგადად ვარ პოზიტიური ადამიანი, პოზიტიურ ფსიქოლოგიას მივსდევ და ჩემი მეორე პროფესია, თუ პირველი პროფესია არის ფსიქოლოგიური განვითარების ტრენინგები. ჩემი ყველაზე ძლიერი მხარეა ტექსტი.

წამყვანი: მოდი, უნდა ჩაგეკითხო. აი, რას გულისხმობ ჩემი ძლიერი მხარეა ტექსტი. ხეზე ასვლა არ გვასწავლო, მაგრამ გვითხარი, რას გულისხმობ.

სტუმარი 1: ისეთი ფრაზები, რაც კაუჭივით ედება ადამიანის ცნობიერებას და რჩება.

სტუმარი 2: მსმენელი არის გლობალურად გაუნათლებელი.

წამყვანი: თუ მაყურებელი ამბობს, რომ ამის ყურება უნდა..

სტუმარი 3: ხო, იმიტომ, რომ კაი ხასიათზე დგება, თუ ჩარტყმული აქვს ერთი ორი ჭიქა, კარგად ისმენს (ნანუკა ჟორჯოლიანის შოუ, 13 მარტი, 2019).

თვითკომპლიმენტირება ამერიკულ გასართობ შოუებში ქართულისგან განსხვავებით გასართობ-იუმორისტულ ხასიათს ატარებს.

Guest: Caitlyn Jenner who talks about what it is like to be a woman, okay, I've been a woman for over 50 years, I know I look fantastic (Steve Harvey Show, January 13, 2016).

Host: you look beautiful and Christmassy.

Katy Perry: Thank you. You look very dapper.

Host: oh, thank you very much.

Katy Perry: We make quite the pair.

Host: we do. We are both cover girls now.

Katy Perry: oh my gosh, we are (The Ellen Show, December 20, 2013).

Guest: you know, I've gotten too pretty. I just found out on the cover of people magazine's most beautiful issue. I thought I was too pretty and people were going to freak out in her (The Ellen show, April 18, 2018).

მოყვანილი მაგალითებიდან ცხადად ჩანს, რომ ამერიკელები თვითკომპლიმენტირებას ერიდებიან და უფრო ხალისით, მოკრძალებულად ცდილობენ საკუთარი თავის შექებას, რაც ამაღლებს განწყობას სატელევიზიო გადაცემაში.

ფამილიარული ლექსიკის გამოყენება, რომლის სიჭარბე კომპლიმენტირებისას ხშირად ფიქსირდება, არ იწვევს ეტიკეტის დარღვევას, რადგანაც ეტიკეტის ფუნქცია ასეთ გადაცემებში პოზიტიური გარემოს შექმნა და შენარჩუნებაა.

ქართული და ამერიკული გასართობი ტოკშოუების კომპლიმენტირების მაგალითების შედარებამ აჩვენა, რომ მიუხედავად კულტურათა განსხვავებისა, სტრუქტურული თვალსაზრისით ისინი თითქმის ერთგვაროვანია, ხშირად ერთმანეთის მსგავსია.

ზოგადი დასკვნები

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ტოკშოუ არის სატელევიზიო დისკურსის ჟანრი; ტელეკომუნიკატორსა და ტელეაუდიტორიას შორის ცოცხალი, სპონტანური ინტერაქტიული პროცესი, სადაც საუბრის მიზანი არა მხოლოდ პიროვნებების წარდგენა და წარმოჩენაა, არამედ ინფორმაციის, ფაქტების რაც შეიძლება ეფექტურად გადაცემა მსმენლისა და ტელემყურებელისთვის;
- ეტიკეტი არის ზნეობრივი ნორმებისა და პრინციპების, ცივილიზებული ქცევისა და კომუნიკაციის კულტურის მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების სულიერი და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილს;
- სამეტყველო ეტიკეტი წარმოადგენს ვერბალური ერთეულების მიკროსისტემას, რომელიც საზოგადოების მიერ მიღებულია ეფექტური კომუნიკაციის დასამყარებლად, სამეტყველო ქცევის წესების შესაბამისად წარმართვისათვის. სამეტყველო ფორმა მყარია, ნაციონალურ-სპეციფიკური, ამავდროულად ისტორიულად ცვალებადია;
- სამეტყველო ეტიკეტი რეალიზდება მრავალ სამეტყველო ჟანრში: მისალმების, დამშვიდობების, მობოდიშების, მადლიერების, თხოვნის, თანხმობის, უარის, კომპლიმენტის დროს;
- ქართულ პოლიტიკურ გადაცემებში ტრადიციული მისალმების ფორმები ჩამოყალიბდა, რომლებსაც აქვს ერთგვაროვანი ლექსიკა და მისალმების შაბლონური სტრუქტურა;
- ქართული პოლიტიკური ტოკშოუებისაგან განსხვავებით ამერიკულ შოუებში მისალმების მრავალფეროვანი ფორმები გვხვდება, სადაც გამოყენებულია ოქსიმორონული სიტყვათშეთანხმებები და იდიომები.

- მიმართვის ძირითადი ფორმა ამერიკულ პოლიტიკურ ტოკშოუებში არაფორმალური სტილია. როგორც წამყვანები, ისე ტოკშოუს სტუმრები, ერთმანეთს სახელებით მიმართავენ. მიმართვის აღნიშნული ფორმა ამცირებს დისტანციას მოწვეულ სტუმარსა და ჟურნალისტს შორის, რაც ხელს უქმნის კომფორტული გარემოს ჩამოყალიბებას ურთიერთობის პროცესში.
- ამერიკული პოლიტიკური ტოკშოუებისაგან განსხვავებით ქართულ პოლიტიკურ ტოკშოუებში ვხვდებით მიმართვის ფორმალურ სტილს, რომელშიც სამეტყველო ეტიკეტის ნორმები დაცულია. სტუმრის წარდგენასა და მიმართვას ხშირად მოჰყვება სამადლობელი სიტყვები, რაც თავაზიანი მეტყველებაა.
- დამშვიდობებისას ამერიკულ პოლიტიკურ ტოკშოუებში წამყვანები იყენებენ სტანდარტულ, ფიქსირებულ ფორმებს, რომლებიც უფრო თავაზიანი და ოფიციალურია და სამეტყველო ეტიკეტის ნორმები დაცულია;
- ქართველი წამყვანების მეტყველებაში დამშვიდობებისას უფრო ხშირია ნეიტრალური და ოფიციალური რეგისტრის ლექსიკის ერთმანეთში აღრევა;
- გამოყენებული ნეიტრალური ფორმები ხშირად დამშვიდობების ყოველდღიური ფრაზების იდენტურია.
- თანამედროვე ტოკშოუებში მისალმების, დამშვიდობების, მიმართვის, მადლობის გამომხატველი კლასიკური, მყარი ფორმულები გამოიყენება;
- ქართულ პოლიტიკურ ტოკშოუში საუბრის ძირითად ეტაპზე ჭარბობს სიმულვილის ენა, ხშირია შეურაცხმყოფელი ლექსიკის, დისფემიზმების, ირონიისა და მდაბიო სტილის სიტყვების გამოყენება, რაც სამეტყველო ეტიკეტის ნორმების უხეში დარღვევაა;

- როგორც წესი, პოლიტიკურ ტოკშოუებს მაცურებელი ფორმალური კუთხით აღიქვამს და სწორედ ამიტომ თვალში საცემია მაღალი რანგის პოლიტიკოსების მხრიდან არანორმატიული ლექსიკის გამოყენება და სამეტყველო ეტიკეტის ნორმების დარღვევა;
- გადაცემის ძირითად ეტაპზე ქართველი და ამერიკელი წამყვანების საუბრის შედარებამ კონტრასტული შედეგები გვიჩვენა. ქართველ ჟურნალისტებთან გვხვდება უფრო მეტი თავშეკავებულობა და პოზიტიური დამოკიდებულება. გადაცემის მსვლელობისას ჟურნალისტები აქტიური არიან, აჟღერებენ საწინააღმდეგო მოსაზრებებს და აქტიურ ოპონირებას უწევენ მოწვეულ სტუმრებს, თუმცა ერიდებიან საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიციის დაფიქსირებას. წამყვანები თითქმის არასდროს მიმართავენ სიძულვილის ენისა და შეურაცხყოფელი ფრაზების გამოყენებას;
- ამერიკელი წამყვანები ხშირად იყენებენ უწმაწურ სიტყვებსა და შეურაცხყოფელ ეპითეტებს პოლიტიკოსების მიმართ;
- ამერიკულ გასართობ ტოკშოუებში წამყვანები მისალმების დროს უმეტესად მიმართავენ არაფორმალური რეგისტრის ლექსიკის გამოყენებას;
- ქართულ ტოკშოუებში მისალმება ერთგვაროვანი სტრუქტურისაა და ეტიკეტის ჩარჩოშია მოქცეული;
- მიუხედავად ორი განსხვავებული კულტურისა, ქართულსა და ამერიკულ გასართობ ტელეშოუებში მიმართვისა და დამშვიდობების ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. ეს გამოწვეულია კულტურათშორისი კომუნიკაციის გაფართოებით და ეტიკეტის სტანდარტული და ფიქსირებული ფორმულების ჩამოყალიბებით;
- გასართობი ტოკშოუს ძირითად ეტაპზე ორივე საკვლევ ენაში ჭარბად გამოიყენება სლენგი, ჟარგონი და ვულგარიზმები, რაც სამეტყველო ეტიკეტის ნორმებიდან გადახვევად შეიძლება ჩაითვალოს;

- ქართულ ტოკშოუებში მრავლად გვხვდება რუსული წარმოშობის ჟარგონები; მათ ხშირად დასდევს ირონიული ელფერი;
- ამერიკულ გასართობ ტოკშოუებში ხშირად გამოიყენება კოლოკვიალური სლენგი და დიდი რაოდენობით ვულგარიზმი;
- ქართულ ტოკშოუებში, ინგლისურისაგან განსხვავებით ვხვდებით თვითკომპლიმენტებს და/ან ტრაბახს, რაც კომუნიკაციური თვალსაზრისით თავაზიანობის პრინციპის დარღვევაა;
- ამერიკელები თავს არიდებენ თვითკომპლიმენტირებას, ცდილობენ, უფრო სახალისო ელფერით და მოკრძალებულად შეაქონ საკუთარი თავი. აღნიშნული ხერხის გამოყენება სატელევიზიო გადაცემაში განწყობას ამაღლებს;
- კომპლიმენტის წარმოთქმის დროს ორივე საკვლევ ენაში ყველაზე ხშირად გამოიყენება ფამილიარული ლექსიკა. ამ შემთხვევაში არ ირღვევა ეტიკეტი, რადგან მის ფუნქციას ასეთ გადაცემებში პოზიტიური ურთიერთობის დამყარება და შენარჩუნება წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე

1. ალადაშვილი ლ., „საინფორმაციო პროგრამის წამყვანის მუშაობის სპეციფიკა“, თეზისები, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი თბილისი, 2015;
2. ბოჭორიშვილი ა., გოგსაძე ლ., „ბიზნესწერილების ეტიკეტის ლინგვისტური მახასიათებლები“, ჟურნალი „საენათმეცნიერო ძიებანი“ XX, თბილისი, 2005;
3. გოგოლაშვილი ნ., „დისკურსის“ ცნების ინტერპრეტაციისათვის“, ჟურნალი „საენათმეცნიერო ძიებანი“ XXVIII, თბილისი, 2008;
4. გოჩიტაშვილი ქ., „ენობრივი ეტიკეტი და მეორე ენის სწავლება“. სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალი “ბილინგვური განათლება“, №8, თბილისი, 2011;
5. კაკაბაძე ნ., „შემეცნებით-გასართობი ტოკშოუები და მედია-სტანდარტი“, თბილისი, 2012;
6. კუბლაშვილი ბ., „რეიტინგული ტოკშოუები სხვა რაკურსით“, თბილისი, 2015;
7. ლილუაშვილი 2011 : ლილუაშვილი ს. „ ქართული ენა და თანამედროვე მედია“, ამბიონი საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტ ჟურნალი. <http://www.ambioni.ge/qartuli-ena-da-tanamedrove-media>
8. ლელაძე თ., „ბრიტანული და ქართული ტოკშოუ, როგორც ჟურნალისტური ჟანრი“, სადოქტორო ნაშრომი, ქუთაისი, 2016;
9. მახარობლიძე თ., „კომუნიკაცია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოძიებულია: 3 ივნისი, 2019 <http://eprints.iliauni.edu.ge/3063/1/Communico.doc>
10. ნებიერიძე მ., „ტოკშოუს, როგორც ჟანრის, ზოგადი სოციოლინგვისტური მახასიათებლები“, ჟურნალი „საენათმეცნიერო ძიებანი“, XXXII, თბილისი, 2011;

11. ომიადე ს., „ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება“, სადოქტორო დისერტაცია, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინტიტუტი, თბილისი, 2006.

<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000336/Omiadze%20S.pdf>
12. ჰაპიძე ა., თანამედროვე ქართული პრესის ზოგიერთი ლექსიკური ტენდენციის შესახებ (მოძიებულია 10 აპრილი, 2019)

<http://ice.ge/of/wp-content/uploads/2019/02/Papidze-A. 12Tomi125-123gv. opt.pdf>
13. სართანია დ., „ივანე ჯავახიშვილი და ქართული ეტიკეტის საკითხები“, ენა და კულტურა, თბილისი, 2002;
14. სვანიძე რ., „ტოკმოუს ტექსტის სტილის თავისებურებანი გერმანულ და ქართულ ენებში“, სადოქტორო ნაშრომი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2012;
15. ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ., სტილისტიკა, სახელმძღვანელო. გამომცემლობა „ივერიონი“, თბილისი, 2014;
16. ცინცაძე თ., „სიტყვათა თამაშის როლი ინგლისურ და ქართულენოვან მედია დისკურსში“, სადოქტორო დისერტაცია. ბათუმი, 2016;
17. ტალახაძე ნ., „სამაუწყებლო მედია - რადიო“, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2015.

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე

1. Brown P., Levinson C. S. “Politeness: Some universals in language usage, 2 ed., Cambridge. 1987;
2. Bushman B. J., & Huesmann, L. R. Effects of televised violence on aggression. Thousand Oaks, CA: Sage. 2001;

3. Coates J., Language and gender: a reader. Oxford: Blackwell. 1998;
4. Fabrigar, L. R., & Lim, H. Leandre R., Fabrigar and Heidi Lim, Exploring the Efficacy of Compliments as a Tactic for Securing Compliance. Basic & Applied Social Psychology. 2010;
5. Friske J., "Television Culture", Methuen ISBN 0415039347, New York. 1987;
6. Golato A., German compliment responses. Journal of Pragmatics. Illinois. 2002;
7. Gramley S., Varieties of American English, 2009; <http://wwwhomes.uni-bielefeld.de/sgramley/VarAmE-13-Slang%20and%20Taboo%20language.pdf>
8. Grice H. P., Logic and conversation, Syntax and semantics, New York. 1975;
9. Hatch E., Discourse and language education. Cambridge University Press. Los Angeles. 1994;
10. Harris Z. HARRIS Discourse analysis. April 26, 2012 by wauconda in Text Linguistics, 1952; <http://waucondastore.com/discourse-analysis-z-harris/>
11. Haarman L. "Talk about shows", Bologna. 1999;
12. Holmes J., Paying compliments: A sex-preferential positive politeness strategy. Journal of Pragmatics, Vol. 12, 1988;
13. Holmes J. Women, Men and Politeness. London. 1995;
14. Ilie C., Semi-institutional discourse: the case of talk shows.' Journal of Pragmatics 33(2), 2001;
15. Knapp M.L. , Interpersonal Communication and Human Relationships (5th edition) Boston. 2005.
16. Krause A., Goering E. 'Local talk in the global village: An intercultural comparison of American and German talk shows.' Journal of Popular Culture. 1995;

17. Krivos P. D. Initiating Communication: What Do You Say When You Say Hello? II
Central States Speech Journal. № 26. 1975;
18. Leech, G. Principles of Pragmatics. London: Longman. 1983;
19. Martinez E. 'Accomplishing closings in talk show interviews: A comparison with news
interviews.' Discourse Studies, Universidade De Vigo, Spain. 2003;
20. Manes J. and Wolfson N. The compliment formula. In F. Coulmas (Ed.), Conversational
Routine: Explorations in Standardized Communication Situations and Prepatterned
Speech. The Hague, the Netherlands. 1981;
21. O'Keeffe A. 'Media and Discourse Analysis', in Gee, J. & Handford M. (eds), The
Routledge Handbook of Discourse Analysis. London. 2011;
22. Pomerantz A., Compliment responses: notes on the cooperation of multiple constraints.
In J. Schenkein (ed.) Studies in the Organisation of Conversational Interaction.
Academic Press, New York.1978;
23. Richardson K., and Meinhof U H ., Worlds in common? Television discourse in a
changing Europe. London and New York. 1999;
24. Ricoeur P., Text als Modell: hermeneutisches Verstehen. Frankfurt. 1971;
25. Rose B. G., TV Genres. A Handbook an Reference Guide. Westport: Connecticut. 1985;
26. Scannell P. 'Media – language – world', Approaches to Media Discourse, Oxford:
Blackwell. 1998;
27. Shattuc J., The talking cure: TV talk shows and women. New York. 1997;
28. Signes C. A., Genre Based Approach to Daytime Talk on Television, Monographs
Volume 1, Studies in English Language and Linguistics, Universitat de Valencia, 2000;

